



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

პროგრამა - სამართალი

სანდრო შერმადინი

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მისი დაცვის ადმინისტრაციული

საპროცესო მექანიზმები

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ირმა ხარშილაძე

საქართველო, თბილისი

2021 წელი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა

სადისერტაციო ნაშრომის თემა ძირითადად შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციულ სამართალში.

საკვლევი თემის მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის ორაზროვანი მოწესრიგება საფრთხეს უქმნის ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, დაუბალანსებელი რეგულირება კი - სახელმწიფოს ქმედუნარიანობას. კერძოდ, სახელმწიფო მოსამსახურისათვის ზედმეტი პასუხისმგებლობის დაკისრება მოსამსახურეში გამოიწვევს შიშს, რის შედეგადაც გაქრება გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მოსამსახურის გამბედაობა, ხოლო პასუხისმგებლობის არასაკმარისი ხარისხით დაკისრება - გადაწყვეტილების მიღების სურვილის (ინიციატივის) შემცირებას.

პრობლემური საკითხებია: უკანონო საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი ბუნება; აღნიშნული მოთხოვნის დაცვის სწორი სამართლებრივი გზა; სასამართლო გადაწყვეტილებებში ზიანის ანაზღაურების ერთი მოთხოვნის საფუძველად სხვადასხვა, ურთიერთგანსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება; ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული და ასევე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ზოგიერთი სამართლებრივი ინსტიტუტის ნაკლებად ცნობადობა,

კვლევის მეცნიერული სიახლე ასახულია მის შედეგებში, რომლებიც წინამდებარე აბსტრაქტის მეორე სეგმენტში - „არსებით შედეგებშია“ მითითებული.

2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ზიანის ანაზღაურების მოწესრიგების უკეთ გაცნობიერება და თემიდან გამომდინარე სიახლეების დანერგვისთვის ხელის შეწყობა. მიზნის მისაღწევად შესასრულებელი

ამოცანებია: ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების სისტემატიზება, უკანონო საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების შესწავლა და თემიდან გამომდინარე სიახლეების გამოკვეთა.

არსებითი შედეგები:

შემოთავაზებულ იქნა საჯარო-სამართლებრივი დელიქტის ცნება, რომელიც იმიჯნება კერძო-სამართლებრივისაგან;

მოქმედ პასუხისმგებლობის მოდელად განისაზღვრა სახელმწიფოსა და მისი მოსამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელი და მის ნაცვლად შემოთავაზებულია სახელმწიფოს უშუალო პასუხისმგებლობის მოდელი, ბრალის გარეშე.

შემოთავაზებულ იქნა საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ცნება, რომელიც არის კერძო-სამართლებრივი უსაფუძვლო გამდიდრების მსგავსი, მაგრამ არა იდენტური.

მიეთითა საკუთრების უფლებაში ჩარევის გამო კომპენსაციის შემთხვევები. მათ შორის კომპენსაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის საფუძველზე საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის დროს.

დასრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის მექანიზმად განისაზღვრა, რომ ჯერ ხდება ურთიერთობის დადგენა აღიარებითი სარჩელით ზიანის გამომწვევი ქმედების უკანონოდ აღიარების გზით, ხოლო შემდეგ განცხადების წარდგენა ადმინისტრაციულ ორგანოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ბოლოს, ამ უკანასკნელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოქმედების განხორციელების დავალება, თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელის შეტანით. ამასთან, მიეთითა, რომ ხანდაზმული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და მისი დაცვაც ხორციელდება ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინებით.

შემოთავაზებულია, რომ ზიანის ანაზღაურების სფერო, მისი მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით, „იმსახურებს“ სპეციალური კანონმდებლობით მოწესრიგებას.

3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომი შედგება აბსტრაქტის, შესავლის, ძირითადი ნაწილისა (8 თავი) და დასკვნისგან.

კვლევის განსახორციელებლად გამოყენებული იქნა ისეთი მეთოდები როგორცაა: სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და სინთეზის, შედარებით-სამართლებრივი, დოგმატური და სხვა.

სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და სინთეზის გზით შესაძლებელია ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების სისტემატიზება, შედარებით-სამართლებრივი, დოგმატური და სხვა მეთოდები, იძლევიან უკანონო საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების შესწავლისა და თემიდან გამომდინარე, სიახლეების გამოკვეთის საშუალებას. იმის გამო, რომ ქართულ კანონმდებლობაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა გერმანულმა კანონმდებლობამ, მიზანშეწონილია მოხდეს ეროვნული ნორმატიული მოწესრიგების შედარება გერმანულ საკანონმდებლო რეგულაციებთან.

4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული კვლევა ორიენტირებულია იმ გამოწვევების გადაჭრაზე, რაც წინამდებარე აბსტრაქტის პირველ სეგმენტში - „პრობლემურ საკითხებშია“ მითითებული.

კვლევის შედეგები ქვეყანაში პოტენციურად იქონიებს დადებით გავლენას დარგსა და ფართო საზოგადოებაზე, რადგან იგი ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას. კერძოდ, ნაშრომის შედეგებიდან გამომდინარე საზოგადოების წევრებს ექნებათ მეტი ინფორმაცია თავის შესაძლო მოთხოვნებზე და მათ რეალიზებასა და დაცვაზე.

A b s t r a c t

1. Relevance of the Thesis, novelty of the Research and Innovation

Topic of the Thesis mainly is about compensation of damages caused by actions of Executive authorities under the Administrative Law. Namely:

Relevance of the topic of the Thesis rests in the fact that regulations for compensation of damages allow for double reading and that represent a risk for protection of basic human rights; imbalanced regulation, on the other hand, creates a risk of inability of the state. Namely, imposition of additional functions/responsibilities on a public servant may lead to fear, and, as a result, the courage required for decision-making may disappear; also, imposition of insufficient responsibility may lead to abatement of willingness (incentive, if you will) to make a decision.

Problem: legal nature of claim to compensation of damages caused by illegal actions of public agencies; the right legislative framework for protection of such a claim; application of different and mutually exclusive regulations of different legal institutions for judicial decisions on compensation of damages; insufficient recognition/publicity of some legal institutions due to legal relations of obligations and compensation of damages.

Scientific novelty of the Research is reflected in its results, which are indicated below, in second part of the Abstract – “Key Findings”.

2. Goals and Objectives of the Research

The goal of the Research is to better understand regulations concerning compensation of damages in the limits of Administrative Law and to facilitate introduction of novelties based on the topic. To achieve the goal it is necessary to fulfill certain objectives: systematization of damages compensation related claims, studying legal nature of claims to compensation of damages caused by illegal actions of the public entity and identification of novelties based on the topic.

Key findings:

The concept of public law delict was suggested, which is different from the private law delicts.

The model utilized in Georgia is the one envisaging solidary (shared) responsibility between the state and the public servant. Instead, the model is suggested which envisages direct responsibility of the State, without imposition of guilt.

A concept of public law reconveyance is offered, which is similar to the private law's unjustified enrichment, but not identical.

Instances of compensation due to interference with property rights were noted, too. It includes compensation based on Article 209 of the General Administrative Code, in defining content of the property rights and its boundaries.

As a mechanism of protection/securing the claim for compensation of completed damage was defined that, first of all, relations are established by means of recognition claim acknowledging actions leading to damages as illegal; and then the claim is submitted to the administrative body with the request of compensation and finally, if the latter is rejected, a complaint on imposition of obligation to repay damages shall be filed with the court.

In addition, it has been indicated that rejecting overdue claims is a discretionary right of an administrative body and such a right is protected in consideration of specific features of such institutions.

It is suggested that the area of compensation of damages, considering its importance and scope, "deserves" special legislative regulation.

3. Structure of the Scientific Paper and Research Methodology

The Paper consists of Abstract, Introduction, Main Part (8 Chapters) and a Conclusion.

For purposes of the Research methods like analysis and synthesis of legal provisions, legal comparison and dogmatic, etc., were used.

Analysis and synthesis of legal provisions allows for systematization of damage compensation related claims; legal comparison, dogmatic and other methods allow to study legal nature of

claims to compensation of damages caused by illegal actions of the public entity and identification of novelties based on the topic. Because Georgian legislation was greatly affected by the German legislation, it is advisable to compare national normative regulation to that of Germany.

4. Scientific value of the Research and Potential Practical Relevance

Research given in the Thesis aims at resolution of problems and challenges and it was described in the first part of the Abstract; it is indicated in “Problems”.

Potentially, Research results will positively affect a sector and broader public for it will facilitate a process of protecting main human rights in Georgia. Namely, based on results of the Research public will have mor information on their potential claims, their realization and protection.

შინაარსი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი.....	2
A b s t r a c t.....	5
შინაარსი.....	8
ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი	14
ცხრილი N1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეპრესიული და დროებითი დაცვის ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენების სქემა.....	14
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა.....	14
შესავალი.....	16
თავი 1. ზიანის ანაზღაურების მოდელები	24
1.1. მოსამსახურის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე.....	24
1.2. სახელმწიფოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე	25
1.3. კომბინირებული ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე.....	28
1.3.1. სახელმწიფოსა და მოსამსახურის კუმულატიური პასუხისმგებლობა	28
1.3.2. სამსახურებრივი პასუხისმგებლობა (Amtshaftung).....	29
1.4. პასუხისმგებლობის მოდელი საქართველოს მაგალითზე.....	33
1.5. სსკ-ს 1005-ე მუხლის კავშირი დამსაქმებლის პასუხისმგებლობის მოდელთან.....	39
თავი 2. საჯარო-სამართლებრივი დელიქტის გამიჯვნა კერძო-სამართლებრივი დელიქტისაგან	43
2.1. დელიქტის ცნება.....	44
2.2. კავშირი საჯარო-სამართლებრივ დელიქტსა და კერძო-სამართლებრივ დელიქტს შორის	45
2.3. განსხვავება საჯარო-სამართლებრივ დელიქტსა და კერძო-სამართლებრივ დელიქტს შორის	45
2.4. შუალედური შეფასება	58
თავი 3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლები.....	61
3.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების კლასიფიკაციის კრიტერიუმები	61
3.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების კლასიფიკაცია.....	63
3.2.1. კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძვლები	63

3.2.1.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ზოგადი ხასიათის გარანტიების შემქმნელი კონსტიტუციური საფუძველი	63
3.2.1.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის გარანტიების შემქმნელი კონსტიტუციური საფუძველი	64
3.2.2. საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველები	65
3.2.3. სისხლის სამართლებრივი საფუძველები	66
3.2.4. სამოქალაქო სამართლებრივი საფუძველები	67
3.2.4.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ზოგადი ხასიათის საფუძველი	68
3.2.4.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის საფუძველები	69
3.2.4.2.1. სისხლის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველები	70
3.2.4.2.2. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველები	71
3.2.4.2.3. ცალკეული დელიქტური და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველები	72
3.2.5. ადმინისტრაციულ სამართლებრივი საფუძველები	73
3.2.5.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ზოგადი ხასიათის საფუძველები	73
3.2.5.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის საფუძველები	74
3.2.5.3. საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველები	75
3.3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ადრესატი	76
3.4. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატები	76
3.4.1. სახელმწიფოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე	77
3.4.2. თვითმმართველი ერთეულის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე	79
3.4.3. ავტონომიური რესპუბლიკის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე	80
3.4.4. მოსამსახურის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე	81
3.5. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი წინაპირობები	85

3.5.1. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები	86
3.5.1.1. ზიანის არსებობა	87
3.5.1.2. ზიანის უკანონოდ მიყენების ფაქტი.....	88
3.5.1.2.1. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელება	88
3.5.1.2.2. სხვა პირის მიმართ არსებული სამსახურებრივი მოვალეობა	91
3.5.1.2.3. სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა.....	94
3.5.1.3. კანონსაწინააღმდეგო ქმედებასა და წარმოქმნილ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა	96
3.5.1.4. ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა	96
3.5.2. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შეზღუდვა და გამორიცხვა	98
3.5.3. კანონშესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები	99
3.5.3.1. საზოგადოებრივი აუცილებლობისთვის ინდივიდის ინტერესების გაწირვა.....	100
3.5.3.2. სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის ინტერესებისთვის ინდივიდის ინტერესების გაწირვა	100
3.6. შუალედური შეფასება	101
თავი 4. ზიანის ანაზღაურების ფორმები და სახელმწიფოსთვის განკუთვნილი რეგრესის უფლება	105
4.1. ზიანის ანაზღაურების ფორმები	105
4.1.1. ნატურით რესტიტუცია	105
4.1.2. ფულადი ანაზღაურება	106
4.2. რეგრესის უფლება ზიანის ანაზღაურებისას.....	107
თავი 5. ადმინისტრაციული სამართლის სფეროს სახელმეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება	111
5.1. სახელმეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება.....	111
5.2. საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა.....	114
5.2.1. ცნება	114
5.2.1.1. ქონების გადაცემა	115

5.2.1.2.	საჯარო-სამართლებრივი სამართალურთიერთობა	115
5.2.1.3.	სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (უსაფუძვლობა)	116
5.2.2.	საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ურთიერთობის სუბიექტები.	120
5.2.2.1.	მოქალაქე ხელისუფლების მქონე პირის წინააღმდეგ	120
5.2.2.2.	ხელისუფლების მქონე პირი მოქალაქის წინააღმდეგ	120
5.2.2.3.	ხელისუფლების მქონე პირი ხელისუფლების მქონე სხვა პირის წინააღმდეგ	121
5.2.3.	საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნის სახეები	122
5.2.3.1.	საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის სპეციალური მოთხოვნა .	122
5.2.3.2.	საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ზოგადი მოთხოვნა	123
5.2.4.	გამდიდრების აღარ არსებობა (განმდიდრება)	126
5.2.5.	შუალედური შეფასება	129
5.3.	დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კერძო და საჯარო სამართლის სფეროებში	130
5.3.1.	ცნების ელემენტები	132
5.3.2.	დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართალურთიერთობის სუბიექტები	132
5.3.2.1.	ხელისუფლების მქონე პირი მოქმედებს კერძო სამართლის სუბიექტის ნაცვლად	133
5.3.2.2.	ხელისუფლების მქონე პირი მოქმედებს ხელისუფლების მქონე სხვა პირის ნაცვლად	137
5.3.2.3.	კერძო სამართლის სუბიექტი მოქმედებს ხელისუფლების მქონე პირის ნაცვლად	139
5.3.3.	შუალედური შეფასება	140
5.4.	ინფორმაციის თავისუფლების წესების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება	141
5.5.	ცალკეული სხვა დელიქტური ვალდებულებები	142
თავი 6.	არაქონებრივი სიკეთის დაცვა ხელყოფისაგან	145
6.1.	I ეტაპი - არაქონებრივი უფლების ხელყოფის შეწყვეტა	145
6.2.	II ეტაპი - მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება	146
6.3.	III ეტაპი - ქონებრივი ზიანის ანაზღაურება	149
6.4.	შუალედური შეფასება	150
თავი 7.	კომპენსაცია საკუთრების უფლებაში ჩარევის გამო	151
7.1.	საკუთრების უფლების ცნება	151

7.2.	საკუთრების უფლებაში ჩარევის შემთხვევები, რომლებიც ექვემდებარებიან კომპენსაციას.....	154
7.2.1.	საკუთრების უფლების პირდაპირი ჩამორთმევა, ე.წ. საკუთრების უფლების კლასიკური ჩამორთმევა	154
7.2.2.	საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევა	156
7.2.3.	საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების არათანაზომიერი განსაზღვრა.....	159
7.2.4.	საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევა	162
7.3.	შუალედური შეფასება	167
თავი 8.	ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა	170
8.1.	ზიანის წარმომშობი საქმიანობა ადმინისტრაციული სამართლის სფეროში.....	172
8.1.1.	ზიანის წარმომშობი ზოგადი ხასიათის საქმიანობა	172
8.1.2.	ზიანის წარმომშობი სპეციალური ხასიათის საქმიანობა.....	174
8.2.	ზიანის ანაზღაურებისას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა და მოთხოვნის სახეები.....	175
8.3.	განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლების რეალიზება	179
8.3.1.	განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საშუალება	180
8.3.2.	განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების უფლების რეალიზების სამართლებრივი საშუალება.....	181
8.4.	ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება.....	184
8.4.1.	განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა.....	187
8.4.1.1.	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა	187
8.4.1.2.	რეალაქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა	189
8.4.2.	დასრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა...	190
8.5.	ადმინისტრაციული სარჩელი, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება.....	190
8.5.1.	სახელწმიფო ხელისუფლების ზოგადი ხასიათის საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა.....	191
8.5.1.1.	განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა	191

8.5.1.1.1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა.....	192
8.5.1.1.2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობით გამოწვეული ზიანი.....	194
8.5.1.1.3. მოქმედების განხორციელებლობით გამოწვეული ზიანი.....	195
8.5.1.1.4. მოქმედების განხორციელებით გამოწვეული ზიანი.....	196
8.5.1.1.5. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა	197
8.5.1.2. დასრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა.....	198
8.5.1.2.1. აღიარებითი სარჩელი	198
8.5.1.2.2. სარჩელი ქმედების განხორციელების დავალების შესახებ.....	200
8.5.1.2.3. აღიარებითი სარჩელისა და შემდგომ მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელის წარდგენის საჭიროება სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების დროს.....	201
8.5.2. სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური ხასიათის საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა.....	205
8.6. შუალედური შეფასება	208
დასკვნა.....	211
ბიბლიოგრაფია.....	217
ნორმატიული აქტები	217
სამეცნიერო იურიდიული ლიტერატურა.....	218
ქართულენოვანი	218
უცხოენოვანი	222
სასამართლოს გადაწყვეტილებები.....	223
საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.....	223
საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები	223
ელექტრონული რესურსები.....	224

ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი

ცხრილი N1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეპრესიული და დროებითი დაცვის ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენების სქემა, დეტალებისთვის იხილეთ გვ. 207.

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

Aufl.	Auflage
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGHZ	Amtliche Sammlung der Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Zivilsachen
BSGE	Amtliche Sammlung der Entscheidungen des Bundessozialgerichts
BverwGE	Amtliche Sammlung der Entscheidungen des Bundesverwaltungsgerichts
ders.	derselbe
DÖV	Die Öffentliche Verwaltung
DVB1	Deutsches Verwaltungsblatt
ebda.	ebenda
f.	und die folgende, für
ff.	und die folgenden
JuS	Juristische Schulung
NJW	Neue Juristische Wochenschrift
NVwZ	Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht
NW	Nordrhein-Westfalen
OVG	Oberverwaltungsgericht

Rn.	Randnummer(n)
S.	Seite, Satz
s.	siehe
VG	Verwaltungsgericht
გამომც.	გამომცემლობა
გვ.	გვერდი, გვერდები
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
თარგ.	თარგმანი
თბ.	თბილისი
იხ.	იხილეთ
მთ. რედ.	მთავარი რედაქტორი

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მისი დაცვის ადმინისტრაციული საპროცესო მექანიზმები აქტუალური თემაა. აღნიშნულს ადასტურებს მისი მნიშვნელობა სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანად განხორციელების პროცესში. ხელისუფლება ჩაითვლება ეფექტიანად განხორციელებულად მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ჯეროვნად შეასრულებს მის პოზიტიურ ვალდებულებებს და პარალელურად კანონმდებლობით მაქსიმალურად იქნება დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები. ამ თვალსაზრისით უდიდეს როლს ასრულებს ზიანის ანაზღაურება, რაც გამომდინარეობს მისი ფუნქციებიდან.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას გააჩნია ორი ფუნქცია: გამოსწორებისა და პრევენციის. გამოსწორების ფუნქცია მიზნად ისახავს წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურებას, ხოლო მეორე - უკანონო ქმედების განმახორციელებელ პირზე ზემოქმედებას, რათა ამ უკანასკნელმა მომავალში არ დააზიანოს სხვა სუბიექტები. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას გააჩნია დაკმაყოფილების ფუნქცია, რაც გამოწვეულია განცდილი სულიერი ტკივილის შემსუბუქების მიზნით.¹

ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის დაბალანსებული მოწესრიგება არის სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანად განხორციელების გასაღები. ერთის მხრივ, მოსამსახურისთვის ზედმეტი პასუხისმგებლობის ტვირთის დაკისრების შემთხვევაში, არსებობს გადაწყვეტილების მიღების გამბედაობის შენარჩუნებისთვის საფრთხის შექმნის რისკი.² მეორეს მხრივ, მოსამსახურისთვის პასუხისმგებლობის არასაკმარისი ხარისხით დაკისრება გამოიწვევს მისი მხრიდან გადაწყვეტილების მიღების სურვილის (ინიციატივის) შემცირებას, არაკვალიფიციური კადრების მონაწილეობის გაზრდას სახელმწიფო ხელისუფლების უშუალოდ განხორციელებაში, რის შედეგადაც საფრთხე შეექმნება სახელმწიფოს ქმედუნარიანობას.

¹ Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011 წიგნში: რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ., (რედ.), თბ., 2019, მუხლი 408, გვ. 697, ველი 3.

² Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 11.

ზიანის ანაზღაურების ფუნქციის თვალსაზრისით, „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.“³ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლის პირდაპირი მითითება საქართველოს კონსტიტუციაში, განსაკუთრებით მის მეორე თავში, რომელიც შეეხება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მიანიშნებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების კონსტიტუციური მნიშვნელობის რანგსა და განსაკუთრებულობაზე. „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“⁴ ეს უკანასკნელი უფლება წარმოადგენს საპროცესო უფლებას და მიიჩნევა საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპად, რომელზედაც დამოკიდებულია მატერიალური სამართლის განხორციელება.⁵ იგი თითოეულ ადამიანს ანიჭებს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას, თუ მიაჩნიათ, რომ ადგილი ჰქონდა ან აქვს მათი უფლებების დარღვევა.⁶

ზიანის ანაზღაურების გამოსწორების ფუნქციის შესრულებას ართულებს მასთან დაკავშირებული პრობლემების სიმრავლე, რაც გამოწვეული ამ საკითხის მრავალფეროვნებით.

ზიანის ანაზღაურების საქმეებს გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი უმთავრესი პრობლემა - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, ერთიანი მიდგომის/კლასიფიკაციის არ არსებობა. აღნიშნული პრობლემას, უპირველესად, იწვევენ ის ურთიერთსაპირისპირო ნორმები, რომლებიც აყალიბებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების

³ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 18, პუნქტი 4, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 31, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁵ იზორია ლ., კორკელია კ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2005, გვ. 363-364.

⁶ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, გამომც. ჯისიაი, თბ., 2003, გვ. 336.

წინაპირობებს,⁷ რაც ართულებს ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულ სამართლებრივი მოთხოვნის უფლების კერძო-სამართლებრივისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას. აღნიშნული დასტურდება საქართველოში არსებული პრაქტიკით. პირველ რიგში, ეს გამოიხატება მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისას ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულ სამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მითითებაში. საკითხი ამით არ ამოიწურება, რადგან, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც ზემოხსენებული მუხლი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსების, შესაბამისად 208-ე და 1005-ე მუხლებთან ერთად, ასევე მოხსენიებულია, როგორც ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულ სამართლებრივი საფუძველი. საკითხისადმი ასეთი მიდგომა უნდა წარმოადგენდეს პრობლემას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 992-ემუხლი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატისა და მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობების ნაწილებში, არსებითად განსხვავდება ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსების, შესაბამისად 208-ე და 1005-ე მუხლებისგან.

პრობლემური სამართლებრივი საკითხები ასევე წარმოიშვება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის საპროცესო საშუალებისა და მოპასუხის განსაზღვრის, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატად პირდაპირ განსაზღვრულია სახელმწიფო. აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც შეეხება უკანონო მსჯავრდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას. 2014 წელს ერთ-ერთ ასეთ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საქმეზე, მოსარჩელემ სარჩელში მოპასუხედ განსაზღვრა საქართველოს მთავრობა, პირველ ინსტანციაში, სასამართლოს მითითებით მოპასუხედ განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო სავალდებულო მოწვევის მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს მთავარი

⁷ პირველ რიგში, აქ იგულისხმება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ურთიერთმიმართება.

პროკურატურა. სააპელაციო სასამართლოში სამართალწარმოებისას სასამართლოს განჩინებით არასათანადო მოპასუხე შეიცვალა სათანადო მოპასუხით: მოპასუხედ მიიჩნიეს საქართველოს მთავარი პროკურატურა, ხოლო არასავალდებულო მოწვევის მესამე პირად - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საკასაციო საჩივარში განმარტა, რომ ამ საქმეზე სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსების, შესაბამისად 208-ე და 1005-ე მუხლების, საფუძველზე. საქართველოს უზენაეს სასამართლოს ამ საკითხთან დაკავშირებით არ უმსჯელია.⁸ აღნიშნულიდან მარტივად ჩანს, თუ რამდენად განსხვავებულია მოსაზრებები ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატის ანუ მოპასუხის განსაზღვრისას და ამ დროს შეცდომის დაშვებამ, მოპასუხის არასწორად განსაზღვრამ, შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლად დატოვება.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი პრობლემების გათვალისწინებით ალბათობის მაღალი ხარისხით უფლებადარღვეული ადამიანი შეცდომას დაუშვებს ან სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბებისას, ან სათანადო მოპასუხის განსაზღვრისას ან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი წინაპირობების დადგენისას. ეს გაურკვეველობა კი ხელს უშლის ზიანის ანაზღაურების გამოსწორების ფუნქციის შესრულებას და ამდენად სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანად განხორციელებას.

საკვლევი თემა აქტუალურია, ასევე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საქმეებისა და ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონდარღვევის ფაქტების⁹ სიმრავლის გათვალისწინებით.¹⁰

კვლევის მიზანი.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე Nზს-648-623(2კ-13), აღწერილობითი ნაწილი.

⁹ რაც მეტია კანონდარღვევა, მით მეტია უშუალოდ ზიანის ანაზღაურების საქმეების რაოდენობა.

¹⁰ საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/statistics/>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

კვლევის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ზიანის ანაზღაურების მოწესრიგების უკეთ გაცნობიერებასა და თემიდან გამომდინარე სიახლეების დანერგვისთვის ხელის შეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესასრულებელია შემდეგი ამოცანები: ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა და მისი მომწესრიგებელი ნორმების კლასიფიკაცია ზიანის ანაზღაურების სისტემის უკეთ გასაცნობიერებლად. განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ სამართლებრივ სამეცნიერო სივრცეში. მაგალითად, საჯარო-სამართლებრივი დელიქტი; საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების ისეთი განსაზღვრა, რომელიც ექვემდებარე კომპენსაციას; საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევა; საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა; ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა; ზიანის ანაზღაურების ხანდაზმული მოთხოვნის რეალიზება და ა.შ. კვლევის შესაძლო შედეგია ზიანის ანაზღაურების სფეროში არსებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნების შემეცნება, ახალი ინსტიტუტების შემოღება და არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების გაუმჯობესება.

კვლევის მეცნიერული სიახლე.

კვლევის შედეგები, მეცნიერული სიახლის თვალსაზრისით, წარმოადგენს:

- ა) უკანონო საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივ ბუნებაზე დავის გადაჭრა,
- ბ) აღნიშნული მოთხოვნის დაცვის სწორი გზის განსაზღვრა,
- გ) ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების მოდელების ერთმანეთისგან გამოიჯვანა,
- დ) საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრით წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების ინსტიტუტის დამკვიდრება,
- ე) საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ინსტიტუტების დამკვიდრება,

ვ) ზიანის ანაზღაურების ხანდაზმული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებად მიჩნევა.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება.

კვლევის შედეგები, პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით, ხელს უწყობს:

ა) უფლებახელყოფილ პირს უფლებების აღდგენაში მათ შესაძლო მოთხოვნებზე ინფორმირებულობის ამაღლების გზით. მაგალითად, ისეთ მოთხოვნებზე, როგორცაა საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა, საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრით წარმომოხილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება. ამ უკანასკნელს შესაძლოა ადგილი ქონდეს მიწის ნაკვეთისთვის კერძო ინტერესებისათვის არახელსაყრელი ფუნქციური ზონის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთის განაშენიანების შესაძლებლობა უკიდურესად შეზღუდულია.

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებებში ურთიერთგანსხვავებული მოთხოვნის წარმომშობი ნორმების გამოყენებისგან თავის არიდებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების მოთხოვნების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნა, გაამარტივებს მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების განსაზღვრასა და მათი არსებობის შემოწმებას;

გ) ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის არაორაზროვანი და დაბალანსებული მოწესრიგების შექმნას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება სახელმწიფოს ქმედუნარიანობაზე. ერთი მხრივ, სახელმწიფო მოსამსახურისათვის განჭვრეტადი იქნება ის შესაძლო უარყოფითი შედეგები, რაც მოყვება მისი მხრიდან ინიციატივის არ ქონას, მეორე მხრივ, იგი იქნება დაცული პასუხისმგებლობის ზედმეტი ტვირთის დაკისრებისგან.

კვლევითი მეთოდები.

კვლევის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და სინთეზის, შედარებით-სამართლებრივი, დოგმატური და კვლევის სხვა მეთოდები.

სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და სინთეზის გზით შესაძლებელია ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების სისტემატიზება, შედარებით-სამართლებრივი, დოგმატური და სხვა მეთოდები იძლევიან უკანონო საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების შესწავლისა და თემიდან გამომდინარე სიახლეების გამოკვეთის საშუალებას. იმის გამო, რომ ქართულ კანონმდებლობაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა გერმანულმა კანონმდებლობამ, მიზანშეწონილია მოხდეს ეროვნული ნორმატიული მოწესრიგების შედარება გერმანულ საკანონმდებლო რეგულაციებთან.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალის, ძირითადი ნაწილის (8 თავი) და დასკვნისგან.

პირველი თავი შეეხება ზიანის ანაზღაურების მოდელების დახასიათებას, საქართველოში მოქმედი მოდელების განსაზღვრას.

მეორე თავში განხილულია საჯარო-სამართლებრივი დელიქტის გამიჯვნას კერძო-სამართლებრივისგან.

მესამე თავი უკავშირდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების კლასიფიკაციას. ძირითადი აქცენტი გამახვილებულია საქართველოში მოქმედ სახელმწიფოსა და მოსამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელზე.

მეოთხე თავში მსჯელობა შეეხება ზიანის ანაზღაურების ფორმებს როგორცაა ნატურით რესტიტუცია და ფულადი ანაზღაურება.

მეხუთე თავი შეეხება ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურებას ადმინისტრაციული სამართლის სფეროს სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობაში. ამ უკანასკნელს განეკუთვნება საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, ინფორმაციის თავისუფლების წესების დარღვევა და სხვა კანონისმიერი ურთიერთობები.

მეექვსე თავი უკავშირდება არაქონებრივი სიკეთის დაცვას ხელყოფისგან. დაცვის სისტემა შედგება სამი ეტაპისაგან: არაქონებრივი უფლების ხელყოფის შეწყვეტა; ქონებრივი ზიანის ანაზღაურება და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

მეშვიდე თავი უკავშირდება კომპენსაციას საკუთრების უფლებაში ჩარევის გამო, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ოთხ შემთხვევაში: საკუთრების უფლების პირდაპირი ჩამორთმევა; საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევა; საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების არათანაზომიერი განსაზღვრა და საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევა.

მერვე თავში განხილულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების სისტემა როგორც დასრულებული, ასევე განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მიზნით.

დასკვნაში ასახულია სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ნაწილში მიღებული შედეგები და რეკომენდაციები.

თავი 1. ზიანის ანაზღაურების მოდელები

სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტის განსაზღვრა წარმოადგენს იმის ნათელ მაგალითს, თუ როგორ არის შესაძლებელი სამართლის განვითარებასთან ერთად შეიცვალოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული მიდგომები. აღნიშნულმა ცვლილებამ წარმოშვა რამდენიმე ურთიერთგანსხვავებული მოდელი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტი. კერძოდ, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება შესაძლებელია დაეკისროს უშუალოდ სახელმწიფო მოსამსახურეს ან უშუალოდ სახელმწიფოს ან ორივე მათგანს კომბინირებულად.¹¹ ეს უკანასკნელი თავის მხრივ დასაშვებია ითვალისწინებდეს სხვადასხვა კომბინაციას. ამ მოდელების/მიდგომების განსხვავების გამომწვევი მიზეზების გაცნობის გარეშე, შეუძლებელი იქნება საკვლევ თემასთან დაკავშირებით სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა. აღნიშნულის მიღწევის მიზნით, უმჯობესია განხილულ იქნას გერმანიის გამოცდილება, რადგან, ჩვენგან განსხვავებით, გერმანიაში სამართლის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტის განსაზღვრის მოდელებიც. საქართველოში კი, გერმანიის გამოცდილების გათვალისწინებით, თავიდანვე დამკვიდრებული იქნა ფაქტობრივად ის მოდელი, რომლის შექმნასაც ამ ქვეყანაში დასჭირდა ათწლეულები.

1.1. მოსამსახურის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე

თავდაპირველად, უკანონო საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენდა უშუალოდ სახელმწიფო მოსამსახურე, რაც დღესდღეობით ცნობილია, როგორც „სახელმწიფო მოსამსახურის პასუხისმგებლობის მოდელი“. აღნიშნული მიდგომა, ადრეული პერიოდის გერმანიაში, იყო არგუმენტირებული და გამომდინარეობდა „მანდატის თეორიიდან“ („მანდატის შესახებ კონტრაქტიდან“), რაც გულისხმობდა შემდეგს: მიიჩნეოდა, რომ სახელმწიფოს მმართველსა და ცალკეულ სახელმწიფო მოსამსახურეს შორის, იდებოდა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელს

¹¹ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 267.

გადაეცემოდა სახელისუფლებო ამოცანები, კანონიერად შესრულების მიზნით. აღნიშნულის გამო, სახელმწიფო მოსამსახურის კანონიერი ქმედება მიეკუთვნებოდა სახელმწიფოს და თვითონ მოქმედი პირი მიიჩნეოდა სახელმწიფო მოსამსახურედ. ამის საწინააღმდეგოდ, პირის უკანონო ქმედება, იწვევდა მის პერსონალურ პასუხისმგებლობას,¹² რადგან „მანდატის თეორიის“ არსიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოსამსახურეს მანდატი მიღებული ჰქონდა მხოლოდ კანონიერ და არა ასევე უკანონო ქმედებებზეც. ამიტომ მანდატის ფარგლების გაცდენის შემთხვევაში, იგი აღარ მიიჩნეოდა სახელმწიფო მოსამსახურედ¹³ და ამ გაგებით, თუ ზიანი არ გამოიწვია სახელმწიფო მოსამსახურემ, მაშინ ზიანის ანაზღაურებაც არ უნდა დაეკისროს სახელმწიფოს.

1.2. სახელმწიფოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, უარყოფილი იქნა მოსაზრება, რომ სახელმწიფომ პასუხი არ უნდა აგოს თავისი მოსამსახურეების ქმედებების გამო, მხოლოდ იმ მოტივით, რომ მანდატის გამცემი არ არის ბრალეული იმაში, რაც მანდატის მიმღებმა განახორციელა მანდატის ფარგლებს მიღმა. აღნიშნული მოსაზრების უარყოფის უმთავრეს არგუმენტს წარმოადგენდა ის, რომ არაგონივრულია, როდესაც სახელმწიფო მისი მოქალაქეებისგან ფაქტობრივად მოითხოვს, რომ დიდი ხარჯებისა და დაუძლეველ სირთულეებთან ბრძოლის ფასად, აინაზღაურონ მათთვის მიყენებული ზიანი იმ სახელმწიფო მოსამსახურისგან, რომლის მოძიებაც კი ზოგჯერ შესაძლოა რთული იყოს და რომლისგანაც, ძალიან ხშირად, ზიანის ოდენობის თანხის სრულად ამოღება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულს შედეგად მოყვა იმ მსჯელობის გაბატონება, რომ უნდა წარმოიშვას უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, მაგრამ სახელმწიფო პასუხისმგებლობის წინაპირობები დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მოსამსახურის პასუხისმგებლობაზე, რაც ნიშნავდა იმას, რომ უშუალოდ სახელმწიფო პასუხს აგებდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ასევე მოსამსახურეც პერსონალურად იყო

¹² Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 5, Rn. 8.

¹³ თორაძე დ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ (საქართველოსა და გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მაგალითებზე), სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018, გვ. 15.

პასუხისმგებელი. დღესდღეობით მიიჩნევა, რომ აღნიშნული დათქმა წარმოადგენდა პასუხისმგებლობის წინაპირობების ნაკლოვანებას. ვინაიდან ამოსავალი წერტილია ან მანდატის თეორია, რომლის მიხედვითაც შედეგად დგება მხოლოდ მოსამსახურის პერსონალური პასუხისმგებლობა ან ის, რომ მოსამსახურის ქმედებები შეერაცხება უშუალოდ სახელმწიფოს, რაც შესაბამისად შედეგად იწვევს უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები მე-19 საუკუნის მიწურულს, რადგან გამორჩეული მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ, ამჯერად უარყოფილ იქნა უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოდელი და დაუბრუნდნენ ისევ ძველ სწავლებას მანდატის თეორიის შესახებ. აღნიშნულისთვის მითითებულ იქნა ორი მთავარი არგუმენტი: ერთი - იდეა იმის შესახებ, რომ მოსამსახურის უკანონობის გამო უნდა დადგეს პერსონალური პასუხისმგებლობა და მეორე - მოსაზრება იმ პერიოდისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკანონმდებლო მოწესრიგების არ არსებობის შესახებ. საბოლოო ჯამში გადაწყდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო კერძო სახსრებიდან. ამ საკითხთან ერთად, საინტერესო იყო ისიც, რომ ამ პერიოდში ერთმანეთისგან გაიმიჯნა პასუხისმგებლობა ე.წ. ფისკალურ და სახელისუფლებო მმართველობითი საქმიანობის სფეროებად.¹⁴

განვითარების ამ ეტაპზე მიღებული იქნა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებდა უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ერთადერთ შემთხვევას, ეს იყო, როცა ზიანი გამოწვეული იქნა სახელმწიფოს კერძო სამართლებრივი საქმიანობით.¹⁵ მოიაზრებოდა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს უშუალოდ უნდა ეგო პასუხი ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რაც აისახა სამოქალაქო კოდექსის 89-ე და 31-ე პარაგრაფებში. არსებული შეხედულებით, აღნიშნული პარაგრაფები მიუთითებენ ზუსტად იმაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების მომენტისთვის, მანდატის თეორია ძირითადად დამლეული იყო.¹⁶ კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 89-

¹⁴ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 9-10.

¹⁵ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 5, Rn. 9

¹⁶ Dörr C., BGB Staatshaftung, Grosskommentar, 2019, S. 11, Rn. 4.

ე პარაგრაფის პირველი პუნქტის თანახმად, „31-ე პარაგრაფის დებულება გამოიყენება ხაზინის მიმართ, ისევე როგორც საჯარო სამართლის გაერთიანებების, ფონდებისა დაწესებულებების მიმართ.“¹⁷, ხოლო იმავე კოდექსის 31-ე პარაგრაფის მიხედვით, „კავშირი პასუხისმგებელია მესამე მხარისთვის მიყენებული ზიანისთვის, რომელიც გამოწვეული იქნა გამგეობის, გამგეობის წევრის ან კავშირის შინაგანი სტრუქტურის მიხედვით დანიშნული წარმომადგენლის მოქმედების შედეგად მისთვის დაკისრებული საქმიანობის განხორციელების დროს.“¹⁸ აღნიშნული განაპირობა იმან, რომ არსებობდა აშკარად გამოკვეთილი მსგავსება „კავშირსა“ და „სახელმწიფოს“ შორის. ორივე მათგანი წარმოადგენდა ორგანიზაციულ სამართლებრივ წარმონაქმნს იმ განსხვავებით, რომ „კავშირი“ - კერძო სამართლის, ხოლო სახელმწიფო (გერმანიის სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით, ფედერაცია და მასში შემავალი მიწები) - საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და არცერთი მათგანი არ იყო შექმნილი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით.¹⁹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 89-ე პარაგრაფი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, იგი აწესრიგებდა საჯარო სამართლის გაერთიანებების ე.ი. სახელმწიფოს (ფედერაციისა და მასში შემავალი მიწების) ნებისმიერ სფეროში საქმიანობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკითხს, რეალურად აწესებდა უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მხოლოდ ფისკალურ და კერძო სამართლის სფეროებში და არა ასევე სახელისუფლებო მმართველობითი საქმიანობის სფეროში წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურებისთვის. დამკვიდრებული მოსაზრებით, სახელისუფლებო მმართველობითი საქმიანობის სფეროში წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების საკითხს კავშირი ჰქონდა საჯარო სამართალთან, ამ უკანასკნელის მოწესრიგება კი ექცეოდა არა ფედერაციის, არამედ ფედერაციაში შემავალი მიწების უფლებამოსილებაში.²⁰ აღნიშნული საკითხის მოწესრიგება, ფედერაციაში შემავალმა მიწებმა, განსხვავებულად გადაწყვიტეს. აღსანიშნავია, რომ არცერთმა მათგანმა არ გაითვალისწინა უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და დროთა

¹⁷ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოც., მიუნხენი, 2011, თარგ. დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2014, გვ. 24.

¹⁸ იხ. იქვე, გვ. 8.

¹⁹ იხ. იქვე, გვ. 4.

²⁰ Dörr C., BGB Staatshaftung, Grosskommentar, München, C. H. Beck Verlag, 2019, S. 11, Rn. 4.

განმავლობაში ჩამოყალიბდა სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელი,²¹ რომელიც წარმოადგენს სახელისუფლებო მმართველობითი საქმიანობის სფეროში უკანონო ქმედებით წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ერთ-ერთი კომბინაციის ნაირსახეობას.

1.3. კომბინირებული ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე

სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება შესაძლოა სხვადასხვა კომბინაციით გადანაწილდეს სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის. ძირითადად გამოიყოფა ორი სახის კომბინაცია: კუმულატიური და სამსახურებრივი პასუხისმგებლობები.²²

1.3.1. სახელმწიფოსა და მოსამსახურის კუმულატიური პასუხისმგებლობა

ზიანის ანაზღაურების კუმულატიური ვალდებულების დროს სახელმწიფო და მოსამსახურე პასუხს აგებენ ერთობლივად, ერთმანეთის გვერდიგვერდ.²³ ასეთ მოდელს შეგვიძლია მივაკუთვნოთ სუბსიდიური და სოლიდარული პასუხისმგებლობები.

სუბსიდიური პასუხისმგებლობის არსი მგომარეობს იმაში, რომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული იმ პირის ნაცვლად, რომელსაც არ აქვს ზიანის ოდენობის გადახდის უნარი, ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, კანონდებლობით განსაზღვრულ, სხვა პირს.²⁴ ასეთი მოდელის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება უშუალოდ მოსამსახურეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს გადახდისუუნარო პირს, ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო.²⁵ აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავდაპირველად წარდგენილი უნდა იქნას მოსამსახურის წინააღმდეგ.

²¹ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 10.

²² s. ebda., S. 8.

²³ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 708, Rn. 1.

²⁴ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, 2009, №1, გვ. 54-55.

²⁵ თორაძე დ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ (საქართველოსა და გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მაგალითებზე), სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018, გვ. 18.

სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება საწყისი ეტაპიდანვე ეკისრება როგორც უშუალოდ სახელმწიფოს, ასევე უშუალოდ მოსამსახურეს და არ აქვს მნიშვნელობა იმას, მოსამსახურე არის თუ არა გადახდისუნარიანი. ასეთი მოდელი დაზარალებულისთვის არის უფრო ხელსაყრელი, რადგან სუბსიდიური პასუხისმგებლობის მოდელისგან განსხვავებით, დაზარალებულს აქვს იმის არჩევანის თავისუფლება, თუ ვის წინააღმდეგ და რა მოცულობით, სრულად თუ ნაწილობრივ, წარადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას,²⁶ იქნება ეს სახელმწიფო თუ მოსამსახურე. სახელმწიფოს ფინანსური რესურსების გათვალისწინებით ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დაზარალებულმა ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს მოსამსახურისაგან სრული მოცულობით, თუმცა მოვლენათა ასეთ განვითარებას სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელი საერთოდ არ გამორიცხავს. გადამწყვეტია, რამდენად ექნება აღნიშნულის მოტივი დაზარალებულს. ასეთ მოტივს შესაძლოა ადგილი ქონდეს მაშინ, როდესაც მაგალითად, არსებობს მწვავე პიროვნული დაპირისპირება დაზარალებულსა და მოსამსახურეს შორის.

1.3.2. სამსახურებრივი პასუხისმგებლობა (Amtshaftung)

სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტის განსაზღვრის საკითხზე, ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად, უშუალოდ მოსამსახურის პასუხისმგებლობის მოდელი გერმანიაში ჩანაცვლებული იქნა სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელით. ეს უკანასკნელი მოიაზრებს იმას, რომ ზიანის ანაზღაურებაზე უპირველესად პასუხისმგებელია მოსამსახურე, მაგრამ მოსამსახურის პერსონალური პასუხისმგებლობა გადაკისრებულია სახელმწიფოზე იმ შედეგით, რომ მოსამსახურის ნაცვლად სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს ზიანი.²⁷ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სახელმწიფოზე გადატანილია ე.წ. პასიური ლეგიტიმაცია ანუ დაზარალებულის უფლება, რომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტად და შესაბამისად,

²⁶ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, 2009, №1, გვ. 54.

²⁷ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 708, Rn. 1.

მოთხოვნის მოპასუხედ მიუთითოს სახელმწიფო და არა მოსამსახურე. პასუხისმგებლობის ასეთი აგებულების მოდელს, როდესაც მოსამსახურის პერსონალური პასუხისმგებლობა გადაკისრებულია სახელმწიფოზე, ეწოდება სამსახურებრივი პასუხისმგებლობა²⁸ და მიიჩნევა, რომ სახელმწიფო პასუხს აგებს არა მოსამსახურესთან ერთად, არამედ მის ნაცვლად.²⁹ ზუსტად ამ გარემოებიდან გამომდინარეა, რომ სახელმწიფომ მოსამსახურის ნაცვლად უნდა აანაზღაუროს ზიანი, სახელმწიფოს აქვს უკუმოთხოვნის/რეგრესის უფლება მოსამსახურის მიმართ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეული იქნა მოსამსახურის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით. უკუმოთხოვნის/რეგრესის უფლება სახელმწიფოს არ წარმოეშობა, როდესაც მოსამსახურე მოქმედებდა მარტივი/უბრალო გაუფრთხილებლობით და ვინაიდან, როგორც წესი, ზიანი გამოწვეულია მოსამსახურის მარტივი/უბრალო გაუფრთხილებლობით, სახელმწიფოს მიერ მოსამსახურის მიმართ უკუმოთხოვნის/რეგრესის შემთხვევებიც არის იშვიათი.³⁰

სამსახურებრივ პასუხისმგებლობის მოდელს გერმანიაში კუმულატიურად ქმნიან გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 839-ე პარაგრაფი და ძირითადი კანონის 34-ე მუხლი. დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული ორი დებულება ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული.³¹ მათ შორის არსებობს განსხვავებები ერთიდაიმავე საკითხებთან დაკავშირებით, ორივე მათგანი ერთდროულად ზღუდავენ და აფართოებენ ერთიმეორეს, თუმცა ქმნიან ერთიან მოთხოვნას ზიანის ანაზღაურებაზე.³² არსებობს მოსაზრება, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 839-ე პარაგრაფი არის ე.წ. მოთხოვნის ნორმა ანუ დებულება, რომელიც არის მოთხოვნის საფუძველი, ხოლო გერმანიის ძირითადი კანონის 34-ე მუხლი კი ე.წ. შერაცხვითი ნორმა ანუ დებულება, რომლითაც ერთი პირის ქმედება შეერაცხება მეორე პირს და, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, იწვევს ამ უკანასკნელის ვალდებულების წარმოშობას.³³ ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ორი ნორმა მხოლოდ და მხოლოდ

²⁸ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 8.

²⁹ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 710, Rn. 7.

³⁰ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 7, Rn. 18.

³¹ s. ebda., S. 6, Rn. 12.

³² s. ebda. S. 6., Rn. 14.

³³ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 11.

ერთიანობაში უნდა იქნას წაკითხული და არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გამოწვეულია იმით, რომ დღემდე, გერმანიის ისტორიული გამოცდილების გამო, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 839-ე პარაგრაფი აწესებს უშუალოდ მოსამსახურის ვალდებულებას ზიანის ანაზღაურებაზე, ხოლო გერმანიის ძირითადი კანონის 34-ე მუხლი კი ვალდებულებას აკისრებს „ძირითადად სახელმწიფოს“ ანუ უშუალოდ მოსამსახურის პასუხისმგებლობა გადაეკისრა სახელმწიფოს (სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელი). ამას გარდა, განსხვავებაა ზიანის გამომწვევი პირის ნაწილში, 839-ე პარაგრაფი შეეხება პერსონალურად მოსამსახურეებს/მოხელეებს, ხოლო 34-ე მუხლი მოიაზრებს - ნებისმიერ პირს; ასევე განსხვავებაა იმაში, რომ 839-ე პარაგრაფი მიუთითებს, რომ ზიანი შესაძლოა წარმოიშვას როგორც საჯარო-სამართლებრივი ასევე კერძო-სამართლებრივი ქმედებით, ხოლო 34-ე მუხლის მიხედვით კი - მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი ქმედებით.³⁴ თუმცა ორივე მათგანი აწესებს იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა მხოლოდ უკანონო ქმედებით.³⁵ შესაბამისად სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელი მოიცავს მხოლოდ უკანონო ქმედებით წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების საკითხს.

სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელის ჩამოყალიბება განაპირობა ორმა გარემოება: ერთის მხრივ და პირველ რიგში დაზარალებულის ინტერესების დაცვამ - კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას ჰყოლოდა გადახდისუნარიანი მოვალე და მეორეს მხრივ და მხოლოდ მეორე რიგში, მოსამსახურის ინტერესების დაცვამ - მოსამსახურე თავისი ამოცანების შესრულების მიზნით, გადაწყვეტილებების მიღებისას და საქმიანობისას უნდა იყოს თავისუფალი მოსალოდნელი პერსონალური პასუხისმგებლობის რისკისგან³⁶ და დაცული პირადი ფინანსური დანაკარგებისგან³⁷, რაც გამომდინარეობს მმართველობის ფუნქციონირებაუნარიანობის, ეფექტიანობის შენარჩუნების ინტერესებიდან, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსამსახურის მხრიდან

³⁴ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 6, Rn. 12 und 13.

³⁵ s. ebda., Rn. 16.

³⁶ s. ebda., S. 5-6, Rn. 11.

³⁷ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 11.

ინიციატივის გამოჩენის სურვილისა და გადაწყვეტილების მიღების მზადყოფნის შემცირება.³⁸

განსახვავებული მიზეზებიდან გამომდინარე, სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელი სარგებლობს უპირატესობებით პასუხისმგებლობის სხვა მოდელებთან შედარებით.

უშუალოდ მოსამსახურის პასუხისმგებლობის მოდელის უმთავრეს ნაკვლს წარმოადგენს ის, რომ ასეთი მოწესრიგების პირობებში, დაზარალებულის წინაშე გარანტირებულად არ არსებობს გადახდისუნარიანი მოვალე, რითაც ვერ იქნება დაცული დაზარალებულის ინტერესები, რადგან მისთვის შეუძლებელი იქნება ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურება. შესაბამისად, უშუალოდ მოსამსახურის პასუხისმგებლობის მოდელი ვერ აკმაყოფილებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპით დადგენილ სტანდარტს.

პასუხისმგებლობის სხვა - სუბსიდიური და სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელების შემთხვევაში, დაზარალებულის წინაშე, მართალია, დგას გადახდისუნარიანი მოვალე, სახელმწიფოს სახით, მაგრამ ამ მოდელების შემთხვევაში დაცული არ არის მოსამსახურის ინტერესი, რადგან ორივე შემთხვევაში, განსაკუთრებით სუბსიდიური პასუხისმგებლობის დროს, მარტივი/უბრალო გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც კი ზიანის ანაზღაურება მოხდება მოსამსახურის პერსონალური მატერიალური სახსრებიდან. აღნიშნული გამოიწვევს შიშს მოსამსახურეებში და დააბრკოლებს მათ მიერ ინიციატივების გამოჩენასა და თამამი გადაწყვეტილებების მიღებას, რაც უცილობლად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საჯარო მმართველობის ეფექტიანად განხორციელებაზე.

დაზარალებულისა და მოსამსახურის ინტერესების დაცვის გარდა, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას საჯარო ინტერესი იმის თაობაზე, რომ საჯარო მმართველობის განხორციელებისას მოსამსახურეს ჰქონდეს გონივრული სიფრთხილის გამოჩენის საჭიროება და ზოგადად პასუხისმგებლობის გრძნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამსახურის პასუხისმგებლობისგან საერთოდ

³⁸ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 710, Rn. 5.

განთავისუფლებამ, შესაძლოა გამოიწვიოს მოსამსახურის აპათია ინიციატივის გამოჩენისა და სამსახურებრივი ვალდებულების შესრულების მიმართ და ზედაპირული დამოკიდებულება, მიდგომა თავისი საქმისადმი, რაც ასევე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საჯარო მმართველობის ეფექტიანად განხორციელებაზე.

აღნიშნული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, იმისათვის, რათა მოსამსახურეს გააჩნდეს გონივრული სიფრთხილისა და ზოგადად პასუხისმგებლობის გრძნობა, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს უკუმოთხოვნის/რეგრესის უფლება მოსამსახურის მიმართ, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანი გამოიწვია მოსამსახურის განზრახ ან უხეშმა გაუფრთხილებელმა ქმედებამ. მოსამსახურის ინტერესების დაცვის მიზნით კი, რათა მას ხელი არ შეეშალოს ინიციატივის გამოჩენასა და თამამი გადაწყვეტილებების მიღებაში, მარტივი/უბრალო გაუფრთხილებლობის დროს, სახელმწიფოს არ უნდა გააჩნდეს უკუმოთხოვნის/რეგრესის უფლება მოსამსახურის მიმართ.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის დღეს არსებული მოდელებიდან, ბალანსს, დაზარალებულის, მოსამსახურისა და საჯარო ინტერესებს შორის, ყველაზე უკეთ იცავს სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელი. ასეთი მოწესრიგების პირობებში, დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოემობა სახელმწიფოს მარტივი/უბრალო გაუფრთხილებლობით, ასევე უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში, ხოლო მოსამსახურის მიმართ უკუმოთხოვნის/რეგრესის უფლება სახელმწიფოს უნარჩუნდება მხოლოდ უხეში გაუფრთხილებელი ან განზრახი ქმედებით ზიანის გამოწვევის შემთხვევაში და არა ასევე მარტივი/უბრალო გაუფრთხილებლობის დროსაც.

1.4. პასუხისმგებლობის მოდელი საქართველოს მაგალითზე

სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისათვის დაწესებული მოდელის განსაზღვრის მიზნით, განხილული უნდა იქნას ორი კრიტერიუმი, რომლებზედაც ზოგადად დამოკიდებულია ის, თუ პასუხისმგებლობის რა მოდელი მოქმედებს: პირველი - უნდა დადგინდეს, ვის შეერაცხება ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედება

(სახელმწიფოს თუ მოქალაქეს) და მეორე - ვისი ფინანსური სახსრებიდან უნდა მოხდეს დაზარალებულის სასარგებლოდ ზიანის ოდენობის თანხის გადახდა (სახელმწიფოს თუ მოქალაქის ფინანსებიდან).

ზედა ქვეთავებში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია მოკლედ დავახასიათოთ პასუხისმგებლობის თითოეული მოდელი:

ა) უშუალოდ მოსამსახურის პასუხისმგებლობა - ზიანის გამომწვევი ქმედება შეერაცხება პირდაპირ მოსამსახურეს. ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება ექსკლუზიურად და მხოლოდ მოსამსახურეს. სახელმწიფო ზიანს არ ანაზღაურებს.

ბ) უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა - ზიანის გამომწვევი ქმედება შეერაცხება პირდაპირ სახელმწიფოს. ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება ექსკლუზიურად და მხოლოდ სახელმწიფოს. მოსამსახურე ზიანს არ ანაზღაურებს.

გ) სუბსიდიური პასუხისმგებლობა - ზიანის გამომწვევი ქმედება შეერაცხება პირდაპირ მოსამსახურეს. ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მოსამსახურეს. თუ მას არ გააჩნია ამისთვის საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები, მაშინ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო.

დ) სოლიდარული პასუხისმგებლობა - ზიანის გამომწვევი ქმედება ერთობლივად შეერაცხებათ როგორც მოსამსახურეს, ასევე სახელმწიფოს. ზიანის ანაზღაურება ერთობლივად, სოლიდარულად ეკისრება როგორც მოსამსახურეს, ასევე სახელმწიფოს. გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის ზოგადი წესები უკუმოთხოვნის/რეგრესის უფლებასთან დაკავშირებით.

ე) სამსახურებრივი პასუხისმგებლობა - ზიანის გამომწვევი ქმედება შეერაცხება პირდაპირ მოსამსახურეს, ხოლო ირიბად სახელმწიფოს. ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს. მოსამსახურის უხეში გაუფრთხილებლობის ან განზრახვის შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს უკუმოთხოვნის/რეგრესის უფლება მოსამსახურის მიმართ.

საქართველოს უზენაესი კანონის თანახმად, ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.³⁹ აღნიშნული დათქმა გამორიცხავს „უშუალოდ მოსამსახურის პასუხისმგებლობის მოდელს“, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების მიზნით ერთი თეთრიც კი არ იხარჯება. ასევე გამორიცხება „სუბსიდიური პასუხისმგებლობის მოდელიც“, რადგან საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ისეთი ჩანაწერი, რომელიც არათუ პირდაპირ, არამედ ირიბად მაინც მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფო ზიანის ოდენობას აანაზღაურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი არ აღმოჩნდა ზიანის მიმყენებელი მოსამსახურის ფინანსური შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, გვრჩება პასუხისმგებლობის სამი შესაძლო მოდელი: „უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა“, „სოლიდარული პასუხისმგებლობა“ და „სამსახურებრივი პასუხისმგებლობა“.

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა, უხეში გაუფრთხილებლობისა და განზრახვის შემთხვევებში, ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფოსთან სოლიდარულად, მოსამსახურის ფინანსური რესურსებიდან⁴⁰, უნდა გამოირიცხოს ასევე „უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოდელიც“. ამ უკანასკნელის დროს მოსამსახურე საერთოდ არ ანაზღაურებს ზიანს⁴¹, მისი ქმედება პირდაპირ შეერაცხება სახელმწიფოს ანუ ამოღებულია შუალედური, დამაკავშირებელი რგოლი (მოსამსახურის სახით) სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის და ზიანის ანაზღაურებაზეც პასუხს აგებს ექსკლუზიურად, მხოლოდ სახელმწიფო.⁴² აღნიშნული კიდევ უფრო ნათელი გახდება და გამოჩნდება, რომ უკანონო ქმედებით გამოწვეულ

³⁹ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 18, პუნქტი 4, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1005, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴¹ Ossenhühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 8.

⁴² Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 708, Rn. 1.

ზიანზე დღეს მოქმედი კანონმდებლობით მხოლოდ სახელმწიფო არაა პასუხისმგებელი, თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო სამსახურში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს, რომელთა შესაბამისად, „მოხელეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისთვის.“⁴³ აქედან გამომდინარე, ზიანის გამომწვევი ქმედება არ შეერაცხება მხოლოდ სახელმწიფოს, რის გამოც უნდა გამოვრიცხოთ „უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოდელიც“.

„სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელის“ მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედება პირდაპირ შეერაცხება მოსამსახურეს, ხოლო ირიბად სახელმწიფოს, რის გამოც პასუხისმგებლობა გადაკისრებულია სახელმწიფოზე და მოქალაქისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც ეკისრება სახელმწიფოს. ზიანის ანაზღაურების შემდგომ კი, ურთიერთობა ერთმანეთში უნდა გაარკვიონ მოსამსახურემ და სახელმწიფომ. საქართველოს რეალობაში, როგორც ზევით აღინიშნა, მოხელის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებაზე, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მოხელეს, მეორეს მხრივ, მოსამსახურის უკანონო საქმიანობით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.⁴⁴ თითქმის იგივე მიმართებაა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 839-ე პარაგრაფსა და ძირითადი კანონის 34-ე მუხლს შორის, რის გამოც შეგვეძლო გვეფიქრა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია „სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელი“, მაგრამ ამ საკითხში გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქმოდეს სამოქალაქო კოდექსის 1005 მუხლს, რადგან იგი არის ე.წ. მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, ვინაიდან იგი განსაზღვრავს მოსამსახურის უკანონო საქმიანობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობებს.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოსამსახურის და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეკისრებათ იდენტურ შემთხვევებში მოსამსახურის

⁴³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2015 წლის 27 ოქტომბერი, მუხლი 72, პუნქტი 4, <https://matsne.gov.ge/document/view/3031098?publication=35>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 208, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16270>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

უხეში გაუფრთხილებელი და განზრახი ქმედების დროს. რომ არა ეს გარემოებაც, ხსენებული ნორმა პირდაპირ აწესებს, რომ „განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.“ სამეცნიერო წრეებში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული დანაწესი არ უნდა იქნას გაგებული მისი კლასიკური მნიშვნელობით, ისე თითქოს დაზარალებულს აქვს დისკრეცია მოპასუხის შერჩევაში და შესაძლებლობა, რომ სახელმწიფოსთან ერთად ან ცალკე მხოლოდ მოსამსახურე იყოს დაზარალებულის წინაშე მოპასუხედ და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად. გავრცელებული მოსაზრებით, ის, რომ მოსამსახურე პასუხს აგებს სოლიდარულად, ნიშნავს მხოლოდ სახელმწიფოს რეგრესის უფლებას მოსამსახურის მიმართ.⁴⁵ აღნიშნული ნორმა საპირისპიროდ განიმარტება სასამართლო პრაქტიკით, რაზეც ყურადღებაა გამახვილებული სხვადასხვა სამეცნიერო სტატიაში⁴⁶. ბოლო პერიოდის სასამართლო გადაწყვეტილებებიც იგივეზე მიუთითებენ. 2018 წლის 12 სექტემბერს შ. ჩ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელ - მ. ბ-ის მიმართ. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში აღმასრულებლის მოქმედებას, რომელმაც მას მიაყენა ზიანი. მოგვიანებით, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილ სარჩელში მოსარჩელემ მოპასუხედ მ.ბ.-სთან ერთად მიუთითა თბილისის სააღსრულებო ბიუროც და საბოლოო ჯამში ამ საქმეზე ერთ-ერთ მოპასუხეს წარმოადგენდა მოსამსახურე.⁴⁷ აღნიშნულს კი იწვევს ზუსტად ის, რომ კანონმდებლობა მოსამსახურეს აკისრებს სოლიდარულ პასუხისმგებლობას.

⁴⁵ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 272-273; თორაძე დ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ (საქართველოსა და გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მაგალითებზე), სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018, გვ. 17-18.

⁴⁶ ვრცლად იხ. მეგენიშვილი ნ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოდელების ზოგადი მიმოხილვა, ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები სტატიათა კრებული, 2013, 157-159.

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე Nზს-747(გ-19).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოსამსახურეს აკისრებს და პირდაპირ მოიხსენიებს სოლიდარულ პასუხისმგებლობას და სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისათვის საქართველოში დაწესებულია არა სამსახურებრივი ან რომელიმე სხვა სახის, არამედ სახელმწიფოსა და მოსამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელის დაწესება სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შემთხვევებზე არ უნდა იყოს გამართლებული. პირების სოლიდარული პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც ზიანი გამოწვეულია ორი ქმედების შედეგად ანუ, როდესაც პირები მოქმედებენ ერთობლივად.⁴⁸ ზიანის მიყენებაში უნდა მონაწილეობდეს რამდენიმე პირი და თითოეულმა მათგანმა უნდა განახორციელოს „თავისი/საკუთარი“ ქმედება, რომელიც თამაშობს გარკვეულ როლს ზიანის დადგომაში სხვა პირის ქმედებასთან ერთად.⁴⁹ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზიანის გამომწვევი არის არა რამდენიმე, არამედ ერთადერთი პირი - დამსაქმებელი ანუ სახელმწიფო, რომელიც ითვლება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.⁵⁰ ხოლო იმისთვის, რომ იურიდიული პირი იყოს ქმედუნარიანი ანუ ჰქონდეს ქმედების განხორციელების უნარი, მას ესაჭიროება ფიზიკური პირები - დასაქმებულები, რომლებიც სხვა პირებთან მოქმედებენ დამსაქმებლის სახელით და არა დამოუკიდებლად.⁵¹ შესაბამისად, ზიანის გამომწვევი ქმედება პირდაპირ შეერაცხება იმას, ვინც მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობაში ანუ სახელმწიფოს, ხოლო მოსამსახურე არის, არც მეტი არც ნაკლები, „საშუალება/ხელსაწყო“, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფო მონაწილეობას ღებულობს ამ ურთიერთობებში და არა ურთიერთობის დამოუკიდებლად მონაწილე

⁴⁸ ჩიკვაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ., (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 998, გვ. 403.

⁴⁹ იხ. იქვე, გვ. 403.

⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1509, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „ა“, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁵¹ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 30-31.

პირი. ამდენად, ვინაიდან ურთიერთობაში დამოუკიდებლად მონაწილე პირი არის მხოლოდ სახელმწიფო და არა მოსამსახურეც, შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ზიანიც გამოწვეული ვერ იქნება ორი პირის ქმედებების შედეგად და ამ უკანასკნელისთვის, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სოლიდარულად დაკისრება არის გაუმართლებელი. ზიანის ანაზღაურება უნდა ეკისრებოდეს მხოლოდ იმ პირს, ვინც დამოუკიდებლად მონაწილეობს ურთიერთობაში და ვისაც ირიბად შეერაცხება ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედება, რადგან დასაქმებული ურთიერთობაში გამოდიოდა დამსაქმებლის სახელით. ასეთ მიდგომას კი აკმაყოფილებს სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელი.

1.5. სსკ-ს 1005-ე მუხლის კავშირი დამსაქმებლის პასუხისმგებლობის მოდელთან

საქართველოში მოქმედი პასუხისმგებლობის მოდელის შესაბამისად, იმისათვის, რომ სახელმწიფოს დაეკისროს მისი მოსამსახურის უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, აუცილებელი და სავალდებულო პირობაა, რომ ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედება ჩადენილ იქნას დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს.⁵² მოსამსახურეს ეკისრება სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შრომითი ურთიერთობა მოსამსახურესა, როგორც დასაქმებულს და სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებელს, შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ შრომითი ურთიერთობის არ არსებობის პირობებში, არ არსებობს არც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალეობები და ამდენად, შეუძლებელია მათი დარღვევა, რადგან შეუძლებელია ადამიანმა დაარღვიოს ის მოვალეობა, რომელიც არ არსებობს. სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის არსებულ შრომით ურთიერთობას ეწოდება შიდა ურთიერთობა (Innenverhältniss), რომლის მიხედვითაც მოსამსახურე სამსახურებრივ მოვალეობას არღვევს მაშინ, როდესაც სახელმწიფოსთან (დამსაქმებელთან) სამსახურებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოვალეობები ე.ი. მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობები ირღვევა ამ უკანასკნელის მიერ.⁵³ აქედან გამომდინარე, საქართველოს

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1005, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁵³ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 715, Rn. 16.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია, სახელმწიფო წარმოადგენდეს დამსაქმებელს, მოსამსახურე მის დასაქმებულს და ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედება ჩადენილი იყოს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსთვის იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას, რომელიც გამოწვეული იქნა მისი მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს ჩადენილი უკანონო ქმედებით, აქვს მჭიდრო კავშირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევასთან⁵⁴. ამ უკანასკნელის დროს, დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს, მისი დასაქმებულის მიერ, შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას გამოწვეული ზიანი. აღნიშნული მუხლი აწესრიგებს ურთიერთობას, რომელშიც მონაწილეობს სამი სუბიექტი: ა). დამსაქმებელი; ბ). მისი სახელით მოქმედი, ზიანის გამომწვევი დასაქმებული და გ). დაზარალებული.⁵⁵ დავას არ უნდა იწვევდეს ის სამართლებრივი გარემოება, რომ ურთიერთობა სახელმწიფოსა და მის მოსამსახურეს შორის, აღიქმება შრომით ურთიერთობად სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებელსა და მის მოსამსახურეს, როგორც დასაქმებულს, შორის.⁵⁶ ვინაიდან კერძო-სამართლებრივ შრომით ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსით და ეს უკანასკნელი არ ითვალისწინებს დამსაქმებლის პასუხისმგებლობის წესს, ბლანკეტური ნორმის საფუძველზე,⁵⁷ დამსაქმებლის პასუხისმგებლობის მიზნით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი.⁵⁸

⁵⁴ ამირანაშვილი გ., დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), 2013, II, გვ. 197.

⁵⁵ შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), 2013, II, გვ. 244-245.

⁵⁶ ქარდავა ე., საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოში და მოხელის სამართლებრივი სტატუსი, ადმინისტრაციული სამართალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013, 1, გვ. 54.

⁵⁷ საქართველოს შრომის კოდექსი, 2010 წლის 17 დეკემბერი, მუხლი 1, ნაწილი 2: „შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.“, <https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=17>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁵⁸ ამირანაშვილი გ., დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), 2013, II, გვ. 195.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე და 997-ე მუხლები აწესრიგებენ შინაარსობრივად იდენტურ საკითხს - (შრომითი) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დასაქმებულის უკანონო ქმედებით გამოწვეულ ზიანზე დამსაქმებლის პასუხისმგებლობის საკითხს. ორივე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასაქმებულს სამსახურებრივი მოვალეობა ეკისრება დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.“⁵⁹ არსებული რეალობის გათვალისწინებით, მოხელე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, რის სანაცვლოდაც იღებს შესაბამის ანაზღაურებას.⁶⁰

კერძო სამართლის სფეროში გამოთქმულია ისეთი მოსაზრებაც კი, რომ სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა იმდენად ახლოს დგას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ კერძო-სამართლებრივ შრომით ურთიერთობასთან, რომ შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმება და ერთიანი საკანონმდებლო რეგულაციის მიღება, რადგან საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ურთიერთობების დამოუკიდებლად მოწესრიგება არ წარმოადგენს აუცილებლობას იმის გამო, რომ „არ არსებობს ძირითადი პრინციპული განსხვავებები კერძო-სამართლებრივ შრომით და საჯარო სამსახურში არსებულ შრომით ურთიერთობებს შორის.“⁶¹ თუმცა ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულად უნდა მივიჩნიოთ. განსხვავებებზე, რაც უკავშირდება საჯარო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებას, მომდევნო თავში ვრცლად იქნება საუბარი.

გარდა იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე და 997-ე მუხლები აწესრიგებენ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობიდან

⁵⁹ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=17>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁶⁰ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2015 წლის 27 ოქტომბერი, მუხლი 3, ქვეპუნქტი „ე“, <https://matsne.gov.ge/document/view/3031098?publication=35>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁶¹ ძიმისტარაშვილი უ., ადმინისტრაციულ ორგანოსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების თავისებურებანი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), 2013, II, გვ. 41.

გამომდინარე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკითხს, ქართული სამართლებრივი სისტემის მიხედვით, ზემოხსენებული მუხლების რეგულირების სფეროში მოქცეული ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედებები, სამართლებრივი ინსტიტუტის თვალსაზრისით, მიჩნეულია დელიქტებად.

დელიქტად მიიჩნევა პირისთვის ზიანის მიყენება⁶² უნებართვო/აკრძალული ქმედების განხორციელების გზით.⁶³ იგი წარმოადგენს კანონისმიერი ურთიერთობების ერთ-ერთ სახეს, დავალების გარეშეს სხვისი საქმეების შესრულებასთან, უსაფუძვლო გამდიდრებასთან და სხვა ურთიერთობებთან ერთად ანუ კანონისმიერი ურთიერთობები არის უფრო ფართო ცნება, რომელიც მოიცავს დელიქტს და სხვა მსგავს ურთიერთობებს. ყველა ამ ურთიერთობას აქვს მხოლოდ და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი მსგავსი თვისება: პირებს შორის ურთიერთობა წარმოიშობა კანონის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების გარეშე. სწორედ ამიტომ, ასეთ კანონისმიერ ურთიერთობებს სხვანაირად, არასახელშეკრულებო ურთიერთობებსაც უწოდებენ.⁶⁴ აღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება კიდევ ერთი კავშირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე და 997-ე მუხლებს შორის, რადგან ორივე მათგანი აწესრიგებს უკანონო ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანის მიყენებით,⁶⁵ კანონის საფუძველზე, წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას - დელიქტურ ურთიერთობას. ჯერ კიდევ იმ დროიდან მოყოლებული, როცა „მანდატის თეორია“ ედო საფუძველად მოსამსახურის პასუხისმგებლობას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის უკანონო ქმედებით ზიანის მიყენება მიიჩნევა დელიქტად და არის ფაქტობრივად „სახელმწიფოს პასუხისმგებლობის თემასთან“ დაკავშირებული ერთადერთი საკითხი, რომელიც უცვლელი გადაურჩა ამ

⁶² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 317, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁶³ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 709, Rn. 4.

⁶⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 317, გვ. 29.

⁶⁵ ჩიკვაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლები 997 და 1005, გვ. 400 და 418.

თემაზე განხორციელებულ, რამდენიმე ასწლეულების მანძილზე მიმდინარე გონებრივ და სამეცნიერო დაბომბვას.⁶⁶

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე და 997-ე მუხლებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, რადგან ორივე მათგანი აწესრიგებს დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და ქართული სამართლებრივი სისტემის მიხედვით, ორივე მუხლით მოწესრიგებული საკითხი მიიჩნევა დელიქტურ ურთიერთობად. აღნიშნული კავშირი ართულებს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, მათ შორის არის არსებითი შინაარსობრივი განსხვავება, რაც გამოიხატება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე სამსახურებრივი მოვალეობების სამართლებრივ ბუნებაში. აღნიშნული კი, თავის მხრივ, გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი დელიქტები.

თავი 2. საჯარო-სამართლებრივი დელიქტის გამიჯვნა კერძო-სამართლებრივი დელიქტისაგან⁶⁷

სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დადასტურების⁶⁸ მიზნით, სამართალწარმოების გზის განსაზღვრა არის სამართლებრივი დებატების ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი. მაგალითად, გერმანიაში სამსახურებრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მოთხოვნებს დღემდე წყვეტენ სამოქალაქო დავის განმხილველი სასამართლოები,⁶⁹ რადგან ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედება შეერაცხება არა სახელმწიფოს, არამედ პერსონალურად კერძო სუბიექტს (სახელმწიფო/საჯარო მოსამსახურეს), რომელსაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როგორც სხვა კერძო სუბიექტებს, წარმოეშობა

⁶⁶ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 709, Rn. 4; s. auch Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 9-10.

⁶⁷ მიღებულია გადაწყვეტილება წინამდებარე თავის სტატიის სახით თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალის“ 2020 წლის მე-2 გამოცემაში გამოქვეყნების თაობაზე.

⁶⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებით ადასტურებს მოთხოვნას.

⁶⁹ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2014, Rn. 1099, 436.

საერთო დელიქტური ნორმების შესაბამისად.⁷⁰ ერთი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პასუხისმგებლობის ფინანსური ნაწილი „გადაკისრებულია/გადატანილია“ სახელმწიფოზე⁷¹ ანუ მოსამსახურის „ნაცვლად“ სახელმწიფოს ეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა.⁷² ასეთი მოწესრიგებით, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს თავდებობის ინსტიტუტის ნაირსახეობას, რადგან ერთი სუბიექტი - სახელმწიფო, კისრულობს ვალდებულებას, რომ მოვალე - მისი მოსამსახურე, შეასრულებს მის ფინანსურ ვალდებულებას კრედიტორის - დაზარალებულის, წინაშე.

გერმანიისგან განსხვავებით, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დადასტურების მიზნით, გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზა, რასაც ადასტურებს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა.⁷³ მართალია, ერთი შეხედვით, ამ კატეგორიის ზიანი წარმოადგენს კერძო-სამართლებრივ დელიქტს, რადგან მოთხოვნის საფუძველი გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით; თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი საქმის „ჩვეულებრივ“ კერძო-სამართლებრივ დელიქტად მიჩნევის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა მოთხოვნის განხილვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ზემოაღნიშნული ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებათა არსებობის გამო, წარმოიშობა სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელებით გამოწვეული დელიქტის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისა და იმის შეფასების საჭიროებები, თუ რამდენად გამართლებულია ასეთი კატეგორიის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინება.

2.1. დელიქტის ცნება

დელიქტის ცნების განსაზღვრის მიზნით, უნდა მოვიშველიოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის

⁷⁰ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, Rn. 3, 709.

⁷¹ s. ebda. Rn. 1, 708.

⁷² s. ebda. Rn. 7, 710.

⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინება Nზს-233-224(გ-10) საქმეზე.

ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.“ საკანონმდებლო დონეზე დელიქტი დაკავშირებულია ზიანის მიყენების ფაქტთან. ამასთან, ზიანის მიყენების შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სამართალდარღვევის არსებობა.⁷⁴ შესაბამისად, ტერმინი „დელიქტი“ უნდა განიმარტოს, როგორც სამართალდარღვევის შედეგად ზიანის მიყენება.

2.2. კავშირი საჯარო-სამართლებრივ დელიქტსა და კერძო-სამართლებრივ დელიქტს შორის

კავშირი საჯარო-სამართლებრივ დელიქტსა და კერძო-სამართლებრივ დელიქტს შორის არის აშკარა, რადგან სამართალდარღვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართალს სფეროში. მეტიც, „გარდაუვალია“ სახელმწიფოს მიერ კანონის დარღვევის ცალკეული ფაქტების არსებობა, რაც განპირობებულია საჯარო ამოცანების ფართო მოცულობითა და მათი შესრულების მიზნით განსახორციელებელი საჯარო-სამართლებრივი ქმედებების სიმრავლით.⁷⁵ როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის სფეროში სამართალდარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს პირისთვის ზიანის მიყენება, რაც ქმნის დელიქტის კონსტრუქციას: სახეზეა ა). სამართალდარღვევა და ბ). სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანი. იმის გათვალისწინებით, რომ დელიქტის არსებობის შემთხვევაში, უფლების დაცვის გზა განისაზღვრება დავის სამართლებრივი ბუნებით,⁷⁶ წარმოიშობა საჯარო-სამართლებრივ დელიქტსა და კერძო-სამართლებრივ დელიქტს შორის განსხვავების დადგენის საჭიროება.

2.3. განსხვავება საჯარო-სამართლებრივ დელიქტსა და კერძო-სამართლებრივ დელიქტს შორის

თვალსაჩინოებისთვის, საჯარო-სამართლებრივ დელიქტსა და კერძო-სამართლებრივ დელიქტს შორის განსხვავების წარმოჩენის მიზნით განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე და 1005-ე მუხლებით გათვალისწინებული დელიქტები,

⁷⁴ ჩიკვაშილი შ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ., (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 992, გვ. 379.

⁷⁵ Ipsen J., Allgemeines Verwaltungsrecht, 10. Aufl., München, F. Vahlen Verlag, 2017, Rn. 1238, 325.

⁷⁶ მუთჰორსტი ო., თარგ., მაისურაძე დ., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2019, ვ.წ. 71, გვ. 292.

რომლებიც გამოწვეულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ორივე მათგანი შეეხება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მიყენებულ ზიანის ანაზღაურებას. განსხვავება ამ დელიქტებს შორის არის დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამსახურებრივი მოვალეობის სამართლებრივ ბუნებაში.

ზოგადად სამსახურებრივი მოვალეობის არსებობისთვის, პირველ რიგში, საჭიროა შრომითი ურთიერთობის ჩამოყალიბება სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის. ამ ურთიერთობას საჯარო-სამართლებრივ ხასიათს სძენს მოსამსახურეზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის სამართლებრივი ბუნება, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ მისთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულებასთან. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო მის პოზიტიურ ვალდებულებებს ასრულებს მისი მოსამსახურეების ხელით. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური ვალდებულების შესრულების პროცესში, შესაძლოა სახელმწიფომ დაარღვიოს მისი ნეგატიური ვალდებულება. უმნიშვნელოა რომელ ვალდებულებას დაარღვევს სახელმწიფო, პოზიტიურს თუ ნეგატიურს, ორივე შემთხვევაში დელიქტს ექნება საჯარო-სამართლებრივი ხასიათი.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება წარმოადგენს იდეას, რომ სახელმწიფოს მოეთხოვება დადებითი/აქტიური ქმედების განხორციელება ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. 1968 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ერთ-ერთ საქმეზე, მოსარჩელის მიერ გამოყენებული იქნა ტერმინი „რამის გაკეთების ვალდებულება“, რაც მოგვიანებით დამკვიდრდა როგორც „სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება“.⁷⁷ ეს უკანასკნელი გულისხმობს „სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას იგი სხვა პირთა მხრიდან ჩარევისაგან და გაატაროს ღონისძიებები ამ თავისუფლებათა დაცულობის უზრუნველსაყოფად, უფლებების აღსადგენად და ზიანის გამოსასწორებლად. თუ სახელმწიფო ვერ ან არ უზრუნველყოფს სამართლებრივ პროცედურებს უფლებების აღსადგენად და ზიანის გამოსასწორებლად, ან უარს ამბობს გამოიძიოს საქმე, ანდა გაუმართავი ან მანკიერი

⁷⁷ შლეგელი ო., პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები საქართველოში: „მხოლოდ სემანტიკა და მეტი არაფერი?“, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (სტატიათა კრებული), თბ., 2015, გვ. 213.

სამართლებრივი სისტემის, სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი სტანდარტებისა თუ დამკვიდრებული ადმინისტრაციული პრაქტიკის გამო, უუნაროა, დაცულობის გარანტიები შეუქმნას თავისუფლებას, იგი არღვევს მის მიმართებაში არსებულ პოზიტიურ ვალდებულებებს.“ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა დამნაშავეთა დაუსჯელობაც.⁷⁸

„სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას“ აქვს მსგავსება კერძო სამართალში არსებულ „მხარის გულისხმიერების ვალდებულებასთან“. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.“ გულისხმიერების ვალდებულება აღქმულია როგორც სხვისი უფლებებისა და ინტერესებისათვის ზრუნვის ვალდებულება. ცალკეულ შემთხვევებში, მხარე ისევეა ვალდებული იზრუნოს სხვისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, როგორც იზრუნებდა საკუთარისთვის, თუმცა ასეთი დაცვის ვალდებულება არ არის უნივერსალური ხასიათის.⁷⁹ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის მხარეს შესაძლოა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება,⁸⁰ ისევე, როგორც სახელმწიფოს ეკისრება ზიანის ანაზღაურება მისი პოზიტიური ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

განსხვავება, მხარის გულისხმიერების ვალდებულებასა და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას შორის, არის მკაფიო. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებისგან განსხვავებით, გულისხმიერების ვალდებულების შინაარსის წინასწარ განსაზღვრა, მხარეებს შორის ურთიერთობის დასაწყისშივე, შეუძლებელია. იგი გამოიკვეთება მხოლოდ უკვე დაწყებული ურთიერთობის მიმდინარეობისას/პროცესში.⁸¹ ამის საპირისპიროდ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ყოველთვის წინასწარ არის განსაზღვრული და უკავშირდება ადამიანის კონკრეტულ უფლებას ანუ სახელმწიფოსთვის ყოველთვის წინასწარაა დადგენილი, თუ რა მიზნის მიღწევის

⁷⁸ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, მუხლი 14, გვ. 55.

⁷⁹ ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის გამოცემა, თბ., 2015, IV, გვ. 18.

⁸⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 317, გვ. 35.

⁸¹ იხ. იქვე, გვ. 34.

ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს. მაგალითად, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას პირის თავისუფლება მესამე პირის მხრიდან ჩარევისგან და მასვე დაეკისრება შესაბამისი ანაზღაურების გადახდა, თუ პირმა სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედების შედეგად დაკარგა თავისუფლება.⁸²

სახელმწიფოს, მისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულების მიზნით, მინიჭებული აქვს ცალკეული საჯარო-სამართლებრივი ბუნების მქონე ქმედებების განხორციელების საშუალება. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ისეთი საჯარო-სამართლებრივი ფორმების გამოყენება როგორცაა: ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, რეალაქტის განხორციელება; ასევე სისხლის სამართლებრივი ქმედებები: დანაშაულის გამოძიება, დამნაშავესთვის ბრალის წაყენება და ა. შ. არსებობს სხვა სახის საჯარო-სამართლებრივი ქმედებებიც, მაგალითად, სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტა.

სახელმწიფოს შესაძლოა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, მისი პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამო. კერძოდ, დანაშაულის გამოძიების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის.⁸³

საქმის მასალებით დგინდება, რომ ბავშვს აუფეთდა ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმი, რის შედეგადაც მიიღო ჯანმრთელობის ისეთი დაზიანება, რომელიც მისი სიცოცხლისთვის იყო საფრთხის შემქმნელი. სახელმწიფომ დაიწყო გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით, მიუხედავად დაზარალებულის ჯანმრთელობის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობისა და გამოძიება არ დასრულდა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის ანუ დამნაშავეს პასუხისგებაში მიცემისათვის დაწესებული ვადის გასვლის მიუხედავად. წლების მანძილზე მიმდინარე გამოძიების შედეგად არ გამოვლენილა დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის - დამნაშავეს ვინაობა. დაზარალებულმა სახელმწიფოსგან, პოზიტიური ვალდებულების

⁸² გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., მუხლი 14, 2013, გვ. 58-59.

⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის განჩინება Nბს-252-250(კ-17) საქმეზე.

შეუსრულებლობის გამო, მოითხოვა როგორც მატერიალური ასევე არამატერიალური ზიანის ანაზღაურება.

საქალაქო და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ არ დაკმაყოფილდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მატერიალურ ნაწილში, რადგან ჯანმრთელობის დაზიანება არ უკავშირდებოდა სახელმწიფოს მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას, სახელმწიფოს არ შეეძლო აღნიშნული ზიანის თავიდან აცილება პრევენციული ღონისძიებებით.

ამის საპირისპიროდ, სასამართლოებმა დააკმაყოფილეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არაქონებრივ ნაწილში. სასამართლოების განმარტებით, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ქმედითი გამოძიებით დაადგინოს დამნაშავეს ანუ დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა, რასაც ადგილი არ ჰქონია მოცემულ შემთხვევაში. ამას გარდა, სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის მიუხედავად, გამოძიება მიმდინარეობდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით. ერთი საკითხია ზიანის გამომწვევი ფაქტის თავიდან აცილება, ხოლო მეორე - სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, ჩაატაროს ქმედითი გამოძიება. სასამართლოს განმარტებით, ჯანმრთელობის არსებული დაზიანების ფონზე ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით გამოძიების წლების განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობით ისე, რომ ამ პერიოდში გავიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მოქმედი და ძალადაკარგული რედაქციითაც) დაწესებული არამხოლოდ გონივრული, არამედ მაქსიმალური ვადაც კი⁸⁴, სახელმწიფომ დაზარალებულს შეუქმნა განწყობა, რომ კანონი მის მიმართ არ არის გამოყენებული სამართლიანად და ადეკვატურად; ასევე შეუქმნა უიმედობისა და სასოწარკვეთის განცდა, რაც პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის სასარგებლოდ

⁸⁴ გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა. მუხლი 103, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სსმ, 31, 03/11/2009.

სახელმწიფოს დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება თავისი პოზიტიური ვალდებულებების - ქმედითი გამოძიების ჩატარების, შეუსრულებლობის გამო.⁸⁵

სახელმწიფომ საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესს სასამართლოს, მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ არგუმენტით, თითქოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა გასცდა კომპეტენციის ფარგლებს და განახორციელა ზედამხედველობა გამოძიების მიმდინარეობაზე. სახელმწიფომ ასევე მიუთითა, რომ ზიანი უნდა აანაზღაუროს დამნაშავემ (რომლის ვინაობაც, წლების გასვლის მიუხედავად, გამოძიებამ ვერ დაადგინა).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო, თუმცა განმარტა, რომ „სახელმწიფომ ქმედითი რეაგირება უნდა მოახდინოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტებზე, რადგან სახელმწიფოს არამართო უფლებების ხელყოფა ეკრძალება (ნეგატიური ვალდებულება), არამედ ვალდებულია უფლების დარღვევისას შემუშავებული ჰქონდეს დაცვის ეფექტური, ქმედითი მექანიზმები და ფაქტობრივად განახორციელოს ისინი (პოზიტიური ვალდებულება)“.⁸⁶ ამას გარდა აღინიშნა, რომ „ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების ჯეროვნად შესრულების საკითხი.“⁸⁷

სახელმწიფოს მიერ საჯარო-სამართლებრივი ქმედებების განხორციელების გზით მისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულების პროცესში, ასევე ეკისრება ვალდებულება თავი შეიკავოს ადამიანის უფლებების დარღვევისგან⁸⁸ და მათში არ ჩაერიოს გაუმართლებლად, საკმარისი საფუძვლის გარეშე.⁸⁹ აღნიშნულს ეწოდება სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება. ეს უკანასკნელი ვალდებულება შეეხება

⁸⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე N38/604-16, 2016 წლის 27 სექტემბერი.

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება Nბს-252-250(კ-17) საქმეზე.

⁸⁷ იხ. იქვე.

⁸⁸ კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2007, გვ. 14.

⁸⁹ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, მუხლი 14, გვ. 55.

ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო არის პოტენციური დამრღვევი, რადგან ქმედების განხორციელება ბუნებრივად თავისთავში მოიცავს საფრთხეს, რომ შესაძლოა შეილახოს ესა თუ ის სიკეთე, და იგი სახელმწიფოს უკრძალავს კერძო სუბიექტის უფლებებით დაცულ სფეროში გაუმართლებელ შეჭრას/ჩარევას.⁹⁰

ურთიერთობას, რომლის დროსაც სახელმწიფო, თავისი მოსამსახურეების საშუალებით, ასრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მას ეკისრება კერძო სუბიექტების მიმართ, ეწოდება გარე ურთიერთობა (Außenverhältnis).⁹¹

სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება შინაარსობრივად არის კერძო სამართლის სუბიექტის ნეგატიურ ვალდებულების იდენტური. აღნიშნულზე მიუთითებს კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე.“⁹² ამას გარდა, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.“⁹³ ორივე დებულება, აკრძალვისა და ვალდებულების დაწესების გზით, მიზნად ისახავს სხვათა უფლებების დაცვას.⁹⁴

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი დგება მაშინ, როდესაც დამსაქმებელი, დასაქმებულის ხელით ანუ ამ უკანასკნელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, არღვევს, პოზიტიური თვალსაზრისით - გულისხმიერების ვალდებულებას, ხოლო ნეგატიურით - კერძო სამართლის სუბიექტის ნეგატიურ ვალდებულებას. ამის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით

⁹⁰ დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2016, გვ. 99-100.

⁹¹ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, Rn. 16, 715.

⁹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 10, ნაწილი 3, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁹³ იხ. იქვე, მუხლი 8, ნაწილი 3.

⁹⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 10, ველი. 20, გვ. 59.

გათვალისწინებული შედეგი დგება მაშინ, როდესაც დამსაქმებელი, დასაქმებულის ხელით ანუ ამ უკანასკნელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, არღვევს სახელმწიფოს პოზიტიურ ან ნეგატიურ ვალდებულებას. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, 997-ე მუხლისგან განსხვავებით, გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც დამსაქმებელი, მნიშვნელობა არ აქვს ამ სუბიექტის სამართლის დარგისადმი კუთვნილებას, არღვევს სახელმწიფოს პოზიტიურ ან ნეგატიურ ვალდებულებას. ამდენად წამოიჭრება საკითხი, როგორ უნდა დავადგინოთ დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზიანის მიყენების შემთხვევაში თუ არსებობდა სახელმწიფოს პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულება?

დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზიანის მიყენების შემთხვევაში სახელმწიფოს პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულების დადგენის საუკეთესო მეთოდი შესაძლოა იყოს განსაკუთრებული სამართლის (მოდულიზირებული სუბიექტების) თეორია, რომლის მომხრეთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება დროის გასვლასთან ერთად.⁹⁵ აღნიშნული თეორიის მიხედვით, სამართლის დებულებიდან გამომდინარე, უფლება ან ვალდებულება არის საჯარო-სამართლებრივი, თუ იგი მინიჭებული აქვს ან ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ სუბიექტს.⁹⁶ მაგალითად, მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლება ან სამშენებლო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების ვალდებულება. ამის საპირისპიროდ უფლება ან ვალდებულება არის კერძო-სამართლებრივი, თუ იგი მინიჭებული აქვს ან ეკისრება ყველას, ნებისმიერ პირს. შესაბამისად, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი.⁹⁷ არსებობს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები მისაკუთრების/მითვისების უფლებასთან (შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს აქვს უფლება მოითხოვოს საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც არ იმყოფება კერძო საკუთრებაში) დაკავშირებით. ერთი მოსაზრების მიხედვით,

⁹⁵ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, Rn. 14, 47.

⁹⁶ Ipsen J., Allgemeines Verwaltungsrecht, 10. Aufl., München, F. Vahlen Verlag, 2017, Rn. 29, 8.

⁹⁷ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ. 2017, მუხლი 8, ველი 3, გვ. 48.

მისაკუთრების/მითვისების უფლება წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ უფლებას, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს ენიჭება საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება კერძო საკუთრებაში არ მყოფ უძრავ ქონებაზე, ხოლო საპირისპირო მოსაზრების მიხედვით, იგი არის კერძო-სამართლებრივი, რადგან ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო გვევლინება არა როგორც ხელისუფლების განმახორციელებელი, არამედ როგორც ქონების მფლობელი და სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე სუბიექტი.⁹⁸ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს საყურადღებოა ერთი მომენტი, რომ განსაკუთრებული სამართლის თეორიის ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, ნორმა მიიჩნევა საჯარო სამართლებრივად თუ იგი, მისი გამოყენების ნებისმიერ წარმოსახვით ვარიაციაში, უფლებას ანიჭებს ან ვალდებულებას აკისრებს მხოლოდ საჯარო ძალაუფლების მქონე პირს.⁹⁹ სახელმწიფოს უფლებას მისაკუთრებაზე/მითვისებაზე, რომ ჩამოვაშოროთ მისი გამოყენების წინაპირობა (უძრავი ქონების კერძო საკუთრებაში არ ყოფნა) და დავტოვოთ წმინდა/სუფთა უფლების სახით, მაშინ მივიღებთ სიტუაციას, როდესაც სახელმწიფოს აქვს საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება და ეს უფლება კი შესაძლოა ჰქონდეს ნებისმიერ პირს, რის გამოც სახელმწიფოს უფლება მისაკუთრებაზე/მითვისებაზე უნდა წარმოადგენს კერძო-სამართლებრივ უფლებას. შესაბამისად, ზემოხსენებული ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებიც კი, თანხვედრაში მოდიან. ამდენად, განსაკუთრებული სამართლის თეორიის სწორად გამოყენების შემთხვევაში ანუ, როდესაც ფასდება წმინდა/სუფთა (ე. ი. ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის გათვალისწინების გარეშე) უფლების ან ვალდებულების სამართლებრივი ბუნება, მაშინ აღნიშნული თეორია იძლევა შედეგის მიღების შესაძლებლობას რთულ შემთხვევებშიც კი.

განსაკუთრებული სამართლის თეორიის გათვალისწინებით, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ვალდებულება, რომელიც შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთ სუბიექტს და, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს მიერ კერძო სუბიექტის უფლებების დაცვას მესამე პირების მხრიდან

⁹⁸ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, Rn. 13, 47.

⁹⁹ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2014, Rn. 27, 12.

ჩარევისაგან. მაგალითად, დანაშაულის გამოძიების, სამშენებლო საქმიანობის კონტროლის და სხვა მსგავსი ვალდებულებები.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება შინაარსობრივად არის კერძო სამართლის სუბიექტის ნეგატიურ ვალდებულების იდენტური, რადგან ორივე მათგანი მოიაზრებს იმას, რომ ქმედების განმახორციელებელმა სუბიექტმა, ამ ქმედების განხორციელების პროცესში, არ უნდა დაარღვიოს სხვა პირის უფლებები. ერთადერთი განსხვავება, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და კერძო სამართლის სუბიექტის ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არის აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამომწვევი ქმედების სამართლებრივი ბუნება. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება შეიძლება დაირღვეს მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი ქმედებით, ხოლო კერძო სამართლის სუბიექტის ნეგატიურ ვალდებულება კი - კერძო-სამართლებრივი ქმედებით. აქედან გამომდინარე, თუ დელიქტი გამოიწვია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, საჯარო-სამართლებრივმა ქმედებამ, მაშინ დარღვეულია სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, ხოლო თუ - კერძო-სამართლებრივმა ქმედებამ, მაშინ დაირღვა კერძო სამართლის სუბიექტის ნეგატიური ვალდებულება. ქმედების სამართლებრივი ბუნების დასადგენად კი შეგვიძლია მოვიშველიოთ იგივე განსაკუთრებული სამართლის თეორია და დავადგინოთ ზიანის გამომწვევი ქმედების განხორციელების უფლება მინიჭებული შეიძლება ჰქონოდა ნებისმიერ პირს, თუ მხოლოდ ერთადერთს და ისიც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების მიზნით, რადგან, რაიმე სხვა მიზნის მისაღწევად, საჯარო-სამართლებრივი ქმედების განხორციელება, არის დაუშვებელი და შეუძლებელი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი გამოიყენება ისეთი დელიქტის შემთხვევაში, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ირღვევა სახელმწიფოს პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულება, რაც განაპირობებს აღნიშნული დელიქტის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს. ამ თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი მუხლი განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობისგან და უფრო მეტიც, მთელს კერძო სამართალში წარმოადგენს

ერთადერთ დელიქტს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებასთან. ამდენად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ის, თუ რამდენად გამართლებულია ასეთი განსხვავებული საკითხისა და საჯარო-სამართლებრივი ბუნების მქონე დელიქტის მოწესრიგება, კერძო სამართლის კანონმდებლობით.

აღნიშნულის გამომწვევ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ, როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შემუშავებული იქნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ბაზაზე, რომელიც თავის მხრივ აწესებს სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 839-ე პარაგრაფის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, ეკისრება უშუალოდ მოსამსახურეს და არა სახელმწიფოს. ამის გამომწვევი ორი მიზეზი არსებობს: ერთი - ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას თავდაპირველად საფუძვლად ედო „მანდატის თეორია“. ამ თეორიის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო გადასცემს მანდატს თავის მოსამსახურეს მხოლოდ კანონიერი ქმედებების განსახორციელებლად. უკანონო ქმედება სცდება მანდატის ფარგლებს, რის გამოც გამოც ზიანის გამომწვევი ქმედებები შეერაცხებოდა უშუალოდ მოსამსახურეს და არა - სახელმწიფოს.¹⁰⁰ შესაბამისად, დელიქტის გამომწვევი ქმედება წარმოადგენდა კერძო-სამართლებრივ და არა - საჯარო-სამართლებრივ ქმედებას, ამდენად საჯარო კანონმდებლობით ვერც მოწესრიგდებოდა; მეორე - გერმანიის ტერიტორიული მოწყობისა და ფედერაციისა და მიწების კომპეტენციის გამიჯვნის გამო, შეუძლებელი იყო აღნიშნული საკითხის მოწესრიგება საჯარო კანონმდებლობით ფედერალურ დონეზე.¹⁰¹ საქართველოს შემთხვევაში, არცერთი ეს დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საჯარო-სამართლებრივი დელიქტი თვისობრივადაც განსხვავდება კერძო-სამართლებრივი დელიქტისგან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჯერ კიდევ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების პერიოდიდანვე მოყოლებული

¹⁰⁰ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, Rn. 8, 5.

¹⁰¹ Dörr C., BGB Staatshaftung, Grosskommentar, München, C. H. Beck Verlag, 2019, Rn. 7, 12.

ადიარებულია, რომ ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის, კერძო-სამართლებრივ დელიქტამდე, არასდროს არსებობს სამართალურთიერთობა.¹⁰² ამის საპირისპიროდ, საჯარო-სამართლებრივი დელიქტისას ზიანის მიყენებამდე ყოველთვის არსებობს სამართალურთიერთობა ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის, რასაც შეიძლება ეწოდოს დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა. დელიქტის წინარე სამართალურთიერთობის არსებობა განპირობებულია საკანონმდებლო მოწესრიგებით, რომელიც აბსტრაქტულ-გენერალურად განსაზღვრავს სახელმწიფოსა და კერძო სუბიექტის ურთიერთობას.¹⁰³ აღნიშნული ზოგადი ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა და სწორედ ამ აბსტრაქტულ-გენერალური ურთიერთობის ფარგლებში, კერძო სუბიექტის მიმართ არსებული სახელმწიფო ვალდებულების (პოზიტიურის ან ნეგატიურის) დარღვევა, ასახული არის სახელმწიფოსთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კონსტრუქციაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის შემდეგი ჩანაწერით: „...არღვევს ... მოვალეობას სხვა პირის მიმართ...“. შესაბამისად, კერძო-სამართლებრივი დელიქტისგან განსხვავებით, ყოველთვის არსებობს დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა საჯარო-სამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში.

დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის შესაძლოა არსებობდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, რეალაქტის ან ვირტუალური ფორმით.

მაგალითი I: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით წარმოიშობა დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო პირის მიერ განხორციელებულ მშენებლობას მიიჩნევს უკანონოდ, რის გამოც მიიღებს მისი დაჯარიმებისა და შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება „უკანონო“ ობიექტის დანგრევა. მოგვიანებით კი გაირკვევა, რომ დემონტაჟის თაობაზე მიღებული

¹⁰² ჩიკვაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ., (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 992, გვ. 379.

¹⁰³ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, Rn. 6, 143.

გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას. შესაბამისად, პირს მიადგა ქონებრივი ზიანი ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის შედეგად. როგორც მაგალითიდან ჩანს, დელიქტამდე ანუ ზიანის უკანონოდ მიყენებამდე, არსებობდა კონკრეტული სამართალურთიერთობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით, ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის.

მაგალითი II: ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ინსპექტირების განხორციელებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ გამოავლინა მისი ტექნიკური გაუმართაობა და ჩაითვალა, რომ ავტომობილმა ინსპექტირება დადებითად გაიარა. შემოწმებიდან რამდენიმე დღეში, აღნიშნული ტექნიკური გაუმართაობის გამო, ადგილი ექნება ავტოსაგზაო შემთხვევას, რომლის დროსაც დაზიანდება ავტომობილი და ფეხითმოსიარულე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოეშობა მხოლოდ ფეხითმოსიარულეს და არა ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრესაც, რადგან სახელმწიფოსა და კერძო სუბიექტის ზოგადი სამართალურთიერთობიდან ანუ ვირტუალური ფორმით არსებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება უსაფრთხოების ვალდებულება საგზაო მოძრაობის წევრების მიმართ და არა ასევე კერძო სუბიექტების ფინანსური ინტერესების დაზღვევა.¹⁰⁴

ხაზგასმით და ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ სახელმწიფოსა და კერძო სუბიექტის ზოგადი ურთიერთობა, რომელიც ერთდროულად ემსახურება სახელმწიფოს როგორც ჩამოყალიბებას, ასევე შეზღუდვას,¹⁰⁵ ვერ მოექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრული და ამავე კოდექსით მოწესრიგებული ურთიერთობების ჩამონათვალში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, „ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.“ ურთიერთობის კერძო ხასიათს განაპირობებს სუბიექტის კერძო ავტონომია ანუ მისი „ნების გამოვლენის თავისუფლება და სხვა პირებთან ურთიერთობის დამყარების

¹⁰⁴ თორაძე დ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ (საქართველოსა და გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მაგალითებზე), სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018, გვ. 15.

¹⁰⁵ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, Rn. 8, 45.

სურვილი.¹⁰⁶ აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და კერძო სუბიექტს შორის არსებული ზოგადი ურთიერთობა ვერ იქნება კერძო ხასიათის, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ემსახურება სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და შეზღუდვას და არა მისთვის კერძო ავტონომიის მინიჭებას. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც აწესრიგებს კერძო ხასიათის ურთიერთობებს, სახელმწიფოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება არ თავსდება თვითონ ამავე კოდექსით დადგენილი, მისი მოქმედების ფარგლებში.

2.4. შუალედური შეფასება

წინამდებარე თავში განხილულ იქნა საჯარო-სამართლებრივ და კერძო-სამართლებრივ დელიქტებს შორის არსებული მსგავსება, განსხვავებები და ის შედეგები, რაც უნდა გამომდინარეობდეს ამ განსხვავებების გამო.

განსხვავების წარმოჩენის მიზნით შედარებული იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე და 1005-ე მუხლებით გათვალისწინებული დელიქტები, რადგან ორივე მათგანი შეეხება შრომითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას.

საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი დელიქტებისთვის საერთოა ის, რომ ორივე მათგანი წარმოადგენს სამართალდარღვევით გამოწვეულ ზიანს.

საჯარო-სამართლებრივი დელიქტი განსხვავდება კერძო-სამართლებრივი დელიქტისგან შემდეგი სამართლებრივი ასპექტებით:

1. მხარეებს შორის დელიქტამდე სამართალურთიერთობის არსებობის საკითხი. საჯარო-სამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში, ზიანის წარმოშობამდე ყოველთვის არსებობს სამართალურთიერთობა ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის (დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა). აღნიშნული გამომდინარეობს სახელმწიფოსგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კონსტრუქციიდან, რომლის მიხედვითაც მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ

¹⁰⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 1, ველი 5, გვ. 2.

დაირღვევა „სხვა პირის მიმართ“ არსებული ვალდებულება. დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა შესაძლოა გამოვლინდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, რეალაქტის ან ვირტუალური ფორმით.

2. თავად დელიქტური ურთიერთობის ხასიათი. საჯარო-სამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში, პირდაპირ ირღვევა სახელმწიფოს პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულება, რაც ურთიერთობას სძენს საჯარო ხასიათს. კერძო-სამართლებრივი დელიქტის დროს, ადგილი აქვს კერძო ხასიათის ურთიერთობას, რაც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლიდან.

3. შესრულებული სამსახურებრივი მოვალეობის სამართლებრივი ბუნება. საჯარო-სამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომით ურთიერთობას და მისგან გამომდინარე სამსახურებრივ მოვალეობას, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით დაწესებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა, აქვს საჯარო-სამართლებრივი ბუნება და ისევე მოწესრიგებულია საჯარო კანონმდებლობით.

4. ზიანის გამომწვევი ქმედების სამართლებრივი ბუნება. საჯარო-სამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში, ქმედებებს ანუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს, რომლებიც წარმოშობენ ზიანს, აქვთ საჯარო-სამართლებრივი ხასიათი და მათი განხორციელების წესი მოწესრიგებულია საჯარო კანონმდებლობით; ამავდროულად, მათი გამოყენება ემსახურება ერთადერთი მიზნის მიღწევას - სახელმწიფოს მიერ თავისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას.

ზემოხსენებული ასპექტების გათვალისწინებით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები და მათ შესასრულებლად განსახორციელებელი ქმედებები (გარე ურთიერთობა), შრომითი ურთიერთობა სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის და მისგან გამომდინარე სამსახურებრივი მოვალეობები (შიდა ურთიერთობა), დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა, ყველა ეს საკითხი მოწესრიგებულია საჯარო კანონმდებლობით, რის გამოც სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების შედეგად წარმოშობილ ზიანს ანუ დელიქტს გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ბუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დელიქტს გააჩნია საჯარო სამართლებრივი ბუნება, სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება უნდა წესრიგდებოდეს არა კერძო, არამედ საჯარო კანონმდებლობით.

თავი 3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლები

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლები მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ართულებს მათი გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული სირთულის შედარებით შესამსუბუქებლად მიზანშეწონილია მოხდეს მათი კლასიფიკაცია წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების მიხედვით.

წინამდებარე ქვეთავში მოხდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლების კლასიფიკაცია, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოკვეთით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მოწესრიგების საკითხს, როგორც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ცენტრალურ, თუმცა არა ერთადერთ ინსტიტუტს.

3.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების კლასიფიკაციის კრიტერიუმები

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლების კლასიფიკაცია მოხდება სამი კრიტერიუმის მიხედვით:

პირველი და უმთავრესი კრიტერიუმი - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების სამართლის დარგისადმი კუთვნილება. ამ კრიტერიუმის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლები დაიყოფა ხუთ კატეგორიად:

- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი.
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სისხლის სამართლებრივი საფუძველი.
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საფუძველი.

- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამოქალაქო სამართლებრივი საფუძველი.

მეორე კრიტერიუმი - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველების წარმომშობი დებულებების დანიშნულება. ამ კრიტერიუმის მიხედვით სამართლებრივი ნორმები დაიყოფა სამ კატეგორიად: ა). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარანტიების შემქმნელი ნორმები, ბ). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მარეალიზებელი ნორმები და გ). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებული დეფინიციური ნორმები.

- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარანტიების შემქმნელი ნორმები - ის დებულებები, რომლებიც ქმნიან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველების გარანტიებს და შესაბამის სუბიექტებს ანიჭებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი წარმოადგენენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველების საფუძველს. ასეთი სახის სამართლებრივ ნორმებს შევხვდებით კონსტიტუციურ, საერთაშორისო და სისხლის სამართალში.
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მარეალიზებელი ნორმები - ის დებულებები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ მიმართული არიან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზებისკენ და შესაბამის სუბიექტს აკისრებენ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ასეთი სახის დებულებებს შევხვდებით ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალში.
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებული დეფინიციური ნორმები¹⁰⁷ - ის დებულებები, რომლებიც შეეხებიან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას და მოქმედებენ მხოლოდ სხვა ნორმებთან კავშირის დამყარებისას.

მესამე კრიტერიუმი - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველების წარმომშობი ნორმებით დარეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. ამ კრიტერიუმის მიხედვით დებულებები დაიყოფა ორ კატეგორიად - ა).

¹⁰⁷ დამატებით იხ. დეფინიციური ნომრის განმარტება წიგნში: ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., გამომც. მერიდიანი, 2004, გვ. 57.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების წარმომშობი ნორმებით გათვალისწინებული ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობები და ბ). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების წარმომშობი ნორმებით გათვალისწინებული სპეციალური ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობები:

- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების წარმომშობი ნორმებით გათვალისწინებული ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა - ნორმით აბსტრაქტულად, არაკონკრეტულად გათვალისწინებული ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველს. აღნიშნულის მაგალითია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილი;
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების წარმომშობი ნორმებით გათვალისწინებული სპეციალური ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა - ნორმით კონკრეტულად, პირდაპირ გათვალისწინებული ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველს. ამ უკანასკნელის მაგალითია სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

3.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლების კლასიფიკაცია

3.2.1. კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციაში, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების თავში, გათვალისწინებულია სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შეეხებიან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

3.2.1.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ზოგადი ხასიათის გარანტიების შემქმნელი კონსტიტუციური საფუძველი

როგორც უკვე შესავალში აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან

ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.“. აღნიშნული დებულება აწესრიგებს ზოგადი ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობას და მისი დანიშნულებაა როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო კონსტიტუციური გარანტიების შექმნა. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელს დატოვებული აქვს მოქმედების ვიწრო არეალი, რაც უმთავრესად გამოიხატება პროცედურული საკითხების მოწესრიგებაში.¹⁰⁸ ყველა სხვა ნორმა, რომელიც ემსახურება ზოგადი სახის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზებას, უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს (მე-18 მუხლის მე-4 პუნქტამდე მოქმედი რედაქცია), როგორც საქართველოს სახელმწიფოს უზენაესი კანონის შემადგენელ ნაწილს.¹⁰⁹

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ გარანტიებს ქმნის გერმანიის ძირითადი კანონის 34-ე მუხლი. ამ უკანასკნელის თანახმად, თუ პირი, მასზე დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას, მის საჯარო ვალდებულებას დაარღვევს მესამე პირის მიმართ, პასუხისმგებლობა ძირითადად უნდა დაეკისროს სახელმწიფოს ან მის დამსაქმებელ ორგანოს.¹¹⁰

3.2.1.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის გარანტიების შემქმნელი კონსტიტუციური საფუძველი

საქართველოს კონსტიტუცია ცალკე აღნიშნავს, რომ „უკანონოდ თავისუფლებაზეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.“¹¹¹ მითითებული დებულების დანიშნულებაა, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარანტიების შექმნა, თუმცა იგი, საქართველოს კონსტიტუციის მე-18

¹⁰⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/3/423, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II., პუნქტი 2.

¹⁰⁹ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 4, პუნქტი 4, წინად. 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹¹⁰ Art. 34.1, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 23/05/1949, <https://www.gesetze-im-internet.de/vwvfg/BjNR012530976.html>, [11.10.2020].

¹¹¹ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 13, პუნქტი 3, წინად. 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

მუხლის მე-4 პუნქტისგან განსხვავებით, აწესრიგებს სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას. კერძოდ, უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის მიერ კომპენსაციის მიღების საკითხს. ამ უკანასკნელის ცალკე აღნიშვნა და გამოყოფა ზოგადი სამართლებრივი რეგულირებიდან, განპირობებული უნდა იყოს თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპითა და უზენაესი ღირებულებით, როგორცაა ადამიანის თავისუფლება.¹¹² უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი მჭიდროდ უკავშირდება მე-18 მუხლის მე-4 პუნქტს, რის საშუალებითაც ისინი ავსებენ ერთმანეთს და კომბინირებულად ქმნიან კონსტიტუციურ გარანტიებს. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული გამოიხატება უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის სამართლებრივი დაცვის საშუალებებსა და კომპენსაციის მასშტაბში.¹¹³

3.2.2. საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს, რის გამოც ნებისმიერ პირს შეუძლია მასზე დაყრდნობით დაიცვას საკუთარი უფლებები როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ასევე სასამართლოში.¹¹⁴

ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.¹¹⁵ მითითებული დებულება არეგულირებს სპეციალური ხასიათის ურთიერთობას და მისი დანიშნულებაა საერთაშორისო სამართლებრივი, პროცესუალური გარანტიების შექმნა.¹¹⁶ კონვენციის მიღების შემდგომ აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო ამომწურავად მოწესრიგდა და,

¹¹² იზორია ლ., კორკელია ვ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომც. მერიდიანი, 2005, გვ. 96.

¹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/3/423, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II., პუნქტი 5.

¹¹⁴ კორკელია ვ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004, გვ. 42-44.

¹¹⁵ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხლი 5, პუნქტი 5, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹¹⁶ კორკელია ვ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004, გვ. 143.

მცდარი მსჯავრდების შემთხვევებისთვის, დამატებით განისაზღვრა, რომ თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის განთავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა და თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა, ამგვარი მსჯავრდების გამო შეფარდებული სასჯელისათვის, მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით.¹¹⁷

თუ შევადარებთ საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, მაშინ გამოჩნდება, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის ანალოგს. განსხვავება კი იქნება კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლის მსგავსი ნორმის საქართველოს კონსტიტუციაში არ არსებობა. აღნიშნული ხელს ვერ შეუშლის, მცდარი მსჯავრდების შემთხვევაში, გამართლებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაში. თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც აღინიშნა, საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს, რის გამოც ზიანის ანაზღაურების თაობაზე გამართლებულის მოთხოვნის უფლება გარანტირებულია, კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლით.

3.2.3. სისხლის სამართლებრივი საფუძვლები

2010 წლის 1-ლ ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მარეალიზებელ ნორმებს, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი როგორც ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, ასევე საპროცესო წესი.¹¹⁸ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის

¹¹⁷ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის N7 ოქმი, სტრასბურგი, 1984 წლის 22 ნოემბერი, მუხლი 3, <http://www.parliament.ge/uploads/other/137/137341.pdf>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹¹⁸ იზორია ლ., კორკელია ვ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომც. მერიდიანი, 2005, გვ. 109.

საპროცესო კოდექსი კი დეტალურად აღარ არეგულირებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულს საკითხებს და შემოიფარგლება დეფინიციური ნორმით, რომლის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.¹¹⁹ იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ზემოხსენებულის გარდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამჟღავნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.¹²⁰ აღნიშნულით სისხლის სამართლებრივი ზოგადი ხასიათის ურთიერთობებიდან ცალკე გამოიყო პირადი ცხოვრების შესახებ ცნობებისა და პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, რაც მისი დაცვის მნიშვნელოვანებაზე მიუთითებს.

3.2.4. სამოქალაქო სამართლებრივი საფუძვლები

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მარეალიზებელი საფუძვლების აბსოლუტური უმრავლესობა არის სამოქალაქო სამართლებრივი, თუმცა ამ უკანასკნელში შევხვდებით ასევე გარანტიების შემქმნელ ნორმებსაც. კლასიფიკაციის უკეთ გაცნობიერების მიზნით უმჯობესი იქნება გავმიჯნოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ზოგადი ხასიათის სამოქალაქო საფუძვლები სპეციალური ხასიათის საფუძვლებისგან.

¹¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 09 ოქტომბერი, მუხლი 92, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=124>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 09 ოქტომბერი, მუხლი 7, ნაწილი 3, <https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=124>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

3.2.4.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ზოგადი ხასიათის საფუძველი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს, სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.“¹²¹ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მარეალიზებელ დებულებას და მიესადაგება ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის დროს შესაბამისმა ორგანოებმა წარმოშვეს ზიანი.

ზემოხსენებულის მსგავსი ნორმა მოიძებნება გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვით, თუ მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით არღვევს მასზე მესამე პირის მიმართ დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს, მაშინ მან მესამე პირს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი; თუ მოსამსახურე მოქმედებდა გაუფრთხილებელი ბრალით, მაშინ მას შეიძლება მოეთხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს არ შეუძლია, სხვაგვარად მოითხოვოს ანაზღაურების მიღება.¹²² მითითებულ ორ ნორმას შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით, რაზედაც უფრო ვრცლად მესამე თავში გავამახვილებ ყურადღებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის მეოთხე კარში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის მარეალიზებელი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ როგორც სახელმშეკრულებო, ასევე დელიქტურ და კანონისმიერ ვალდებულებით

¹²¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1005, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹²² კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოც., მიუნხენი, 2011, თარგ. დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2014., გვ. 656-657.

ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების საკითხებს.¹²³ აღნიშნული კარიდან უნდა გამოვარჩიოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ორი მარეალიზებელი ნორმა, რომლებიც განსაზღვრავენ ზიანის ანაზღაურების ფორმების რიგითობას. თავდაპირველად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მქონე პირმა უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.¹²⁴ ხოლო შემდეგ თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს კრედიტორს ფულადი ანაზღაურება.¹²⁵ ზემოხსენებული კარით გათვალისწინებული დებულებებიდან, გამონაკლისის სახით, გარანტიების შემქმნელ ნორმას წარმოადგენს 413-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელზედაც ნაშრომის მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებ.

3.2.4.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის საფუძვლები

აღნიშნული სახის საფუძვლების შემცველი ნორმებისათვის დამახასიათებელია იმ სამართლებრივი ურთიერთობების ზუსტადა განსაზღვრა, რომლიდან გამომდინარე ზიანიც ექვემდებარება ანაზღაურებას. იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს კლასიფიკაცია, უმჯობესი იქნება თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სპეციალური ხასიათის სამოქალაქო საფუძვლებს დავყოფთ ოთხ კატეგორიად:

- სისხლის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამოქალაქო საფუძვლები.
- სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამოქალაქო საფუძვლები.
- ცალკეული დელიქტური და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამოქალაქო საფუძვლები.

¹²³ იხ. იქვე, ვალდებულებითი სამართალი, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, მუხლები 408-415.

¹²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 408, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹²⁵ იხ. იქვე, მუხლი 409.

- არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნის სამოქალაქო საფუძვლები.

3.2.4.2.1. სისხლის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პარალელურად, დამატებით აწესრიგებს იმ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც გამომდინარეობს სისხლის სამართლებრივი ურთიერთობებიდან. აღნიშნული, პირველ რიგში, ვლინდება იმაში, რომ რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები, სახელმწიფოსთან ერთად, სოლიდარულად აგებენ პასუხს.¹²⁶ დებულებას გააჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის რეალიზების დანიშნულება და ამდენად, უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულმა გარანტიებმა ასახვა ჰპოვეს მარეალიზებელ ნორმებშიც.

აღნიშნულის მსგავსი ნორმა მოიძებნება გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვითაც თუ მოსამსახურე არღვევს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დროს, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალეობის დარღვევა დანაშაულია.¹²⁷ ხსენებული

¹²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1005, ნაწილი 3, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹²⁷ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოც., მიუნხენი, 2011, თარგ. დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2014, გვ. 657.

დებულება, საქართველოს კანონმდებლობის ნორმის მსგავსად, ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება.¹²⁸

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობებისას ხშირად საქმე ეხება არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას. ეს უკანასკნელი საკითხი გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლის გარანტიების შემქმნელი დებულებით, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.¹²⁹ აღნიშნული გარანტიების მარეალიზებელი ნორმები გათვალისწინებულია იმავე სამოქალაქო კოდექსში, სადაც განმარტებულია, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.¹³⁰ ამას გარდა, პირადი არაქონებრივი უფლებების ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.¹³¹ ამდენად, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება უმთავრესად ხორციელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზემოხსენებული ორი მუხლის საფუძველზე.

3.2.4.2.2. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლები

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთ საჯარო-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.¹³² ადმინისტრაციული და კერძო ხელშეკრულების გამიჯვნის უმთავრესი აზრი მდგომარეობს საპროცესო სამართლებრივ საკითხში, თუ სამართალწარმოების რა წესით უნდა იქნას

¹²⁸ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ჭანტურია ლ., (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, გვ. 419-420.

¹²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 413, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹³⁰ იხ. იქვე, მუხლი 413, ნაწილი 2.

¹³¹ იხ. იქვე, მუხლი 18, ნაწილი 6.

¹³² ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სეზანი, 2010, გვ. 93.

განხილული და გადაწყვეტილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა.¹³³ ყველა სხვა დანარჩენ საკითხში, მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების მიმართ მოქმედი წესები, იმ ნორმების გათვალისწინებით, რაც თავმოყრილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე თავში ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესახებ.

სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მარეალიზებელი ნორმებიდან ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.¹³⁴ ზუსტად აღნიშნული დებულება წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მთავარ მარეალიზებელ საფუძველს.

3.2.4.2.3. ცალკეული დელიქტური და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველები

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის მარეალიზებელი საფუძველები მოცემულია დელიქტური ვალდებულებების კარში. ასეთი სახის ურთიერთობებად უნდა მივიჩნიოთ ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება,¹³⁵ სატრანსპორტო ექსპლუატაციის შედეგად ზიანის დადგომა,¹³⁶ ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანი,¹³⁷ ცხოველის მიერ ზიანის მიყენება¹³⁸ და შენობის ჩამოქცევით ზიანის გამოწვევა.¹³⁹ რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების

¹³³ რედ. ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008, გვ. 383.

¹³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 394, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 993, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹³⁶ იხ. იქვე, მუხლი 999.

¹³⁷ იხ. იქვე, მუხლი 1000.

¹³⁸ იხ. იქვე, მუხლი 1003.

¹³⁹ იხ. იქვე, მუხლი 1004.

წარმომშობ ნორმას, იგი უნდა მივიჩნიოთ გარანტიების შემქმნელ ნორმად, ვინაიდან იურიდიული შედეგის დადგომის წინაპირობებად მხოლოდ საერთო საფუძვლებს მიუთითებს.¹⁴⁰

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის მარეალიზებელი საფუძვლები მოცემულია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების კარში, უფრო კონკრეტულად კი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისა და უსაფუძვლო გამდიდრების თავები. მოთხოვნის უფლების ასეთი სახის მარეალიზებელ ნორმებად უნდა მივიჩნიოთ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას დამდგარი ზიანის¹⁴¹ და გაწეული ხარჯების¹⁴² ანაზღაურების მომწესრიგებელი მუხლები. რაც შეეხება უსაფუძვლო გამდიდრების თავში მოცემულ ნორმებს შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მარეალიზებელ ნორმას.

3.2.5. ადმინისტრაციულ სამართლებრივი საფუძვლები

განხილულის გარდა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განსაკუთრებული საფუძვლები მოცემულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. უმჯობესი იქნება თუ მათ კლასიფიკაციასაც განვახორციელებთ მოწესრიგებული ურთიერთობის ხასიათისა და მათი დანიშნულების მიხედვით.

3.2.5.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ზოგადი ხასიათის საფუძვლები

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსშია მოცემული.¹⁴³ აღნიშნული დებულება წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარანტიების შემქმნელ საფუძველს, რომელსაც გააჩნია ზოგადი ხასიათი. ასეთივე მახასიათებლების მქონეა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე

¹⁴⁰ იხ. იქვე, მუხლი 1007.

¹⁴¹ იხ. იქვე, მუხლი 970.

¹⁴² იხ. იქვე, მუხლი 973.

¹⁴³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 207, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

მუხლი, ვინაიდან იგი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ კომბინირებულად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლთან ერთად.¹⁴⁴

3.2.5.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის საფუძვლები

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ასევე მოცემულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სპეციალური ხასიათის საფუძვლები. მათგან მხოლოდ ერთ ნორმას გააჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარანტიების შემქმნელი ხასიათი და აწესრიგებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმით, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვით, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებით,¹⁴⁵ არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებით,¹⁴⁶ საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევით¹⁴⁷ გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხებს.

ზემოხსენებული ნორმისგან განსხვავებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სხვა სპეციალური ხასიათის საფუძვლებს გააჩნიათ უფლების მარეალიზებელი დანიშნულება. ისინი აწესრიგებენ იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხებს, რომლის (იგულისხმება აქტი და არა ზიანი) მიმართაც დაინტერესებულ მხარეს გააჩნდა კანონიერი ნდობა,¹⁴⁸ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისა¹⁴⁹ და საზოგადოებრივი

¹⁴⁴ ვინტერი გ., ადმინისტრაციული სამართლის განვითარება და სამართლებრივი კონსულტაცია საქართველოს, როგორც გარდამავალი ქვეყნის მაგალითზე, სტატიათა კრ. ადმინისტრაციული სამართალი, რედ. კოპალეიშვილი მ., თბ., 2013, გვ. 78-79.

¹⁴⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 47, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ა, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁴⁶ იხ. იქვე, მუხლი 47, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ბ.

¹⁴⁷ იხ. იქვე, მუხლი 47, ნაწილი 1, ქვეპუნქტი დ.

¹⁴⁸ იხ. იქვე, მუხლი 60¹, ნაწილი 6.

¹⁴⁹ იხ. იქვე, მუხლი 61, ნაწილი 4.

აუცილებლობიდან გამომდინარე კერძო პირისთვის ან პირთა ჯგუფისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებს.¹⁵⁰

3.2.5.3. საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლები

საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძვლები უკეთ გაგების მიზნით საჭიროა ზოგადი წარმოდგენა გვექონდეს ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო სისტემაზე.

საქართველოში არსებობს ორი ავტონომიური რესპუბლიკა აჭარისა და აფხაზეთის სახით, რომელთა სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით.¹⁵¹ თითოეულ ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია საკუთარი კანონმდებლობები, რომლებიც შედგებიან ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტებისგან.¹⁵² ამ უკანასკნელებთან მიმართებით საქართველოს ნორმატიულ აქტებს გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა.¹⁵³

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლებთან დაკავშირებით, ავტონომიურ რესპუბლიკების ორგანოების საქმიანობაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსებით დადგენილი რეგულაციები.¹⁵⁴ ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, გამონაკლისის სახით, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების (უმაღლესი

¹⁵⁰ იხ. იქვე, მუხლი 209, ნაწილი 1.

¹⁵¹ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 7, პუნქტი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁵² „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ა/რ-ის კანონი, 2017 წლის 15 ივნისი, მუხლი 8, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3672586?publication=3> [ნანახია: 02.05.2015 წ.]; იხ. ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ა/რ-ის კანონი, 2010 წლის 2 ნოემბერი, მუხლი 7, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1075623?publication=5>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁵³ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წლის 22 ოქტომბერი, მუხლი 7, პუნქტი 12, ქვეპუნქტი ა, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁵⁴ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წლის 22 ოქტომბერი, მუხლი 3, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>, [ნანახია: 02.08.2020 წ.]; იხ. ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 3, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

საბჭოების) საქმიანობაზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, მისი მე-3 თავის გარდა.¹⁵⁵

3.3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ადრესატი

ზემოთ არსებულ პარაგრაფში განხილული დებულებები მიუთითებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლების მრავალფეროვნებაზე, რის გამოც ფაქტობრივად შეუძლებელია ისეთი საკითხის მოძებნა, რომლის მიმართაც ხსენებულ ნორმებს ექნებოდა ერთგვარი დამოკიდებულება. ამ ზოგადი მიდგომიდან არსებობს ერთადერთი გამონაკლისი, რაც დაკავშირებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სუბიექტთან.

საერთო შეხედულების თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ პირს, რომელსაც მიადგა ზიანი და აღნიშნული მოთხოვნის უფლება ყველა ასეთი პირისთვის არის გარანტირებული.¹⁵⁶

3.4. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატები

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზებისთვის აუცილებელია ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, ასევე ნორმები. პასუხისმგებელი სუბიექტების განსაზღვრისას პირველ რიგში უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, რომელიც პირდაპირ ჩამოთვლის აღნიშნულ სუბიექტებს და ფაქტობრივად წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარანტიების შემქმნელ პირველწყაროს. ხსენებული ნორმის შესაბამისად პასუხისმგებელ სუბიექტებს წარმოადგენენ:

- სახელმწიფო;

¹⁵⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 3, ნაწილი 2, ქვეპუნქტი ა, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/3/423, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II., პუნქტი 18.

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ავტონომიური რესპუბლიკა;

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თითოეულ ამ სუბიექტს გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.¹⁵⁷ აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან არგუმენტს ზემოთ მითითებული სამი სუბიექტის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატად მიჩნევისთვის. მითუმეტეს, რომ თითოეულ მათგანს შესაძლოა გააჩნდეს „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი“. ამდენად, წინამდებარე თავში მოცემულ პარაგრაფებში განხილული იქნება ის შემთხვევები და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ის საფუძვლები, რომლებიც მიუთითებენ აღნიშნულ სუბიექტებზე, როგორც პასუხისმგებლობის ადრესატებზე, შევხებით ასევე ზემოხსენებულ ფონდებსაც.

3.4.1. სახელმწიფოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატად სახელმწიფოზე მიუთითებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები (2015 წლის 27 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციით). ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატის განსაზღვრასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხს წარმოშობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის ურთიერთკავშირი. არსებული მოსაზრების თანახმად, ამ უკანასკნელი ნორმით განსაზღვრული ვალდებულების ადრესატში „ორგანოში“ მოიაზრება ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და

¹⁵⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 66, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.]; იხ. ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014 წლის 5 თებერვალი, მუხლი 2, ნაწილი 2, <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=53>, [ნანახია: 02.08.2020 წ.]; იხ. აგრეთვე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 2017 წლის 19 ოქტომბერი, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი გ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811829>, [ნანახია: 02.08.2020 წ.]; იხ. ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2019 წლის 21 ნოემბერი, მუხლი 13, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/4716521?publication=8>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

აღმასრულებელი ორგანოები.¹⁵⁸ თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციას იკავებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატებადაც ცალ-ცალკე მიუთითებს სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობას.¹⁵⁹ ამას გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეული (იგივე მუნიციპალიტეტი) წარმოადგენენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს,¹⁶⁰ ვინაიდან შეუძლებელია ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანო პარალელურად იყოს სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანოც. გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულის, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტების, ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამას გარდა, მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ახორციელებს ე.წ. ცენტრალურ ხელისუფლებას, თვითმმართველი ერთეული კი ადგილობრივს. იმის გათვალისწინებით, რომ თვითმმართველი ერთეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამოუკიდებელ ადრესატად უნდა განვიხილოთ, მასთან დაკავშირებით მომდევნო პარაგრაფში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

შემდეგი საკითხი, რაც გარკვევას მოითხოვს არის ის, თუ რამდენად შეიძლება ტერმინში „სახელმწიფო“, მოვიაზროთ ასევე ავტონომიური რესპუბლიკებიც. ვფიქრობ ამ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს დადებითი, რადგან აჭარის და აფხაზეთის ა/რ-ები საქართველოს განუყოფელი ტერიტორიული ერთეულებია,¹⁶¹ ახორციელებენ როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე.¹⁶² აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით უნდა

¹⁵⁸ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ჭანტურია ლ., (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, გვ. 418.

¹⁵⁹ ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, 2002, გვ. 365.

¹⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1509, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ა და ბ, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.]; იხ. აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014 წლის 05 თებერვალი, მუხლი 2, ნაწილი 2, წინადადება 3, <https://matsne.gov.ge/document/view/2244429>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁶¹ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 2017 წლის 19 ოქტომბერი, მუხლი 1, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811829>, [ნანახია: 02.08.2020 წ.]; იხ. ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2019 წლის 21 ნოემბერი, მუხლი 1, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/4716521?publication=8>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁶² „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 2017 წლის 19 ოქტომბერი, მუხლი 3, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811829>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

მივიჩნით, რომ ტერმინი „სახელმწიფო“, თავის თავში მოიცავს ასევე აჭარისა და აფხაზეთის ა/რ-ებსაც. ამასთან, იმ გარემოებას, რომ ტერმინი „სახელმწიფო“ მოიცავს ავტონომიურ რესპუბლიკას, ადასტურებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ჩანაწერი, რომლის თანახმად, სახელმწიფო სამსახურია საქართველოს სახელმწიფოს ან ავტონომიური რესპუბლიკების იმ ორგანოებში (დაწესებულებებში) არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე საქმიანობა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ ... საქმიანობას.

სახელმწიფოს, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატს, სავალდებულოდ უნდა გააჩნდეს „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი“.¹⁶³ ეს უკანასკნელი წარმოადგენს არა რაიმე სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე დაწესებულებას, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებას¹⁶⁴ (საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება)¹⁶⁵, რომლიდანაც თანხის გამოყოფის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, გამონაკლის შემთხვევებში კი საქართველოს მთავრობას.¹⁶⁶

3.4.2. თვითმმართველი ერთეულის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატად თვითმმართველ ერთეულზე მიუთითებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-

წ.]; იხ. ასევე „აჭარის ა/რ-ის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 2008 წლის 15 ივლისი, მუხლი 8, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/18940?publication=3>, [ნანახია: 02.05.2015 წ.]; იხ. აგრეთვე ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2019 წლის 21 ნოემბერი, მუხლი 3, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/4716521?publication=8>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁶³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2009 წლის 18 დეკემბერი, მუხლი 30, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/91006?publication=46>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁶⁴ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2014 წლის 12 დეკემბერი, მუხლი 14, კოდი 58 07, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2639159>, [ნანახია: 02.05.2015 წ.].

¹⁶⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2009 წლის 18 დეკემბერი, მუხლი 6, პუნქტი ლ, <https://matsne.gov.ge/document/view/91006?publication=46>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁶⁶ იხ. იქვე, მუხლი 30, ნაწილი 2, ასევე ნაწილი 4.

ლი და მე-3 ნაწილები. იმაზე, თუ რამდენად შეიძლება მოვიაზროთ თვითმმართველი ერთეული ტერმინში „სახელმწიფო“, ზემოთ უკვე იყო განმარტებული.

სახელმწიფოსგან განსხვავებით თვითმმართველი ერთეულისთვის სავალდებულო არაა ჰქონდეს „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი“, თუმცა შეუძლია აღნიშნული გაითვალისწინოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.¹⁶⁷ მაგალითად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში არსებობს ასეთი სახის ფონდი,¹⁶⁸ რომლიდანაც თანხების გამოყოფას ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახური.¹⁶⁹

3.4.3. ავტონომიური რესპუბლიკის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

სახელმწიფოსა და თვითმმართველ ერთეულისგან განსხვავებით ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატის პირდაპირ განმსაზღვრელი ნორმა არ არსებობს თუ არ ჩავთვლით საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტს. ამ უკანასკნელის მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკების მოსამსახურეთაგან მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ავტონომიური რესპუბლიკის სახსრებიდან. ა/რ-ის შემთხვევაში ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნორმები არ მოიპოვება.

წინამდებარე თავში აღინიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის, ასევე საქართველოს სამოქალაქო და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსების მოქმედება და ავტონომიური რესპუბლიკები უნდა მოვიაზროთ ტერმინ „სახელმწიფოში“, რის გამოც ავტონომიური

¹⁶⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2009 წლის 18 დეკემბერი, მუხლი 68, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/91006?publication=46>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁶⁸ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, 2014 წლის 19 დეკემბერი, მუხლი 13, კოდი 10.26, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2636328>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁶⁹ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, 2014 წლის 22 დეკემბერი, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ბ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2643697>, [ნანახია: 02.05.2015 წ.].

რესპუბლიკების ორგანოთა საქმიანობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მქონე სუბიექტად უნდა განისაზღვროს ავტონომიური რესპუბლიკა. ამ მსჯელობას უფრო მეტად ამყარებს ის გარემოება, რომ აფხაზეთის ბიუჯეტით გათვალისწინებულია თანხები, რომლებიც, სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, უნდა მოხმარდეს აფხაზეთის ა/რ-ის ორგანოების მიერ წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურებას.¹⁷⁰ აღნიშნული სახსრების განკარგვა ხორციელდება აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა მინისტრის საფუძველზე.¹⁷¹

საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსები, ასევე ვრცელდება აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზეც. აფხაზეთის ა/რ-ისგან განსხვავებით, მისი ბიუჯეტი არ განსაზღვრავს ასიგნებებს დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისთვის. თუმცა გამოყოფილია თანხები სარეზერვო ფონდისთვის,¹⁷² რაც შესაძლოა აგრეთვე გამოყენებულ იქნას აჭარის ა/რ-ის ორგანოების საქმიანობით წარმოშობილი ზიანის ასანაზღაურებლად.¹⁷³ აღნიშნული თანხების განკარგვის უფლებამოსილება გააჩნია აჭარის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარეს.¹⁷⁴

3.4.4. მოსამსახურის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა დაეკისროს სახელმწიფო მოსამსახურეს ან საჯარო მოსამსახურეს.¹⁷⁵ დებულებაში აღნიშნულ ტერმინებს განმარტავს „საჯარო სამსახურის შესახებ“

¹⁷⁰ „აფხაზეთის ა/რ-ის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ-ის კანონი, 2014 წლის 29 დეკემბერი, მუხლი 13, კოდი 16 02, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2662139>, [ნანახია: 02.05.2015 წ.].

¹⁷¹ იხ. იქვე, მუხლი 17.

¹⁷² „აჭარის ა/რ-ის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ა/რ-ის კანონი, 2014 წლის 18 დეკემბერი, მუხლი 13, კოდი 1005, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2605063>, [ნანახია: 02.05.2015 წ.].

¹⁷³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2009 წლის 18 დეკემბერი, მუხლი 90, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/91006?publication=46>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁷⁴ „აჭარის ა/რ-ის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ა/რ-ის კანონი, 2014 წლის 18 დეკემბერი, მუხლი 15, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2605063>, [ნანახია: 02.05.2015 წ.].

¹⁷⁵ ტურავა პ., წვეპლამე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. სეზანი, თბ., 2010, გვ. 147.

საქართველოს კანონი და მას მთლიანობაში წარმოადგენს ადამიანი, რომელსაც აქვს შრომითი ურთიერთობა ხელისუფლების მქონე პირთან.¹⁷⁶

სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელისგან განსხვავდება სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი, რომლის კონსტრუქციაც აგებულია მოსამსახურის პერსონალურ პასუხისმგებლობაზე. ამ ინსტიტუტის ფარგლებში უკანონო სახელისუფლებო ქმედებით გამოწვეულ ზიანზე მოსამსახურეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა, რომლის მხოლოდ ფინანსური ნაწილი გადატანილია/გადაკისრებულია სახელმწიფოზე.¹⁷⁷ ანუ ზიანის ანაზღაურება, თანხის გადახდა მოსამსახურის ნაცვლად, უწევს სახელმწიფოს, თავად მოსამსახურის მიმართ მოთხოვნა ვერ იქნება წარდგენილი. აღნიშნული სისტემა მოხსენიებულია როგორც სახელმწიფოს ირიბი პასუხისმგებლობა.¹⁷⁸

იმის გამო, რომ სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელის ამოსავალი წერტილია მოსამსახურის პერსონალური პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა მოსამსახურის ბრალეულობა.¹⁷⁹ აღნიშნულის საპირისპიროდ, სახელმწიფოს უშუალო პასუხისმგებლობის მოდელის მიხედვით, სადავო, თუმცა დასაშვებია, რომ მოხდეს ზიანის გამომწვევი ქმედების ანონიმიზირება და ზიანის გამომწვევი ქმედების სახელმწიფოსთვის აბსტრაქტულად შერაცხვა.¹⁸⁰ ამის გამო, პასუხისმგებლობა დგება ბრალის გარეშე.¹⁸¹

სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქმულია არაერთი სპეციალისტის მიერ. მათ მიაჩნიათ, რომ გერმანიის ძირითადი კანონის 34-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოს უშუალო და არა ირიბი პასუხისმგებლობის მოდელს. ამას გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლომ

¹⁷⁶ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2015 წლის 27 ოქტომბერი, მუხლი 3, პუნქტი ბ, <https://matsne.gov.ge/document/view/3031098?publication=33>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁷⁷ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 12.

¹⁷⁸ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S. 545, Rn. 1.

¹⁷⁹ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 5, Rn. 7.

¹⁸⁰ Ipsen J., Allgemeines Verwaltungsrecht, 10. Aufl., München, F. Vahlen Verlag, 2017, S. 329, Rn. 1251.

¹⁸¹ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 12-13.

თავისი გადაწყვეტილებებით იმდენად გააფართოვა ეს მოდელი, ფაქტობრივად იგი გაუტოლა სახელმწიფოს უშუალო პასუხისმგებლობის ინსტიტუტს.¹⁸²

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა მიუთითებს სახელმწიფოსა და მისი მოსამსახურის სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე, როგორც ზოგად წესზე, მაგრამ ცალკეულ კანონებში შეიმჩნევა სახელისუფლებო ქმედებით წარმოშობილ ზიანზე მოსამსახურის პერსონალური პასუხისმგებლობის დამკვირდების „მცდელობა“. მაგალითად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹⁶ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „კერძო აღმასრულებელი პასუხისმგებელია სააღსრულებო წარმოების მხარეების წინაშე მის მიერ მიყენებული ზიანისათვის.“ გადამწყვეტია, რომ კერძო აღმასრულებელი ახორციელებს იძულებით აღსრულებას,¹⁸³ ხელისუფლების არსის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, მის გარეშე საჯარო-სამართლებრივი საქმიანობა აზრს მოკლებულია.¹⁸⁴ იძულებითი აღსრულების საჯარო-სამართლებრივი ბუნებას ვერ შეცვლის მისი განმახორციელებელი სუბიექტის კერძო-სამართლის დარგისადმი კუთვნილების ფაქტი. შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ იძულებითი აღსრულების ანუ ხელისუფლების განხორციელების დროს წარმოშობილ ზიანზე პასუხისმგებელია არა სახელმწიფო, არამედ კერძო პირი თავისი ფინანსური შესაძლებლობებით.

სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე არ უნდა იყოს პასუხისმგებელი მოსამსახურე არც სოლიდარულად და არც პერსონალურად. აღნიშნულს განაპირობებს ორი რამ: ა). ის ფაქტი, რომ შეუძლებელია ერთმანეთისგან განცალკევდეს სახელმწიფოს ქმედება და მოსამსახურის ქმედება; ბ). იურიდიული პირის არსი.

სახელმწიფო წარმოადგენს საჯარო მმართველობის უფლების მქონე საწყის სუბიექტს ანუ მისი არსებობა და უფლებამოსილებები არ არის ნაწარმოები რომელიმე სხვა პირისგან. მას აქვს სრული უფლებაუნარიანობა ე.ი. სახელმწიფო შესაძლოა

¹⁸² s. ebd. S. 13-14.

¹⁸³ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, 1999 წლის 16 აპრილი, მუხლი 3, პუნქტი 3, <https://matsne.gov.ge/document/view/18442?publication=99>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁸⁴ ადგიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2005, გვ. 272.

ადიჭურვოს და დაეკისროს ნებისმიერი ნორმიდან გამომდინარე უფლება და ვალდებულება.¹⁸⁵ საჯარო მმართველობის განსახორციელებლად სუბიექტის უფლებაუნარიანობა არაა საკმარისი, იგი ასევე უნდა იყოს ქმედუნარიანი. ქმედუნარიანობა, ეს არის სუბიექტის უნარი, შესაძლებლობა ფიზიკური თვალსაზრისით განახორციელოს მოქმედება, რითაც ის ახდენს საკუთარი უფლების რეალიზებას და/ან ვალდებულების შესრულებას.¹⁸⁶

სახელმწიფო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი,¹⁸⁷ ქმედუნარიანი ხდება საბოლოო ჯამში ფიზიკური პირის (ადამიანის) მეშვეობით.¹⁸⁸ ამდენად, ეს უკანასკნელი, „სხვა პირის მიმართ“, მოქმედებს სახელმწიფოს უფლებაუნარიანობის საფუძველზე, რის გამოც მოქმედების შედეგი წარმოიშობა სახელმწიფოს და არა მოსამსახურე ფიზიკური პირის (ადამიანის) უფლებაუნარიანობის განხორციელების ფარგლებში. შეუძლებელია ერთმანეთისგან განცალკევდეს სახელმწიფოს ქმედება და მოსამსახურის ქმედება. შესაბამისად, სახეზეა შემდეგი მოცემულობა: სახელმწიფოს უფლებაუნარიანობას + სახელმწიფოს ქმედუნარიანობა = სახელმწიფოს მოქმედებით გამოწვეულ შედეგს (როგორც კანონიერი, ასევე უკანონო).

იურიდიული პირის არსი, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, შედგება შვიდი ელემენტისგან, რომელთა გარეშეც იურიდიული პირი ვერ იარსებებს.¹⁸⁹ ნაშრომის მიზნებისათვის, მათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ორი ურთიერთდაკავშირებული ელემენტი: „საკუთარი ქონება“ და „დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა.“ იურიდიულ „პირს ისევე თავისუფლად შეუძლია ჰქონდეს ქონება, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს.“ აქედან გამომდინარე, იგი ქონებრივად აგებს პასუხს სხვა პირებისაგან დამოუკიდებლად. ამას გარდა, უნდა

¹⁸⁵ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 578-579, Rn. 4,5 und 7.

¹⁸⁶ ზოიძე ბ, კორძია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 12, ველი 1, გვ. 68.

¹⁸⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1509, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ა, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

¹⁸⁸ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 30-31.

¹⁸⁹ ბურდული ი., ეგნატაშვილი დ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 24, ველი 6, გვ. 186.

აღნიშნოს, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობაუნარიანობა მიიჩნევა მისი ქმედუნარიანობის შემადგენელ ნაწილად.¹⁹⁰

ზემოთ განხილული ორი გარემოებიდან გამომდინარე, (ა. სახელმწიფოს მიერ საკუთარი უფლებაუნარიანობით ხელისუფლების განხორციელება და ბ. მისი გაგება, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის) მოსამსახურე პასუხს არ უნდა აგებდეს, არც პერსონალურად და არც სოლიდარულად, „სხვა პირის მიმართ“ „სახელმწიფოს მიერ გამოწვეულ შედეგზე“.

მოსამსახურის პასუხისმგებლობას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოსა და მოსამსახურის ურთიერთობის ფარგლებში. აღნიშნული გამოიხატება, მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან რეგრესის უფლებაში მოსამსახურის მიმართ, რასაც ნაშრომის მომდევნო ნაწილში უფრო ვრცლად განვიხილავ.

3.5. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი წინაპირობები

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლები არის ძალიან მრავალფეროვანი და კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანია მათი წარმოშობის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება თუ დავყოფთ მათ ორ კატეგორიად:

- კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლებად და
- კანონშესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლებად.

პირველ მათგანში ყურადღება გამახვილდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე. ხოლო მეორე ქვეთავში განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშვება

¹⁹⁰ იხ. იქვე, გვ. 187-188 და გვ.190.

ადმინისტრაციული ორგანოს კანონშესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემითაც კი.

3.5.1. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს როგორც კანონსაწინააღმდეგო, ასევე კანონშესაბამისი ქმედებით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძვლებს. კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძვლებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, მე-18 მუხლის მე-6 და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილები. აღნიშნულ დებულებები ქმნიან გარანტიებს, ხოლო მათ რეალიზებას კი ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი.¹⁹¹

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს კანონშესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძვლებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის პირველი, მე-60¹ მუხლის მე-6 და 61-ე მუხლის მე-4 ნაწილების სახით.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობიდან უნდა გამოვყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი სამი საფუძველი. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარანტიების შემქმნელი ნორმები საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი

¹⁹¹ იხ. ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში.

ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის სახით. მესამე კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის მიზანია ზემოხსენებული ნორმებით გათვალისწინებული გარანტიების რეალიზება. ამ უკანასკნელი დებულებების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობები. ესენია:

- ზიანის არსებობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელება;
- სხვა პირთა მიმართ არსებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა;
- კანონსაწინააღმდეგო ქმედებასა და წარმოქმნილ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა;
- ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა.¹⁹²

აღნიშნული წინაპირობებიდან ყველაზე მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობას, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის სავალდებულო წინაპირობას, რადგან იგი გარკვეულ პრობლემურ საკითხებთან არის დაკავშირებული, რაზედაც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებ.

3.5.1.1. ზიანის არსებობა

წარმოდგენელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სუბიექტს წარმოეშვას მაშინ, როდესაც ზიანი არ არსებობს, რადგან თუ არ არსებობს ზიანი ე.ი. არ იქნა ხელყოფილი ის სიკეთე, რომელსაც კანონმდებლობა იცავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისთვის, სავალდებულოა ზიანის არსებობა. ამ უკანასკნელში კი მოიაზრება პირის კანონით დაცული უფლების, ქონებრივი სიკეთის ხელყოფა, რომელსაც შედეგად მოყვა მათი შემცირება ან საერთოდ

¹⁹² ადვიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2005, გვ. 328; იხ. ასევე ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2013, გვ. 235.

განადგურება,¹⁹³ ასევე პასივების გაზრდა.¹⁹⁴ ამას გარდა, ზიანი შესაძლოა იყოს არაქონებრივი ანუ ისეთი, რომლის გამოხატვაც ფულადი სახით ან გართულებულია ან შეუძლებელიც კი. მაგალითად, პირის მიერ განცდილი სულიერი ტკივილი. ამის საპირისპიროდ, ქონებრივი ზიანი ყოველთვის შეიძლება შეფასდეს ფულადი ექვივალენტით.¹⁹⁵

3.5.1.2. ზიანის უკანონოდ მიყენების ფაქტი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას უნდა აუნაზღაურდეს შესაბამისი სუბიექტების მიერ უკანონოდ მიყენებული ზარალი. აღნიშნული თავის თავში მოიაზრებს ზიანის წარმოშობას სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, რადროსაც ზიანის მიმყენებლის მხრიდან, დაირღვა მისი სხვა პირთა მიმართ არსებული სამსახურებრივი მოვალეობა.

3.5.1.2.1. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელება

მეორე სავალდებულო პირობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისთვის არის ის, რომ ზიანი უნდა წარმოიშვას ზიანის მიმყენებლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ქმედების შედეგად.¹⁹⁶ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი არ დამდგარა სუბიექტის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, მაშინ ზიანის ანაზღაურება დაეკისრება არა დამსაქმებელს, არამედ ზიანის უშუალოდ მიმყენებელს, საერთო საფუძვლების მიხედვით.¹⁹⁷

¹⁹³ მთ. რედ. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, გამომც. სამართალი, 2001 წაშრომში: ადვიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2005, გვ. 328, იხ. ასევე ტურავა პ., წკეპლამე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2013, გვ. 227.

¹⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-342-694-07 წიგნში: ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ., (რედ.), თბ., 2019, მუხლი 394, გვ. 588, ველი 23.

¹⁹⁵ ბათლიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ., (რედ.), თბ., 2019, მუხლი გვ. 689, ველი 5 და 6.

¹⁹⁶ ჯანიშვილი მ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, სტატიათა კრებ., სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 30.

¹⁹⁷ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის, სტატიათა კრებ., მართლმსაჯულება და კანონი, #2(37)113, 2013, გვ. 19.

წინაპირობაზე მსჯელობის დროს, უნდა შეფასდეს რამდენად განხორციელდა ზიანის გამომწვევი ქმედება სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის არსებული ე.წ. შიდა ურთიერთობის ფარგლებში. ამის დადგენის მიზნით, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქმედების სივრცით-დროით და თვისობრივ ასპექტებზე. მაგალითად, სამსახურში არ ყოფნის პერიოდში (დავუშვათ შვებულებით სარგებლობის დროს) მოსამსახურე დააზიანებს სხვა პირის ჯანმრთელობას; დროითი ფაქტორის გათვალისწინებით, ადგილი არ აქვს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებას. მეორე შემთხვევა, პოლიციელი სახლში ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების პროცესში, სახლიდან მოიპარავს ძვირადღირებულ ნივთს. ამ შემთხვევაშიც, ქმედების თვისობრიობიდან გამომდინარე, სახეზე არ გვაქვს შიდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის.¹⁹⁸

თვისობრივი თვალსაზრისით ქმედება ითვლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებულად, „თუ ქმედება და საჯარო-სამართლებრივი საქმიანობა განიხილება როგორც ერთიანი, სახელისუფლებო ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული მოვლენა.“ ამ კუთხით, უნდა გამოიკვეთოს ქმედების განხორციელების მოტივი¹⁹⁹, არის იგი კერძო, თუ სამსახურებრივი. ზიანის მომტანი ქმედების „სამსახურებრივად“ მისაჩნევად მნიშვნელოვანია ქმედების განხორციელების მოტივი, რადგან უფლებამოსილების/მოვალეობის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ განზრახვის არსებობისას. შემთხვევით, გაუცნობიერებლად შეუძლებელია მოვალეობის შესრულება. სწორედ ამიტომ უფლებამოსილების/მოვალეობის შესრულებისკენ მიმართული მოტივის გარეშე, ვერ შესრულდება უფლებამოსილება/მოვალეობა, რომლის გარეშეც თავის მხრივ არ წარმოიშობა ხელისუფლების მქონე პირის პასუხისმგებლობა.

ზიანის მომტანი ქმედების „სამსახურებრივად“ მიჩნევისთვის, გადამწყვეტია იმის დადგენა, ადგილი ჰქონდა მოსამსახურის მიერ „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას“ თუ „ხელსაყრელი შემთხვევით სარგებლობას“. პირველი წარმოადგენს

¹⁹⁸ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 412-413, Rn. 1059 und 1060.

¹⁹⁹ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 13, Rn. 31.

სახელმწიფოს, მეორე კი მოსამსახურის როგორც კერძო პირის პასუხისმგებლობის საფუძველს. გამიჯვნის კრიტერიუმია ზიანის გამომწვევი ქმედების შინაარსის დაკავშირება „სახელისუფლებო ამოცანის“ შესრულებასთან. ასეთი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება ფაქტობრივი თვალსაზრისით იძლევა სახელისუფლებო ამოცანის შესრულების შესაძლებლობას. ქმედების შინაარსში „სახელისუფლებო ამოცანის“ ელემენტის არსებობა განაპირობებს უფლებამოსილების „სამსახურებრივად“ მიჩნევას. აღნიშნულის გარეშე „უფლებამოსილება“ არის არა სამსახურებრივი, არამედ კერძო ხასიათის, რაც გავლენას ახდენს პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრაზე. თუ მოსამსახურეს საერთოდ არ აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, რომ სახელისუფლებო ამოცანა ფაქტობრივად შეასრულოს ასეთი ქმედებით, მაშინ იგი უფლებამოსილებას ვერც გადაამეტებს. მაგალითად, ზედამხედველობის სამსახურმა, მისი უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, განახორციელა შენობის დემონტაჟი. სამსახურის უფროსმა გადაწყვეტილება მიიღო არა იმიტომ რომ შენობა იყო უკანონო, არამედ პირის განსხვავებული კანის ფერის გამო. სახელისუფლებო ამოცანის ფაქტობრივად შესრულებისთვის ზედამხედველობის სამსახურს მინიჭებული აქვს შენობის დემონტაჟის უფლებამოსილება, თუმცა სამსახურის უფროსმა გადაამეტა უფლებამოსილებას, როდესაც უსაფუძვლოდ განახორციელა ქმედება (ადგილი აქვს დისკრიმინაციასაც და განზრახვასაც). ამის საპირისპიროდ, პოლიციელის მაგალითში, სახელისუფლებო ამოცანის ფაქტობრივად შესრულებისთვის მას მინიჭებული არ ჰქონდა ნივთის მოპარვის უფლებამოსილება. ამდენად, მან უფლებამოსილებას კი არ გადაამეტა უფლებამოსილებას, არამედ ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და მოიპარა ნივთი. ჩხრეკის პროცესისა და ნივთის მოპარვის ერთიან პროცესად შეფასება მიგვიყვანს იმ შედეგამდე, რომ მოსამსახურის სტატუსის მქონე პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება ჩაითვლება სახელმწიფოს მოქმედებად, მიუხედავად იმისა შინაარსობრივი/მატერიალური თვალსაზრისით სრულდება თუ არა „სამსახურებრივი“ უფლებამოსილება/მოვალეობა. პირის მიერ მოსამსახურის სტატუსი არ გამოირიცხავს იმას, რომ მან განახორციელოს კერძო ხასიათის ქმედება. „ხელსაყრელი შემთხვევით სარგებლობის“ დროს მოსამსახურე პირის მიმართ არღვევს საკუთარ ვალდებულებას და არა სახელმწიფოს ვალდებულებას, რის გამოც

პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს მოსამსახურეს. ასეთი შემთხვევებისთვის სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლოა გამომდინარეობდეს მხოლოდ როგორც მოსამსახურის უმოქმედობით გამოწვეული ზიანის დროს.

სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის არსებული შიდა ურთიერთობის ფარგლებში, ქმედების განხორციელების დასაკვალიფიცირებლად, ქმედების მახასიათებლები შეგვიძლია პირობითად დავყოთ ორ კრიტერიუმად: ფორმალური და მატერიალური. ფორმალური კრიტერიუმით უნდა შეფასდეს ქმედების სივრცით-დროითი ასპექტი, კერძოდ, ის თუ რამდენად განხორციელდა ქმედება დროის ისეთ მონაკვეთში, როდესაც მოსამსახურე ფორმალურად, სამართლებრივად აღჭურვილი იყო სახელისუფლებო ამოცანის შესრულების უფლებით. მატერიალური კრიტერიუმის შემთხვევაში, მოწმდება მოსამსახურის მხრიდან ქმედების განხორციელების მოტივი იყო სამსახურებრივი, თუ კერძო. მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსამსახურე აღჭურვილია სახელისუფლებო ამოცანის შესრულების უფლებით და ქმედების განხორციელების მოტივი სამსახურებრივია, ქმედება უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის არსებული შიდა ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებულად.

3.5.1.2.2. სხვა პირის მიმართ არსებული სამსახურებრივი მოვალეობა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის მესამე სავალდებულო პირობას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის მიერ სხვა პირის მიმართ არსებული ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანის წარმოქმნა.²⁰⁰ სხვა პირის მიმართ ვალდებულება არსებობს, მაშინ, როდესაც მოსამსახურის სამსახურეობრივ ვალდებულებას შეესაბამება სხვა პირის უფლება.²⁰¹ თვალსაჩინოებისათვის გამოგვადგება მაგალითი სამშენებლო სამართლის სფეროდან: არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლის ვალდებულებას, დაადგინოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების პირობები განცხადების რეგისტრაციიდან 10 დღის

²⁰⁰ ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2013, გვ. 236.

²⁰¹ ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2005, გვ. 333.

ვადაში, შეესაბამება განმცხადებლის უფლება, განაშენიანების პირობების დადგენაზე ან განაშენიანების პირობების დადგენაზე უარის დროულად მიღებაზე.

სიტყვათა წყობა, „სხვა პირთა მიმართ“, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა, სათავეს იღებს მანდატის თეორიიდან, რომლის მიხედვითაც კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების გაფორმების გზით სახელმწიფო მოსამსახურეს გადასცემდა საჯარო-სამართლებრივ ამოცანებს შესასრულებლად. ამდენად, ხელშეკრულების ძალით მოსამსახურეს გააჩნდა მოვალეობები სახელმწიფოს მიმართ. ამასთან ერთად, მოქალაქესთან წარმოშობილ გარე ურთიერთობაში მოსამსახურეს უნდა შეესრულებინა სახელმწიფოს ვალდებულებები.²⁰² ვინაიდან მოქალაქე არ იყო სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის არსებული ურთიერთობის მონაწილე, მაგრამ მოსამსახურის მოვალეობის განხორციელებით ხდება მოქალაქის მიმართ სახელმწიფოს ვალდებულების შესრულება,²⁰³ ეს უკანასკნელი მიიჩნევა სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის წარმოშობილი ურთიერთობის გარეთ არსებულ „სხვა პირად“.

ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის სტრუქტურაში წინაპირობის – „სხვა პირის მიმართ“,²⁰⁴ ჩართვა მიზნად ისახავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეზღუდვას. სამსახურებრივი მოვალეობა ვერ იქნება სხვა პირის მიმართ, თუ იგი ემსახურება ექსკლუზიურად, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ანუ საყოველთაო ინტერესს. სხვა პირის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის არსი მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის სუბიექტურ საჯარო უფლებასთან.²⁰⁵ ამ უფლების „ძალით“, თავისი ინტერესების დაცვის მიზნით, პირს შეუძლია მოითხოვოს სახელმწიფოსგან ქმედების განხორციელება (მოქმედება ან უმოქმედობა).²⁰⁶ სუბიექტური საჯარო უფლების დაცვის ორი გზა არსებობს: პირველადი და მეორადი. პირველადი დაცვის

²⁰² Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 14, Rn. 32.

²⁰³ s. ebda.

²⁰⁴ ვრცლად ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. თორაძე დ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ (საქართველოსა და გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მაგალითებზე), სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018, გვ. 54-74.

²⁰⁵ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 716, Rn. 19.

²⁰⁶ ადგიშვილი ზ., ვარდიშვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2005, გვ. 46.

დროს პირი ითხოვს უშუალოდ ქმედების (მოქმედების-უმოქმედობის) განხორციელებას, ხოლო მეორადი დაცვის პროცესში, პირი ითხოვს არ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, რადგან ქმედების განხორციელების მოთხოვნის ნაწილში მას აღარ აქვს ინტერესი.²⁰⁷

სამსახურებრივი მოვალეობის სხვა პირისკენ მიმართების შემოწმება ხდება სამ ეტაპად, რად დროსაც დგინდება:

ა) ზოგადად, საერთოდ ახდენს თუ არა ზეგავლენას სამსახურებრივი მოვალეობა სხვა (არამოსამსახურე) პირზე;

ბ). ექცევა თუ არა დაზარალებული პირთა დაცულ წრეში და

გ). მოიცავს თუ არა დარღვეული სამსახურებრივი მოვალეობის სხვა პირისკენ მიმართების ფარგლები დაზარალებულის ხელყოფილ ინტერესს ან სამართლებრივ სიკეთეს.

მაგალითად, გიორგი ააშენებს შენობას მშენებლობის ნებართვის შესაბამისად, თუმცა იგი ჩამოინგრევა იმ მიზეზით, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს, მისი სიმყარე არასწორად იქნა შეფასებული. შენობის ჩამონგრევისას ნიკამ მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება. გიორგი ითხოვს შენობის ჩამონგრევითა და ახალი შენობის აშენების საჭიროებით წარმოშობილი ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ხოლო ნიკა ითხოვს ჯანმრთელობის დაზიანების გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეემოწმებინა ასაშენებელი შენობის მდგრადობა, რასაც რეალობაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, სამსახურებრივი მოვალეობა უდავოდ დარღვეულია. მიუხედავად ამისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექნება მხოლოდ ნიკას, რადგან შენობის მდგრადობის შემოწმება ემსახურება არა მხოლოდ საზოგადოების ინტერესებს, არამედ ნებისმიერი იმ ცალკეული პირის ინტერესს, რომლებსაც არამდგრადი შენობის ჩამონგრევით ექმნებათ საფრთხე სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების თვალსაზრისით. ამის საწინააღმდეგოდ გიორგის მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას,

²⁰⁷ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.553, Rn. 12.

რადგან შენობის მდგრადობის შემოწმების სამსახურებრივი მოვალეობა არ ემსახურება ფინანსური ინტერესების დაცვას.²⁰⁸ ამდენად, შესაძლოა სახეზე იყოს სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა, მაგრამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს, რადგან მოვალეობა არ არსებობდეს „სხვა პირის მიმართ“.

3.5.1.2.3. სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „მოხელე ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, დაიცვას სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროს იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით და მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობით.“

სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევად მიიჩნევა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მოსამსახურისთვის დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შინაარსს. დარღვევა შესაძლოა გამოიხატოს მოქმედებაში ან უმოქმედობაში.²⁰⁹ ამასთან, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს „სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა“ და „სამართლებრივი ვალდებულების დარღვევა“. ძალიან ხშირად სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა იმავდროულად წარმოადგენს სამართლებრივი ვალდებულების დარღვევასაც, მაგრამ არა ყოველთვის.²¹⁰ აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევების დროს, როდესაც ზემდგომი მოსამსახურე გასცემს შესასრულებელ განკარგულებას ქვემდგომი მოსამსახურის მიმართ. განკარგულება იქნება კანონიერი ან უკანონო. მაგალითად, თუ მოსამსახურე არ შეასრულებს უკანონო განკარგულებას, ამით, შიდა ურთიერთობაში, ის დაარღვევს სამსახურებრივ ვალდებულებას, მაგრამ გარე ურთიერთობაში, შესაძლოა სახელმწიფოს სამართლებრივ ვალდებულებას, რომელიც ამ უკანასკნელს გააჩნდა მოქალაქის

²⁰⁸ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 716, Rn. 19.

²⁰⁹ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.551, Rn. 10.

²¹⁰ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 423, Rn. 1076.

(პირის) მიმართ.²¹¹ ამის საპირისპიროდ, უკანონო განკარგულების შესრულების შემთხვევაში, ქვემდგომი მოსამსახურე არ არღვევს სამსახურებრივი მოვალეობას, მაგრამ მხედველობაში მიიღება ზემდგომის მიერ გაცემული განკარგულების უკანონობა და მიიჩნევა, რომ ამ უკანასკნელმა დაარღვია სამსახურებრივი მოვალეობა. აღნიშნული კი გამოიწვევს ზიანის ანაზღაურებას.²¹²

ქვემდგომი მოსამსახურის მიერ ზემდგომის განკარგულების შესრულება მოწესრიგებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლით. მისი პირველი პუნქტის თანახმად, „მოხელე ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ...“. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მოხელეს უფლება აქვს, უარი განაცხადოს განკარგულების შესრულებაზე“ თუ არსებობს ამ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოხელე ვალდებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ წერილობით შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს და შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს. განკარგულების წერილობით განმეორებისას მოხელემ იგი უნდა შეასრულოს, ...“ გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. ასეთ გამონაკლისებს მიეკუთვნება:

- განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.
- განკარგულების შესრულება საზიანოა მისი (ქვემდგომი მოსამსახურის, ავტ.) ჯანმრთელობისათვის.
- განკარგულება მიმართულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.
- განკარგულების შესრულება გამოიწვევს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტი, თანახმად, „მოხელეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება

²¹¹ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.552, Rn. 11.

²¹² Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, 2013, C. F. Müller Verlag, S. 16, Rn. 37.

სრული პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისთვის.“.

ზემოხსენებული მოწესრიგების გათვალისწინებით, განკარგულების მიღების დროს ქვემდგომმა მოსამსახურემ უნდა შეაფასოს განკარგულების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. მისი უკანონობის შემთხვევაში აცნობოს ზემდგომ პირებს და უარი თქვას მის შესრულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედების განმახორციელებელი მოსამსახურე სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ განხორციელებული ქმედების კანონიერებაზე.

3.5.1.3. კანონსაწინააღმდეგო ქმედებასა და წარმოქმნილ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის მეოთხე სავალდებულო პირობას წარმოადგენს დამდგარ ზიანსა და ზიანის მიმყენებლის მიერ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.²¹³ უნდა მივიჩნიოთ, რომ დამდგარ შედეგსა და განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელი ქმედების გარეშე შედეგი ანუ ზიანი არ დადგებოდა.²¹⁴

3.5.1.4. ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ზიანის წარმოშობის აუცილებელი წინაპირობად განსაზღვრულია, რომ ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალეული ქმედებით, განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: იურისტების ნაწილის მოსაზრებით სამოქალაქო კოდექსის მიერ ტერმინის „უხეში გაუფრთხილებლობის“ დამკვიდრება ცალსახად ნიშნავს იმას, რომ ზიანის უბრალო გაუფრთხილებლობით მიყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უნდა წარმოემყვას არა სახელმწიფოს, თვითმმართველ

²¹³ ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2013, გვ. 237.

²¹⁴ მთ. რედ. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. სამართალი, 2001, გვ. 369.

ერთეულს ან ავტონომიურ რესპუბლიკას, არამედ უშუალოდ ზიანის მიმყენებელს საერთო საფუძვლების მიხედვით.²¹⁵ იურისტთა მეორე ნაწილის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის მიერ ტერმინის „უხეში გაუფრთხილებლობის“ გათვალისწინება წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რის გამოც სახელმწიფო ვალდებულია ანაზღაუროს წარმოშობილი ზიანი, ბრალის ნებისმიერი ფორმის მიუხედავად. განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა უნდა გახდეს სახელმწიფოს მხრიდან რეგრესის წესით მოთხოვნის საფუძველი.²¹⁶

საკითხზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით შექმნილი გარანტიები, რომელთა თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია შესაბამისი სუბიექტების მიერ უკანონოდ მიყენებული ზარალის სრული ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის სავალდებულო წინაპირობად შეგვიძლია არ მივიჩნიოთ ბრალის არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე პირდაპირ მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი. ასეთ შემთხვევაში წარმოშობილია კოლიზია გარანტიების შემქმნელ და მის მარეალიზებელ ნორმებს შორის და ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსი, უნდა მივიჩნიოთ, რომ უპირატესობაც მიენიჭება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ გარანტიებს. ამ უკანასკნელთა თანახმად, კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშვება ზიანის უკანონოდ მიყენების შემთხვევაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომლის განმარტებითაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისთვის უნდა არსებობდეს სამი პირობა:

- სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მხრიდან უკანონო მოქმედების ფაქტი;

²¹⁵ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის, სტატიათა კრებ., მართლმსაჯულება და კანონი, #2(37)113, 2013, გვ. 19.

²¹⁶ ტურავა პ., წვეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2013, გვ. 237.

- უკანონო მოქმედებით, პირისთვის მატერიალური ან არამატერიალური ზიანის მიყენება;
- სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებასა და პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა.

აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს ზიანის სრული კომპენსირება.²¹⁷

შესაძლოა არსებობდეს მოსაზრება, რომ ტერმინში „უკანონო“, ასევე იგულისხმება ბრალის არსებობაც. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის, რომ საკითხის ამგვარად გართულება არ არის მიზანშეწონილი, რადგან შინაარსობრივად ტერმინები უკანონო, მართლსაწინააღმდეგო, კანონდარღვევით მიღებული, აღნიშნავენ იმას, რომ მმართველობითი ღონისძიების განხორციელებისას დაირღვა კანონი. კანონის დარღვევა კი უკვე ნიშნავს „უკანონოს“, ამიტომ მისი არსებობისთვისაც სავალდებულო არაა ბრალის არსებობა. შესაბამისად, ტერმინი „უკანონო“ თავის თავში სავალდებულოდ არ მოიაზრებს „ბრალსაც“. ამ გარემოების გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისთვის სავალდებულო წინაპირობას არ წარმოადგენს ბრალის არსებობა. ეს უკანასკნელი, როგორც აღინიშნა, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფოს მხრიდან რეგრესის წესით მოთხოვნის საფუძველად.

3.5.2. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შეზღუდვა და გამორიცხვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.“ ეს მოწესრიგება ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მოცულობის შემსუბუქებას ან საერთოდ

²¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/3/423, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II., პუნქტი 7.

გამორიცხვასაც კი, როდესაც დაზარალებულმა არ გამოიყენა უფლების პირველადი დაცვის საშუალებები, მაგალითად საჩივარი და/ან სარჩელი ზიანის გამომწვევი ქმედების საწინააღმდეგოდ.²¹⁸ ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დაზარალებულის მიერ სამართლებრივი საშუალებების არ გამოყენებასა და წარმოშობილ ზიანს შორის. საკითხი წყდება მოვლენათა ჰიპოთეტური განვითარების საფუძველზე, კერძოდ, იმის მიხედვით თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, დაზარალებულს რომ სამართლებრივი საშუალებები გამოეყენებინა ზიანის გამომწვევი ქმედების საწინააღმდეგოდ. თუ სამართლებრივი საშუალებების გამოყენებას „ნამდვილად მოყვებოდა შედეგები“, მაშინ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის გამო, ზიანის ანაზღაურება გამოირიცხება²¹⁹ იმ ნაწილში, რა ნაწილითაც იქნებოდა ზიანი თავიდან აცილებული.

3.5.3. კანონშესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველები

კანონშესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველებს ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის პირველი, მე-60¹ მუხლის მე-6 და 61-ე მუხლის მე-4 ნაწილები. ამ სამს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში, პირს ზიანი ადგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, ხოლო მეორე და მესამე შემთხვევაში, მისი გაუქმებით, შესაბამისად, ბათილად ცნობით ან ძალადაკარგულად გამოცხადებით. ამ ორ უკანასკნელს შორის განსხვავება მდგომარეობს გაუქმების საგნის სამართლებრივ ბუნებაში. ბათილად ცნობის შემთხვევაში უქმდება კანონსაწინააღმდეგო აქტი, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება, კანონიერი.

²¹⁸ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოც., თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 273-274.

²¹⁹ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 34, Rn. 95.

3.5.3.1. საზოგადოებრივი აუცილებლობისთვის ინდივიდის ინტერესების გაწირვა

აღნიშნული ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქტი გამოცემულია საზოგადოებრივი აუცილებლობის საჭიროებიდან გამომდინარე და გარდა იმისა, რომ მას სარგებლობა მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის, იგი ასევე ხელყოფს ინდივიდის ან პირთა ჯგუფის ინტერესებს.²²⁰ აღნიშნულის კლასიკურ მაგალითად განიხილავენ ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის გადაკეტვას, მასზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით, რა დროსაც ამ ქუჩაზე არსებული მაღაზიის მეპატრონის კომერციული ინტერესები იზღუდება, რადგან მაღაზიას სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე აღარ ეყოლება მომხმარებელი. სახელმწიფოს შეუძლია თავიდან აიცილოს საკომპენსაციოდ დიდი თანხების გადახდა თუ უზრუნველყოფს მაღაზიამდე ფეხით მოსიარულეთა გზის მოწყობას.²²¹

3.5.3.2. სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის ინტერესებისთვის ინდივიდის ინტერესების გაწირვა

აღნიშნული შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კანონსაწინააღმდეგოდ გამოცემული აქტი, რომლის მიმართაც პირს აქვს კანონიერი ნდობა, ბათილად იქნება ცნობილი, რითაც ზიანი მიაღებება პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. მნიშვნელოვანია ის, რომ იმ ინდივიდუალური აქტების, რომლის მიმართაც პირს გააჩნია კანონიერი ნდობა, ბათილად ცნობა შესაძლებელია თუ კანონსაწინააღმდეგოდ აქტი არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კერძო პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.²²² ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არ მოხდება ზიანის სრული ანაზღაურება, რადგან ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოიანგარიშება კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.²²³

²²⁰ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 209, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

²²¹ ადვიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, 2002, გვ. 367.

²²² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 60¹, ნაწილი 6, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

²²³ ადვიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, 2002, გვ. 166.

მესამე შემთხვევა, შეეხება ისეთი კატეგორიის საქმეებს, როდესაც კანონშესაბამისი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება იმ საფუძველით, რომ მის გამომცემ ორგანოს, ფაქტობრივი ან სამართლებრივი წინაპირობების ცვლილების გამო, ჩამოერთვა ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესაძლებლობა და ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.²²⁴ როგორც ვხედავთ 60¹ მუხლის შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება ა). სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კერძო პირის კანონიერ უფლებები ან ინტერესები ბ). სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, რა დროსაც უპირატესობა ენიჭება პირველ მათგანს. 61-ე მუხლის შემთხვევაში, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესი უპირისპირდება კერძო პირის ინტერესებს.

3.6. შუალედური შეფასება

წინამდებარე თავში მოყვანილი მსჯელობის დახმარებით მოხდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველების კლასიფიკაცია სამი კრიტერიუმის მიხედვით. პირველი მათგანის შესაბამისად, ნორმები დაიყო კონსტიტუციურ, საერთაშორისო, სისხლის, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და ავტონომიური რესპუბლიკებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივ საფუძველებად. მეორე კრიტერიუმის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველები იყოფა გარანტიების შემქმნელ და ამ გარანტიების მარეალიზებელ ნორმებად, ხოლო მესამე კრიტერიუმის თანახმად, აღნიშნული საფუძველების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ზოგადი და სპეციალური ხასიათის ურთიერთობებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველებად.

ზემოაღნიშნული ნორმების მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შესაძლოა წარმოეშვას მხოლოდ იმ პირს, ვისაც ზიანი მიადგა ადმინისტრაციული ორგანოს მმართველობითი ღონისძიების განხორციელების შედეგად. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატებს კი წარმოადგენენ სახელმწიფო,

²²⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 61, ნაწილი 4, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

თვითმმართველი ერთეული, ავტონომიური რესპუბლიკა და ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად, სახელმწიფო მოსამსახურე.

სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე არ უნდა იყოს პასუხისმგებელი მოსამსახურე არც სოლიდარულად და არც პერსონალურად. აღნიშნულს განაპირობებს ორი რამ: ა). ის ფაქტი, რომ შეუძლებელია ერთმანეთისგან განცალკევდეს სახელმწიფოს ქმედება და მოსამსახურის ქმედება; ბ). იურიდიული პირის არსი. მოსამსახურის ქმედება ხორციელდება სახელმწიფოს უფლებათუნარიანობის ფარგლებში და მისთვის ქმედუნარიანობის მისანიჭებლად. სახელმწიფოს, როგორც იურიდიულ პირს, უნდა გააჩნდეს დამოუკიდებლად პასუხისმგების უნარი, რადგან მას გააჩნია საკუთარი ქონება.

უმჯობესი იქნება თუ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადრესატების წრის განსაზღვრისას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილში, მოხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლზე მითითება და აღნიშნული საკითხის მოწესრიგების პრეროგატივა მთლიანად დაეთმობა ამ უკანასკნელ მუხლს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ზემოხსენებულ მუხლებს შორის ხდება დუბლირება სახელმწიფოს, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტად განსაზღვრის ნაწილში, ხოლო თვითმმართველი ერთეულის შემთხვევაში საკითხი ღიად არის დატოვებული სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის მიერ.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წინაპირობები უნდა დავყოთ ორ კატეგორიად: კანონსაწინააღმდეგო ქმედებით და კანონშესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველად. მათ შორის განსხვავების კრიტერიუმია განხორციელებული მმართველობითი ღონისძიების სამართლებრივი ბუნება.

კანონსაწინააღმდეგო მმართველობითი ღონისძიებით განხორციელებული ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მხრიდან უკანონო მოქმედების (სხვა პირის მიმართ დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის) ფაქტის; პირისთვის ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანის

მიყენებისა; სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებასა და პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის შემთხვევაში.

სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ ზიანი წარმოშობილი უნდა იქნას ე.წ. შიდა ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებით. შიდა ურთიერთობის არსებობა შეიძლება დადგინდეს ფორმალური და მატერიალური კრიტერიუმების შემოწმებით. ამას გარდა, უნდა შეფასდეს გარე ურთიერთობის არსებობა ანუ რამდენად იყო მიმართული სამსახურებრივი მოვალეობა „სხვა პირისკენ“.

ცალკე უნდა შევხვით მოსამსახურის ბრალს უკანონო ქმედების განხორციელებაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის სავალდებულო წინაპირობად განსაზღვრულია ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. აღნიშნული შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტს და ანალოგიურ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას, რომლის მიხედვითაც ბრალი, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სავალდებულო წინაპირობა, განსაზღვრული არ ყოფილა. აღნიშნულის გამო, რეკომენდირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებთან შესაბამისობაში და მის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სავალდებულო წინაპირობად აღარ დადგინდეს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის არსებობა.

კანონშესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებული ზიანი ანაზღაურდება ზემოხსენებული სუბიექტების მიერ. ამ დროს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და/ან კერძო პირთა ინტერესები უპირისპირდება სხვა პირის ინტერესებს, რის შემდეგაც წარმოიშვება ზიანი. იმ პირს, რომლის ინტერესების ხელყოფაც განხორციელდა შეუძლია მოითხოვოს ზიანის

ანაზღაურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის პირველი, მე-60¹ მუხლის მე-6 და 61-ე მუხლის მე-4 ნაწილების საფუძველზე.

თავი 4. ზიანის ანაზღაურების ფორმები და სახელმწიფოსთვის განკუთვნილი რეგრესის უფლება

4.1. ზიანის ანაზღაურების ფორმები

ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის სრულფასოვნად გამოყენებისთვის საკმარისი არაა ნორმებით მხოლოდ მოთხოვნის წარმომშობი წინაპირობების დადგენა, აუცილებელია განისაზღვროს ზიანის ანაზღაურების ფორმები ანუ ის წესი, თუ როგორ უნდა მოხდეს ქონებრივი დანაკლისით შექმნილი უკანონო მდგომარეობის გამოსწორება ან სულიერი ტკივილის დადებითი ემოციით გარკვეულწილად „ჩანაცვლება“, შემსუბუქება. აღნიშნული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, 409-ე მუხლითა და 413-ე მუხლის პირველი ნაწილით.. შესაბამისად არსებობს ზიანის ანაზღაურების ორი ფორმა: ა) ნატურით რესტიტუცია და ბ) ფულადი ანაზღაურება.

ზემოხსენებული მუხლების გამოყენება, სზაკ-ის 207-ე მუხლიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართლის სფეროში უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის გამოსწორების დროს.

4.1.1. ნატურით რესტიტუცია

ნატურით რესტიტუცია, საკანონმდებლო დონეზე, გამყარებულია და ფაქტობრივად მისი შინაარსი განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით,²²⁵ რომლის თანახმად „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.“ შესაბამისად, ნატურით რესტიტუცია შინაარსობრივად ნიშნავს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.²²⁶

²²⁵ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 413, თბ., გამომც. სამართალი, 2001, გვ. 452.

²²⁶ იბ. იქვე, გვ. 455.

4.1.2. ფულადი ანაზღაურება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით, „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ფორმებს შორის პრიორიტეტი ენიჭება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ანუ ნატურით რესტიტუციას და ფულადი ანაზღაურება გამოიყენება მხოლოდ ზემოხსენებული ორი შემთხვევიდან ერთ-ერთის (ან აბსოლუტური შეუძლებლობის ან ფარდობითი შეუძლებლობის) არსებობის დროს.²²⁷

მეორე შემთხვევა, როდესაც ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის ფარგლებში დასაშვებია ზიანის ფულადი ანაზღაურება, მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეეხება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.²²⁸

გერმანული სამართლებრივი მოწესრიგებით სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ფარგლებში გამოიყენება ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო კოდექსის ნორმებით განსაზღვრული ფორმები, თუმცა აღინიშნება მნიშვნელოვანი გამონაკლისი: დაშვებულია ზიანის მხოლოდ და მხოლოდ ფულადი ანაზღაურების ფორმა.²²⁹ გამონაკლისი გამომდინარეობს სამსახურებრივი პასუხისმგებლობის სტრუქტურულიდან, რადგან ამ ინსტიტუტით დაწესებულია სახელმწიფო მოსამსახურის პირადი პასუხისმგებლობა, რომელიც გადატანილია სახელმწიფოზე.²³⁰ რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო პასუხს აგებს იმ ფორმით, როგორც კერძო პირს თავად შეეძლებოდა პასუხისგება. მას როგორც კერძო პირს არ აქვს სამსახურებრივი ქმედების განხორციელების უფლებამოსილება, ამდენად ამ ფორმით ვერც სახელმწიფო აღადგენს

²²⁷ იხ. ვრც., რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ., (რედ.), თბ., 2019, მუხლი 408, ველი 2, გვ. 712-713.

²²⁸ იხ. ვრცლად, მორალური ზიანის ანაზღაურების ქვეთავი.

²²⁹ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 733, Rn. 47.

²³⁰ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 12.

პირვანდელ მდგომარეობას და რჩება ზიანის მხოლოდ ფულადი ანაზღაურების ფორმა.²³¹

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოქმედებს სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელი, არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება, ზიანის ანაზღაურება მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით ანუ ნატურით რესტიტუციით.

4.2. რეგრესის უფლება ზიანის ანაზღაურებისას

სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის სახელმწიფოს მიერ ზიანის სრულად ანაზღაურების შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს რეგრესის (უკუმოთხოვნის) უფლება მოსამსახურის მიმართ, რადგან ორივე სოლიდარულად აგებენ პასუხს დაზიანებულის წინაშე. მოსამსახურისთვის ფინანსური ტვირთის დაკისრებას გააჩნია პრევენციული ფუნქცია, რადგან პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხის არსებობამ ზეგავლენა უნდა მოახდინოს მოსამსახურეზე იმგვარად, რომ მას ჰქონდეს ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედების თავიდან არიდების მოტივაცია.²³²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარე, ამ უფლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ზიანის გამოწვევაში მოსამსახურეს მიუძღვის ბრალი - განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა.²³³ სახელმწიფოს მხრიდან უკუმოთხოვნისთვის ამ შეზღუდვის დადგენა ემსახურება ორ მიზანს: ა). მოსამსახურეების მიერ გადაწყვეტილების შიშის გარეშე მიღებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანად განხორციელებას; ბ). მოსამსახურის სოციალური დაცვის ვალდებულების შესრულებას სახელმწიფოს მიერ.²³⁴

²³¹ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 35-36, Rn. 103.

²³² ბათლიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ., (რედ.), თბ., 2019, ველი 2, გვ. 688.

²³³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1005, ნაწილები 1 და 3, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

²³⁴ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.568, Rn. 34.

სახელმწიფოს მხრიდან რეგრესის უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, საქართველოსა და გერმანიის მოწესრიგება იდენტურია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის 34-ე მუხლის მეორე აბზაცი არ არის მოთხოვნის წარმომშობი ნორმა და რეგრესის უფლების გამოსაყენებლად იგი საჭიროებს დამატებით მოწესრიგებას სპეციალური კანონმდებლობით.²³⁵ საქართველოს შემთხვევაში, მოთხოვნის წარმოშობას განაპირობებს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, „მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“. აღნიშნული არ გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან რეგრესის უფლების სპეციალური კანონმდებლობით მოწესრიგების შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ჩანაწერში გამოყენებულია სიტყვა „უფლება“, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეგრესის უფლების გამოყენება წარმოადგენს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რამაც შესაძლოა გარკვეული „არაკეთილსინდისიერი“ ქმედებების განხორციელებას დაუდოს საფუძველი. ფაქტობრივად, სახელმწიფოს „შეუზღუდავი“ ნება გააჩნია რეგრესის უფლების გამოყენება-არგამოყენების თვალსაზრისით, რადგან უფლების გამოყენებლობის შემთხვევაშიც კი, არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს „აიძულებს“ კუთვნილი თანხის მოსამსახურისგან ამოღებას. მაგალითად, სახელმწიფოსთვის ქმედების განხორციელების დავალების შესახებ სარჩელის წარდგენა შესაძლოა არაეფექტიანი გამოდგეს დასაშვებობის ეტაპის (კანონიერი ინტერესისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების შემოწმების ნაწილში) ვერ გადალახვის გამო. სარჩელი დასაშვებად რომც მიიჩნიოს სასამართლომ, საქმის დასრულებამდე რეგრესის მოთხოვნა ხანდაზმული გახდება, რასაც ისევ იგივე შედეგამდე მივყავართ - ვერ მოხდება თანხის ამოღება. ეს კი სრულიად აზრს დაუკარგავს ზიანის ანაზღაურების პრევენციულ ფუნქციას. მოსამსახურეს აღარ ექნება პასუხისმგებლობის ზომიერი შიში და

²³⁵ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 7, Rn. 18.

წინდახედულობის გამოჩენის მოთხოვნილება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეფექტიანი საჯარო მმართველობის განხორციელება.

ზემოხსენებული ნეგატიური შედეგების თავიდან ასარიდებლად, დისკრეციული უფლებამოსილების ნაცვლად, სახელმწიფო ვალდებული უნდა იყოს გამოიყენოს რეგრესის მოთხოვნა ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედების განმახორციელებელი პირის მიმართ. ვინაიდან ამ უკანასკნელი შემთხვევებისას სახელმწიფოს რეგრესის უფლება წარმოადგენს შიდა ურთიერთობას²³⁶ სახელმწიფოსა და მოსამსახურეს შორის, გამართლებული და საფუძვლიანი იქნება რეგრესის მოთხოვნის გამოყენების ვალდებულება და ზოგადად მომწესრიგებელი ნორმებიც გათვალისწინებული იქნას საჯარო კანონმდებლობით.

იკვეთება კავშირი სახელმწიფოს რეგრესის უფლებასა და მოსამსახურის დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის. ორივე მათგანისთვის საერთოა სამართლებრივი გარემოება - მოსამსახურე არღვევს სამსახურებრივი მოვალეობა, ორივე შემთხვევისთვის დარღვევა უკავშირდება ერთსადაიმაცე ფაქტობრივ მოვლენას. ამასთან, რეგრესის უფლებისა და მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის სამართლებრივი ბუნება არსობრივად განსხვავებულია. რეგრესი წარმოადგენს ზიანის წარმოშობამდე არსებული (პირვანდელი) მდგომარეობის აღდგენის ანუ დარღვევის შედეგების გამოსწორების ვალდებულებას, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობა - სანქციას დარღვევისთვის, რის გამოც დასაშვებია, კანონმდებლობა ითვალისწინებდეს განსხვავებულ მატერიალურ-სამართლებრივ წინაპირობებს რეგრესის მოთხოვნის არსებობის დასადასტურებლად და სანქციის შესაფარდებლად, რის გამოც ეს ორი მექანიზმი ერთმანეთისგან შედეგობრივად დამოუკიდებელია. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს რეგრესის მოთხოვნა მოსამსახურის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სახელმწიფოსთვის დაკისრების შემდეგ, რაც აუცილებელი გარემოება არაა მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობისთვის.

²³⁶ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 711, Rn. 10.

ვინაიდან რეგრესის მოთხოვნა სამართლებრივად დაკავშირებულია დასაქმებულის სამსახურეობრივი მოვალეობის დარღვევასთან და მოქალაქის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამსაქმებლისთვის დაკისრებასთან, მიზანშეწონილია რეგრესის მოთხოვნა დასაქმებულის მიმართ განახორციელოს მისმა დამსაქმებელმა, ხოლო როდესაც ზიანი გამოიწვია ორგანოს ხელმძღვანელის ქმედებამ, მაშინ იმ სუბიექტმა, რომლის კომპეტენციასაც წარმოადგენს დამრღვევის პირისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

თავი 5. ადმინისტრაციული სამართლის სფეროს სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება

5.1. სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა შესაძლოა მოწესრიგდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.²³⁷ ფორმის თვალსაზრისით ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის იგივე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება,²³⁸ თუმცა ამ უკანასკნელისაგან ის განსხვავდება შინაარსით. კერძოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულება იდება მხოლოდ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.²³⁹ ამდენად, განსხვავებულია სამართლებრივი ურთიერთობების სფეროები, რომლებთან დაკავშირებითაც შესაძლოა დაიდოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო ხელშეკრულებები. პირველი მათგანის დროს, ურთიერთობის სფერო დამოკიდებულია ხელშეკრულებით ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებზე,²⁴⁰ ხოლო მეორის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეიძლება შეეხებოდეს კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს²⁴¹ ანუ ისეთ ურთიერთობებს, რომლითაც სრულდება არასაჯარო ფუნქცია/ამოცანა.²⁴²

გერმანული კანონმდებლობის მიხედვითაც შესაძლებელია მოწესრიგდეს ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულებით,²⁴³ რაც წარმოადგენს

²³⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 65, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

²³⁸ იქვე, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „ზ“.

²³⁹ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოც., თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 185.

²⁴⁰ კვიციანი გ., ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 39.

²⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

²⁴² ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 1, ველი 9, გვ. 4.

²⁴³ §54, Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG), 25/05/1976, <https://www.gesetze-im-internet.de/vwvfg/BJNR012530976.html>, [11.10.2020].

საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებითი ურთიერთობის ერთ-ერთ სახეობას.²⁴⁴ მის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მოწესრიგების შევსების მიზნით, ანალოგიის წესით, გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ნორმები.²⁴⁵ ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობად არ მიიჩნევენ მის მოწესრიგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.²⁴⁶

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები შესრულების შეუძლებლობის, ვადის გადაცილების, ვალდებულების „მარტივი“ დარღვევისა და ხელშეკრულების დადებისას ბრალის (*culpa in contrahendo*) გამო გადაწყდებიან ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ანალოგიის წესით სამოქალაქო სამართლის ნორმების მიხედვით.²⁴⁷ კერძო სამართლებრივი ვალდებულებითი ურთიერთობები ანუ თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო ხელშეკრულებიდან, წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით,²⁴⁸ როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით და არა ანალოგიით.

წარმოშობის საფუძვლის მიხედვით განასხვავებენ სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებებს, პირველი მათგანი წარმოიშობა შეთანხმების, ხოლო მეორე, კანონის ძალით.²⁴⁹ განსხვავებულია მათი სამართლებრივი ბუნებაც. სახელშეკრულებო ვალდებულება არის განსაკუთრებული მოვალეობა, რომელიც არსებობს მხოლოდ განსაზღვრულ პირებს შორის და ამდენად, აქვს ე.წ. რელატიური (ფარდობითი) ხასიათი. აღნიშნულის საპირისპიროდ, კანონისმიერი ვალდებულება ზოგადი მოვალეობაა და გააჩნია ე.წ. აბსოლუტური ხასიათი ანუ ვრცელდება ნებისმიერ პირზე. ეს უკანასკნელი იძენს რელატიურ ხასიათს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონკრეტული

²⁴⁴ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 500, Rn. 1262.

²⁴⁵ §62 S. 2, Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG), 25/05/1976, <https://www.gesetze-im-internet.de/vwvfg/BJNR012530976.html>, [11.10.2020].

²⁴⁶ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 47, Rn. 118.

²⁴⁷ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 406.

²⁴⁸ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 47, Rn. 119.

²⁴⁹ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ., (რედ.), თბ., 2019, მუხლი 317, გვ. 44, ველი 30.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე წარმოიშობა კონკრეტული კანონისმიერი ურთიერობა.²⁵⁰ აღნიშნული სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურების მოვალეობაც შეიძლება დავეყთ ორ სახედ, კანონისმიერ (მაგ. სამსახურებრივი პასუხისმგებლობა) და სახელმშეკრულებო პასუხისმგებლობებად. სახელმშეკრულებო პასუხისმგებლობისას ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობა განისაზღვრება როგორც ხელმშეკრულებით, ასევე კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევის გამო, ხოლო კანონისმიერის დროს, მხოლოდ კანონით დადგენილი წესების დარღვევის გამო.²⁵¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციული სახელმშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების საკითხი, გერმანული სამართლებრივი მოწესრიგებით, წყდება ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ანალოგიის წესით, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. აღნიშნულის მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი“. ამ დებულებაში მოაზრებული უნდა იქნას ადმინისტრაციული ხელმშეკრულებაც, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის მიყენება შესაძლოა გამოიწვიოს მისი საქმიანობის ისეთმა სამართლებრივმა ფორმამ, როგორცაა ადმინისტრაციული ხელმშეკრულება.

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დანაკლისის ანაზღაურების საკითხები განხილული იქნება მომდევნო ქვეთავებში.

²⁵⁰ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 403.

²⁵¹ ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები, უსაფუძვლო გამდიდრება, თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2015, გვ. 71-72.

5.2. საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა

5.2.1. ცნება

საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა მიმართულია საჯარო სამართლის სფეროში ქონების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემის გამო შექმნილი უთანასწორო მდგომარეობის დაბალანსებისკენ. ასეთ დროს გადამწყვეტი საკითხია, რომ ქონების გადაცემა მოხდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და არა ის, თუ რამდენად კანონიერი იყო იგი.²⁵²

არსებობს მჭიდრო კავშირი კერძო-სამართლებრივ უსაფუძვლო გამდიდრებასა და საჯარო-სამართლებრივ უკუგადაცემის მოთხოვნასა შორის,²⁵³ თუმცა ეს უკანასკნელი წარმოადგენს დამოუკიდებელ საჯარო-სამართლებრივ ინსტიტუტს. აღნიშნულის უმთავრესი არგუმენტია, რომ საჯარო მმართველობა უნდა განხორციელდეს კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც მოითხოვს სამართალთან შეუსაბამობაში მყოფი უთანასწორო ქონებრივი მდგომარეობის დაბალანსებას.²⁵⁴ მისი დამოუკიდებლად არსებობის დამადასტურებელ კიდევ ერთ არგუმენტად მითითებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლიდანაც იგი გამომდინარეობს მაშინ, როცა მოქალაქის მოთხოვნა უკუგადაცემის შესახებ, მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ.²⁵⁵

საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნის არსებობას განაპირობებს შემდეგი გარემოებები, რომლებიც შეგვიძლია მოვიხსენიოთ როგორც მისი ცნების ელემენტებიც:

- ა). ქონების გადაცემა;
- ბ). საჯარო-სამართლებრივი სამართალურთიერთობა;
- გ). სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობა.²⁵⁶

²⁵² Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 489, Rn. 1235 und 1236.

²⁵³ BverwGE 25, 72 (81); OVG NW, DÖV 1971, 350 in: Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 530.

²⁵⁴ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 837, Rn. 27.

²⁵⁵ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 490, Rn. 1239.

²⁵⁶ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 106, Rn. 272.

5.2.1.1. ქონების გადაცემა

ადგილი უნდა ჰქონდეს ქონების გადაცემას ერთი პირისგან - მოთხოვნის წარმდგენისგან, მეორე სუბიექტზე ანუ მოთხოვნის მოწინააღმდეგე მხარეზე, რომელიც აღნიშნული მოვლენით გამდიდრდა. გადაცემული ქონების საგანი შესაძლოა იყოს არამხოლოდ თანხა, არამედ ნებისმიერი ნივთი, მაგალითად მიწის ნაკვეთი და ასევე მომსახურებაც კი.²⁵⁷

5.2.1.2. საჯარო-სამართლებრივი სამართალურთიერთობა

ქონების გადაცემა უნდა მოხდეს საჯარო-სამართლებრივი სამართალურთიერთობის ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებს უკუგადაცემის მოთხოვნა.²⁵⁸ სამართალურთიერთობის ბუნების დასადგენად, პირველ რიგში, ცხადი უნდა იყოს მისი არსი.

სამართალურთიერთობაში მოიაზრება სამართლის სულ მცირე ორ სუბიექტს შორის, სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე ურთიერთობა. სამართალურთიერთობას არ წარმოადგენს სახელმწიფოსა და მოქალაქის ზოგადი ურთიერთობა, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს ინდივიდუალიზებასა და კონკრეტიზებას. მაგალითად, ზოგადი ურთიერთობა უნებართვო მშენებლობის გამო, პირისთვის ვალდებულების დაკისრების შესახებ იქნება სამართალურთიერთობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო კონკრეტული უნებართვო მშენებლობის გამო, უშუალოდ სამართალდამრღვევს სათანადო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.

სამართალურთიერთობის მონაწილეებს, როგორც წესი, ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ ვალდებულებები და უფლებები.²⁵⁹ შესაბამისად, სამართალურთიერთობას ახასიათებს შემდეგი ელემენტები:

ა). სულ მცირე ორი მონაწილის არსებობა;

²⁵⁷ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 491, Rn. 1241.

²⁵⁸ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 838, Rn. 31.

²⁵⁹ s. ebda. S. 191-192, Rn. 18.

ბ). სამართლებრივი ნორმის საფუძველზე კონკრეტული საქმის/შემთხვევის მოწესრიგება;

გ). როგორც წესი, ძირითადად, მონაწილეებს გააჩნიათ ურთიერთმიმართული უფლებები და ვალდებულებები.

ქონების გადაცემის შესახებ სამართალურთიერთობის სამართლებრივი ბუნება დამოკიდებულია იმ საფუძვლის სამართლებრივ ბუნებაზე, რომელიც ჰიპოთეტურად (მოჩვენებითად) არსებობდა ქონების გადასაცემად ან მოგვიანებით გაუქმდა. იმ შემთხვევაში თუ 1. ჰიპოთეტურად (მოჩვენებითად) არსებული ან თუნდაც 2. რეალობაში არსებული, მაგრამ მოგვიანებით გაუქმებული საფუძველი მიეკუთვნება საჯარო სამართალს, მაშინ ქონება გადაცემულად უნდა ჩაითვალოს საჯარო-სამართლებრივი სამართალურთიერთობის ფარგლებში.

ზემოხსენებული საფუძვლების (1. ჰიპოთეტურად (მოჩვენებითად) არსებული ან 2. რეალობაში არსებული, მაგრამ მოგვიანებით გაუქმებული საფუძვლის) საჯარო სამართლისადმი კუთვნილების დასადგენად გამოიყენება საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის ზოგადი თეორიები. აღნიშნულის მეშვეობით, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა იმიჯნება კერძო-სამართლებრივი უსაფუძვლო გამდიდრებისგან.²⁶⁰

5.2.1.3. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (უსაფუძვლობა)

ქონებრივი მდგომარეობა მიჩნეულ უნდა იქნას უსაფუძვლოდ შექმნილად, როდესაც მას არ გააჩნია გამართლება სამართლებრივი საფუძვლით. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს სამართლებრივი საფუძვლით გამართლება არ არსებობდა ქონების გადაცემის მომენტშივე, თუ იგი ამ დროს არსებობდა, მაგრამ მოგვიანებით გაუქმდა. ამის საპირისპიროდ, თუ ქონების გადაცემა სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გამო არის კანონიერი, მაშინ გამოირიცხება საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა.²⁶¹ საკვანძო დროის მონაკვეთი, რომელზედაც დამოკიდებულია საფუძვლის საკითხის არსებობა-არარსებობის გადაწყვეტა, არის საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის

²⁶⁰ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 106, Rn. 273 und 274.

²⁶¹ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 492, Rn. 1247 und 1248.

მოთხოვნის წარდგენა. თუ წარდგენისას არ არსებობს ქონების გადაცემის საფუძველი, მაშინ ჩაითვლება, რომ აღნიშნული მოვლენა განხორციელდა საფუძველის გარეშე.²⁶²

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნის განხილვისას დასადგენია ხომ არ მოხდა ქონების გადაცემა 1. ჰიპოთეტურად (მოჩვენებითად) არსებულ ან 2. რეალურად არსებულ, მაგრამ მოგვიანებით გაუქმებულ სამართლებრივ საფუძველებზე დაყრდნობით. თუ ადგილი ჰქონდა ამ ორი სამართლებრივი გარემოებიდან ერთ-ერთს, მაშინ ორივე შემთხვევაში დგება იდენტური შედეგი - ქონების უკუგადაცემა.

ქონების გადაცემის სამართლებრივი საფუძველის არსებობა-არარსებობის შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის საჯარო-სამართლებრივ ფორმებს.

ქონების გადაცემა შესაძლოა შედეგად მოყვეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას ან რეალაქტს,²⁶³ მაგრამ არა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ეს უკანასკნელი, ზემოხსენებული საქმიანობის პირველი სამი სამართლებრივი ფორმისგან განსხვავებით, არ ახდენს სამართალურთიერთობის ინდივიდუალიზება-კონკრეტიზებას.

თუ შესრულების განხორციელება დაწყებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მაშინ ქონების გადაცემის საფუძველის არსებობა-არარსებობის დასადგენად, ორიენტირება უნდა მოხდეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, როგორც შესრულების უშუალო საფუძველზე და არა თვითონ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ნორმატიულ საფუძველზე.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თუნდაც იყოს უკანონო, არის ნამდვილი იმ მომენტამდე, სანამ არ მოხდება მისი ბათილად ცნობა. შესაბამისად, ასეთ დროს რომ ქონების გადაცემა იყოს უსაფუძველო და ამდენად, უკუგადაცემის

²⁶² Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 107, Rn. 276.

²⁶³ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.630, Rn. 5.

მოთხოვნა დასაბუთებული, მის წარდგენას წინ უნდა უსწრებდეს შესრულების განხორციელების საფუძვლის ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.²⁶⁴

ზემოხსენებული შემთხვევისგან განსხვავებით, როდესაც აქტი არარაა ანუ არ არის ნამდვილი, ქონების გადაცემა შესრულების მომენტშივე უსაფუძვლოა.²⁶⁵ თუმცა ამ შემთხვევაშიც, უნდა დადგინდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარაობა საერთო წესების შესაბამისად.

თუ ქონების გადაცემის საფუძველია ადმინისტრაციული ხელშეკრულება, მაშინ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მსგავსად, ქონების გადაცემა რომ ჩაითვალოს უსაფუძვლოდ, იგი ჯერ უნდა გაუქმდეს ან დადგინდეს მისი არარაობა. ხელშეკრულების მარტოოდენ უკანონობა საკმარისი არაა საჯარო-სამართლებრივი მოთხოვნის არსებობისთვის.²⁶⁶

რეალაქტის განხორციელების შემთხვევაში (თანხის გაცემა, მის გაცემამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების გარეშე), განსაკუთრებული, ექსკლუზიური ორიენტირება უნდა მოხდეს მატერიალურ სამართლებრივ საფუძველზე. თუ იგი ამართლებს ქონების გადაცემას, მაშინ საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.²⁶⁷

როდესაც სამართალურთიერთობის საფუძველია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება, მაშინ უკან დაბრუნების ურთიერთობა როგორც თავდაპირველი ურთიერთობის შებრუნებული მხარე, ასევე არის საჯარო-სამართლებრივი ბუნების მქონე.²⁶⁸ ანალოგიური მოწესრიგება უნდა გააჩნდეს რეალაქტის უსაფუძვლოდ განხორციელების შედეგად გადაცემული ქონების უკან დაბრუნების

²⁶⁴ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 838-839, Rn. 32.

²⁶⁵ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.630, Rn. 5.

²⁶⁶ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, 2013, C. F. Müller Verlag, S. 108, Rn. 278.

²⁶⁷ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S. 630, Rn. 5.

²⁶⁸ Maurer, in: Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 106, Rn. 274.

ურთიერთობასაც, რადგან თავად რეალაქტის საფუძველი საჯარო-სამართლებრივი იყო. შებრუნებული მხარის თეორიის გამოყენებით ხდება საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემისა და უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნების ერთმანეთისგან გამიჯვნა, როდესაც საქმე ეხება შესრულების კონდიქციას²⁶⁹ (შესრულების დაბრუნებას)²⁷⁰ ანუ ერთი პირის მიერ მეორისთვის ქონების შეგნებულად და მიზანმიმართულად გადაცემის შემთხვევას.²⁷¹

ზემოხსენებულისგან განსხვავებული მდგომარეობაა შეუსრულებლობის კონდიქციების შემთხვევაში. კერძოდ მაშინ, როცა საქმე ეხება ე.წ. „სხვაგვარად“ გამდიდრებას, რადგან ასეთ დროს საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნა არ წარმოადგენს შესრულების შებრუნებულ მხარეს,²⁷² რადგან თავად შესრულება საერთოდ არ არსებობს. ამდენად, შეუძლებელია შებრუნებული მხარის თეორიის გამოყენება.

შეუსრულებლობის კონდიქციებში გამოყოფენ სამ სახეს:

- ა). ხელყოფის,
- ბ). რეგრესისა და
- გ). დანახარჯების კონდიქციებს.²⁷³

საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნად მიიჩნევა ხელყოფის კონდიქციის შემდეგი შემთხვევა: სახელმწიფო კერძო მესაკუთრის მიწის ნაკვეთიდან, მისი თანხმობის გარეშე, იღებს ხრემს, რათა აწარმოოს გზის სამშენებლო სამუშაოები. თუ აღნიშნული ხრემი გადამუშავებული/გამოყენებული არ არის, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოთხოვოს სახელმწიფოს მისი უკან დაბრუნება. ხრემის გადამუშავების შემთხვევაში, მესაკუთრეს აქვს ქონების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის

²⁶⁹ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 538.

²⁷⁰ ტერმინ „კონდიქციის“ შესატყვისად შესაძლოა გამოყენებულ იქნას სიტყვა „დაბრუნება“, რაზეც მიუთითებს ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონი. იხ. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=38&id_srch=f6d514d042c453859863832445f720c8&il=en&p=1, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

²⁷¹ ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მეორე გადამ. გამოცემა, ცისკამე მ., ძლიერიშვილი ზ. (რედ.), თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2018, გვ. 150.

²⁷² Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 543.

²⁷³ ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მეორე გადამ. გამოცემა, ცისკამე მ., ძლიერიშვილი ზ. (რედ.), თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2018, გვ. 169.

უფლება.²⁷⁴ საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარეც, გამართლებული იქნება ასეთი მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმადაც „თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ...“.

5.2.2. საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ურთიერთობის სუბიექტები

ქონების უსაფუძვლო გადაცემა, რომელიც წარმოშობს უკუგადაცემის მოთხოვნას, შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით და შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ მოთხოვნა მიმართული იყოს ურთიერთგანსხვავებული სუბიექტებისაკენ. ზოგადი შეფასებით, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნის დროს პოტენციურად შეიძლება შეიქმნას შემდეგი ვარიაციის ურთიერთობები:

- ა. მოქალაქე ხელისუფლების მქონე პირის წინააღმდეგ;
- ბ. ხელისუფლების მქონე პირი მოქალაქის წინააღმდეგ;
- გ. ხელისუფლების მქონე პირი ხელისუფლების მქონე სხვა პირის წინააღმდეგ.

5.2.2.1. მოქალაქე ხელისუფლების მქონე პირის წინააღმდეგ

პირველ რიგში, უკუგადაცემის მოთხოვნა შესაძლოა წარმოემვას მოქალაქეს ხელისუფლების მქონე პირის მიმართ. ამის მაგალითებად მოიაზრება გადასახადის ან სხვა სახელმწიფო მოსაკრებლის სავალდებულოზე ზედმეტი ოდენობით გადახდა, რა დროსაც მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს იმ თანხის უკან დაბრუნება, რომლის გადახდის ვალდებულებაც არ ჰქონდა.

5.2.2.2. ხელისუფლების მქონე პირი მოქალაქის წინააღმდეგ

ზემოხსენებულის საპირისპიროდ, დასაშვებია, რომ ხელისუფლების მქონე პირს წარმოემვას მოთხოვნა მოქალაქის მიმართ. მაგალითად, მოსამსახურისათვის ზედმეტად ან მცდარად გადახდილი ხელფასი ან დახმარება, ასევე მატერიალური საშუალებების გადაცემა სოციალური საჯარო მმართველობის სფეროში.²⁷⁵

²⁷⁴ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 543-544.

²⁷⁵ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 532-533.

5.2.2.3. ხელისუფლების მქონე პირი ხელისუფლების მქონე სხვა პირის წინააღმდეგ

საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობაშიც. მაგალითად, თუ სუბიექტი უარს განაცხადებს იმ ხარჯების ანაზღაურებაზე, რომელიც გაწია სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ სუბიექტისთვის, სზაკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, სამართლებრივი დახმარების აღმოსაჩენად. ასეთ დროს, სუბიექტი, რომელსაც დაეხმარნენ დაზოგავს საკუთარ ქონებას, როგორცაა დოკუმენტის ასლის გადაღების, ექსპერტიზის ჩატარების, ბენზინის ღირებულება და ა.შ.²⁷⁶, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ქონების ხარჯზე. აღნიშნული მოვლენა კი მიუთითებს, დახმარება აღმოჩენილი პირის გამდიდრებაზე.

ზემოხსენებული მაგალითის გარდა, ხელისუფლების მქონე პირებს შორის უკუგადაცემის მოთხოვნის ერთ-ერთ მაგალითად მიიჩნევა ე.წ. Abwälzungsanspruch (შემოვლითი მოთხოვნა), რომელსაც ადგილი აქვს სოციალური დაზღვევის გერმანულ სამართალში. ამ ურთიერთობის ნიშანია ის, რომ მოქალაქის მიმართ, შესრულებაზე ვალდებული ადმინისტრაციული ორგანოს ნაცვლად, შესრულებას ახორციელებს შესრულებაზე არავალდებული ადმინისტრაციული ორგანო. მკაცრი გაგებით, სამართლებრივი სიზუსტისთვის, ასეთ შემთხვევებში: 1. შესრულებაზე არავალდებულმა პირმა უნდა მოითხოვოს ქონების უკან გადაცემა გამდიდრებული მოქალაქისგან, 2. ხოლო მოქალაქემ - ვალდებულების შესრულება იმ ადმინისტრაციული ორგანოსგან, რომელსაც რეალურად ეკისრებოდა შესრულების ვალდებულება. მოვლენათა ასეთი განვითარებისგან თავის ასარიდებლად შემოვლითი მოთხოვნა მიმართულია უთანასწორო ქონებრივი მდგომარების უშუალოდ ისეთი ხერხით დაბალანსებისკენ, რომლითაც შესრულებაზე არავალდებულ პირს, რომელმაც მოქალაქის მიმართ განახორციელა შესრულება, შეუძლია მოითხოვოს ქონების უკან გადმოცემა შესრულებაზე ვალდებული პირისგან ანუ სხვა ადმინისტრაციული ორგანოსგან.²⁷⁷

²⁷⁶ ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, 69.

²⁷⁷ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 534.

5.2.3. საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნის სახეები

5.2.3.1. საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის სპეციალური მოთხოვნა

საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის სპეციალური მოთხოვნის დროს, ადმინისტრაციული კანონმდებლობის სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმები აწესრიგებენ ქონების უსაფუძვლოდ გადაცემის შემთხვევებს და ითვალისწინებენ მის უკან დაბრუნებას. შესაბამისად, ასეთი ნორმების არსებობა გამორიცხავს უკუგადაცემის ზოგად მოთხოვნას, არამხოლოდ მაშინ, როცა მოთხოვნა დასაბუთებულია, არამედ მაშინაც, როდესაც მისი დაკმაყოფილების წინაპირობები კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს.²⁷⁸ აღნიშნული სამართლებრივი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ სპეციალურ ნორმებს აქვთ იერარქიულად უპირატესი ძალა ზოგად ნორმებთან მიმართებით.²⁷⁹

გერმანულ სამართალში, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის სპეციალურ მოთხოვნად მიიჩნევა §49a Abs. 1 S. 1 VwVfG გათვალისწინებული შემთხვევა,²⁸⁰ რომლის მიხედვითაც უკან უნდა იქნას გადაცემული შესრულება, რომელიც პირმა მიიღო რეტროსპექტული (წარსულზე გავლენის) ეფექტით ბათილად ცნობილი ან ძალადაკარგულად გამოცხადებული ან ასევე არარად აღიარებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. აღნიშნული პარაგრაფი (მუხლი) ამავდროულად აწესრიგებს უკუგადაცემის მოთხოვნის მოცულობას, განხორციელების ფორმას და უსაფუძვლოდ მიღებული ქონების გამოყენების გამო პროცენტების მოთხოვნის შესაძლებლობასაც კი ითვალისწინებს.²⁸¹ საქართველოს საჯარო-სამართლებრივ კანონმდებლობაში მსგავს დეტალურ მოწესრიგებას არ ვხვდებით, თუმცა შეიმჩნევა უკუგადაცემის სპეციალური მოთხოვნის გარკვეული ნიშნები.

²⁷⁸ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 490-491, Rn. 1240.

²⁷⁹ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 539.

²⁸⁰ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 498, Rn. 1261.

²⁸¹ §49a, Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG), 25/05/1976, <https://www.gesetze-im-internet.de/vwvfg/BJNR012530976.html>, [11.10.2020].

საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის სპეციალური მოთხოვნის შემთხვევად შეგვიძლია მოვიაზროთ სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვითაც თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება იმის გამო, რომ მის ადრესატმა არ შეასრულა ამ აქტით მასზე დაკისრებული მოვალეობა, მაშინ შესაძლებელია განისაზღვროს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება. აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდა 2005 წლიდან, ხოლო იქამდე, ასეთი შემთხვევისათვის გამოიყენებოდა საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი).²⁸² საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის სპეციალური მოთხოვნის ნიშნებს ასევე შესაძლოა შეიცავდეს სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც „ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის დღიდან“.

5.2.3.2. საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ზოგადი მოთხოვნა

საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ზოგადი მოთხოვნის სამართლებრივად ჩამოყალიბება არის სადავო და განსახილველია ორი შესაძლებლობა:

1. ერთი მოსაზრების მიხედვით, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ზოგადი მოთხოვნა ემყარება კერძო-სამართლებრივ უსაფუძვლო გამდიდრებას, რომელიც გათვალისწინებულია გსკ-ს 812-ე და მომდევნო პარაგრაფებით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად უსაფუძვლო გამდიდრების საკითხებს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე და შემდგომი მუხლები. შესაბამისად წარმოიშობა კითხვები, რა მოცულობით ან საერთოდ უნდა მოხდეს თუ არა საჯარო სამართალში კერძო-სამართლებრივი ნორმების გამოყენება. ამ უკანასკნელით სარგებლობის შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ

²⁸² ადვიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, 172.

უსაფუძვლო გამდიდრების წესები მორგებულია კერძო-სამართლებრივ ინტერესებზე და მათი ასე მარტივად, უცვლელად საჯარო სამართალში გამოყენება, არ არის შესაძლებელი. აღნიშნული შეეხება ნებისმიერ ნორმას, რომელიც ანალოგიის გამოყენების პრობლემას ამწვავებს, მაგალითად გსკ-ს §818, გამდიდრების არ არსებობაზე შედავება.²⁸³ მსგავს მოწესრიგებას ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს, რომ პირს არ დაეკისროს ქონების უკუგადაცემის ვალდებულება თუ იგი არ გამდიდრებულა.²⁸⁴ ასეთ დროს, გამდიდრებულს, საკუთარი ინტერესების დასაცავად, შეუძლია მოიშველიოს კანონიერი ნდობის პრინციპი და წინააღმდეგობა გაუწიოს მიღებული ქონების უკან გადაცემას.²⁸⁵

2. სამეცნიერო სფეროსა და სასამართლო პრაქტიკაში სრულად გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნა ეფუძნება არა გსკ-ს 812-ე და მომდევნო პარაგრაფების ანალოგიას, არამედ წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის თავისებურ, დამოუკიდებელ ინსტიტუტს.²⁸⁶ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ უსაფუძვლო გამდიდრების არსის განმსაზღვრელი კერძო-სამართლებრივი ნორმები არიან მთლიანი სამართლისთვის მოქმედი პრინციპები, რომლებიც იმავდროულად აყალიბებენ ერთიანი მართლწესრიგის ზოგად ნაწილს და, როგორც სამართლის ასეთი ზოგადი ნაწილის შემადგენელი ელემენტი, უშუალოდ მოქმედებს ასევე საჯარო სამართალში და ამისთვის საჭირო არაა დამხარე სამართლებრივი მეთოდის - ანალოგიის, გამოყენება. სამართლის ასეთი ზოგადად აღიარებული პრინციპია უკუგადაცემის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ქონების უსაფუძვლო გადაცემით შექმნილი მდგომარეობა გამოსწორებული უნდა იქნას ქონების უკან დაბრუნების გზით. ვინაიდან საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა, მრავალი ათწლეულის განმავლობაში, მუდმივად

²⁸³ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 537.

²⁸⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 979, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

²⁸⁵ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.631, Rn. 8.

²⁸⁶ BverwGE 20, 295 (2970); 71,85 (88); 87, 169 (172); 100, 56, (59); 112, 351 (353); BSGE 29, 6 (7) = DVBl. 1969, 745; 38, 46 (47) = NJW 1975, 359; VG Minden, NVwZ 1985, 679 (680); Wolff/Bachof, Verwaltungsrecht I, 9. Aufl. 1974, §44 I b); H. Weber, JuS 1986, 29 (33) in: Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 537.

გამოიყენებოდა, გამართლებული იქნება, რომ განვიხილოთ იგი როგორც, ასევე, ჩვეულებითი სამართლით გამყარებული სამართლებრივი ინსტიტუტი. აღნიშნულს, ამავდროულად, ადასტურებს გერმანული სასამართლოს ადრეული პერიოდის მიდგომა.²⁸⁷

საქართველოს კანონმდებლობა, გერმანულისგან განსხვავებით (მხედველობაში მაქვს §49a VwVfG), არ ითვალისწინებს რაიმე რეგულაციას, რომელიც სახელდებით მოაწესრიგებდა საჯარო სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნას. არსებული რეალობიდან გამომდინარე, სზაკ-ის 207-ე მუხლის საფუძველზე, მსგავსი შემთხვევების გადასაწყვეტად, ანალოგიის წესით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებითაც,²⁸⁸ სადაც საქმე შეეხებოდა შემდეგს: საგადასახადო აგენტმა საშემოსავლო გადასახადით დაბეგრა პირის შემოსავალი, მაშინ, როდესაც არ არსებობდა დაბეგვრის საფუძველი და აღნიშნული თანხა ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა მისი კუთვნილი თანხის მიღება. სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები და მიიჩნია, რომ ვინაიდან არ არსებობდა დაბეგვრის საფუძველი და თანხა ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში, უსაფუძვლოდ გამდიდრდა საგადასახადო ორგანო. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე, ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის მიზნებისათვის, სათანადო მოპასუხედ განისაზღვრა საგადასახადო ორგანო და არა საგადასახადო აგენტი.

უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მომწესრიგებელი საჯარო-სამართლებრივი ნორმის არ არსებობა უნდა მივიჩნიოთ საკანონმდებლო ხარვეზად, რადგან, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, უსაფუძვლოდ მიღებული ქონების უკან დაბრუნება წარმოადგენს არა მხოლოდ ექსკლუზიურად კერძო სამართლის, არამედ

²⁸⁷ Bahnbrechend Lassar (N27); danach: Skaupy, Die ungerechtfertigte Bereicherung im öffentlichen Recht, 1934ö Vorläufer: Glässig, Die conditio indebiti des deutschen öffentlichen Rechts, 1894; ders., Das Recht der Rückforderung im Gebiete des deutschen öffentlichen Rechts, Hirths Annalen 1896, 46 ff; auch BverwGe 25, 72 (76); 71, 85 (88); Achterberg, Allgemeines Verwaltungsrecht, 2. Aufl. 1986, S. 721; H. Weber, JuS 1986, 29 (33) in: Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 537-538.

²⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება Nზს-833(კ-19) საქმეზე.

მთლიანი მართლწესრიგის მოთხოვნას, მათ შორის საჯარო სამართლისაც. სამართლის ამ ორ სისტემას განსხვავებულ შედეგებამდეც მივყავართ უსაფუძვლოდ მიღებული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის გადაწყვეტისას, როდესაც საქმე შეეხება გამდიდრების აღარ არსებობას ე.წ. გა„ნ“მდიდრების შემთხვევას. ამ დროს ვლინდება არამხოლოდ სამართლებრივი ბუნების თვალსაზრისით, არამედ შედეგობრივი განსხვავებაც კერძო-სამართლებრივ უსაფუძვლო გამდიდრებასა და საჯარო-სამართლებრივ უკუგადაცემას შორის.

5.2.4. გამდიდრების აღარ არსებობა (განმდიდრება)

კერძო-სამართლებრივ უსაფუძვლო გამდიდრებასა და საჯარო-სამართლებრივ უკუგადაცემას შორის განსხვავება გამოიხატება არამხოლოდ მათ სამართლებრივ ბუნებაში, არამედ შედეგობრივადაც, რაც უკავშირდება გსკ-ს 818-ე პარაგრაფის მე-3 აბზაციტა და 819-ე პარაგრაფით მოწესრიგებულ შემთხვევებს. აღნიშნული დებულებების თითქმის იდენტურ რეგულაციებს ითვალისწინებენ სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 და 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილები. შესაბამისად, გსკ-სთან დაკავშირებული მიდგომები შესაძლებელია ასევე გავრცელდეს სსკ-ზეც.

გამდიდრების აღარ არსებობის ინსტიტუტი იცავს კონდიქციის მოვალეს ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებისაგან იმ შემთხვევების დროს, როდესაც მან, მართალია, მიიღო შესრულება, თუმცა მოგვიანებით განვითარებული მოვლებიდან გამომდინარე (მაგ. ნივთის მოპარვა), მისი ქონებრივი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა (ადგილი არ ჰქონია ქონების გაზრდას ან დაზოგვას).²⁸⁹ ამ ინსტიტუტით დაცულია მხოლოდ კეთილსინდისიერი ვითომ-კრედიტორი, სასამართლო წარმოებაში მოთხოვნის მიღებამდე და არა ასევე შესრულების არაკეთილსინდისიერად მიმღები პირი.²⁹⁰

საჯარო სამართალში, გამდიდრების აღარ არსებობის (განმდიდრების) ინსტიტუტის პირდაპირ გადატანა, გაუმართლებელია და მას ახასიათებს გარკვეული თავისებურება, რაც არ გააჩნია კერძო სამართალში. განსხვავება განპირობებულია

²⁸⁹ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოც., მიუნხენი, 2011, თარგ. დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2014, გვ. 616-617, ვ/ნ. 7.

²⁹⁰ Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts; Emmerich, BGB-Schuldrecht Besonderer Teil ნაშრომში: შნიტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 15.06.2018, მუხ. 979, ვ/ნ. 15.

იმით, თუ ვინ არის უკუგადაცემის მოთხოვნის მოპასუხე - სახელმწიფო თუ მოქალაქე.²⁹¹ ამ პირების ინტერესების დასაცავად გამოიყენება არა გამდიდრების აღარ არსებობის კერძო-სამართლებრივი ინსტიტუტი, ანალოგიის წესით, არამედ კანონიერი ნდობის პრინციპი, რომელზედაც გადატანილია ე.წ. განმდიდრების დაცვითი ფუნქციები.²⁹² ასეთ შემთხვევებზე კანონიერი ნდობის პრინციპის გავრცელება კი იწვევს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს, რასაც განაპირობებს მისი ადრესატის ვინაობა.

ხელისუფლების მქონე პირს არ შეუძლია თავისი ინტერესები დაიცვას გამდიდრების აღარ არსებობაზე მითითებით. აღნიშნულის მიზეზია მმართველობის კანონიერების პრინციპი, რომელიც მოითხოვს კანონიერი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენასა და გამორიცხავს მმართველი პირის ნდობას უკანონოდ მიღებული ქონებრივი სარგებლის შენარჩუნების შესაძლებლობის მიმართ მისი გამოყენების შემთხვევაში.

ზემოთქმულის საპირისპიროდ, მოქალაქეს შეუძლია შეეწინააღმდეგოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების ან არარად აღიარების გამო წარმოშობილი უკუგადაცემის მოთხოვნას ქონებრივი ცვლილების შენარჩუნების მიმართ ნდობაზე მითითებით, რასაკვირველია თუ არსებობს ნდობა და იგი არის დაცვის ღირსი. აღნიშნულის შესაფასებლად უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. ნდობა არ არსებობს მაშინ, როდესაც მოქალაქემ იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, არ იცოდა ქონებრივი ცვლილების უსაფუძვლობის თაობაზე.²⁹³

გერმანული სამართლებრივი მოწესრიგების მიხედვით, უკუგადაცემის მოთხოვნის შემთხვევებზე კანონიერი ნდობის პრინციპის გავრცელება მოქალაქისთვის ზემოხსენებულ დადებით შედეგთან ერთად, ასევე ახდენს უარყოფით ზეგავლენასაც.

²⁹¹ BVerwGE 71, 85 (89); OVG Hamburg, NJW 1993, 277 (281) in: Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 548.

²⁹² Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.631, Rn. 8.

²⁹³ BVerwGE 36, 108, 113.f; Ehlers/Pünder; Windhorst, JuS 1996, 894, 899; BverwG, Beschl. v. 28.10.2013 – 5 B 66/13 in: Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.631, Rn. 7 und 8.

შესრულების მიმღები კერძო სამართლის სუბიექტი უკუგადაცემის მოთხოვნას ვერ შეეწინააღმდეგება თუ მან უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ იცოდა შესრულების უსაფუძვლობის შესახებ. გამდიდრების აღარ არსებობის კერძო სამართლებრივი ინსტიტუტის დროს, მოთხოვნის მოპასუხის ინტერესების დაცვა მხოლოდ მაშინ არის შეზღუდული, როდესაც ამ უკანასკნელმა შესრულების უსაფუძვლობის შესახებ თავიდანვე პოზიტიურად იცოდა.²⁹⁴ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით გამდიდრების აღარ არსებობის კერძო სამართლებრივი ინსტიტუტსა და კანონიერი ნდობის პრინციპს შორის, ამ საკითხში, განსხვავება არ შეინიშნება, რაც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან. ორივე შემთხვევაში, მოქალაქე გამდიდრების არ არსებობაზე მითითებით ვერ დაიცავს საკუთარ ინტერესებს თუ მისთვის უხეში გაუფრთხილებლობის გამო უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო.

კანონიერი ნდობის პრინციპი ასევე იცავს პირის ინტერესებს, როდესაც საქმე შეეხება „უბრალოდ“ მიცემულ სახელისუფლებო შესრულებას, რომელსაც წინ არ უძღვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამ დროს მოწმდება, ვითომ-კრედიტორის ნდობის ქონის საკითხი სახელისუფლებო შესრულების მიღებისას, ასევე ის, გამოიყენა თუ არა მან ამასობაში მიღებული შესრულება. შესაბამისად, წინა პლანზე იწევს ნდობის დაცვის შემოწმების ორივე საყრდენი საკითხი: დაინტერესებული მხარის ნდობის მდგომარეობა და ნდობის გამოყენება მის მიერ. პირველ შემთხვევაში, როცა შესრულება განხორციელდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნა არის გამორიცხული, რადგან მას აკლია ფაქტობრივი შემადგენლობის ნიშანი - „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“. მეორე შემთხვევაში კი, როდესაც საქმე შეეხება „უბრალოდ“ მიცემას (შესრულებას, რომელსაც წინ არ უძღოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

²⁹⁴ BVerwGE 71, 85 (91) in: Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 549-550.

გამოცემა), ნდობის დაცვა წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივი მოთხოვნის დამაბრკოლებელ დამოუკიდებელ შემადგენლობას/გარემოებას.²⁹⁵

5.2.5. შუალედური შეფასება

შეფასების სახით უნდა გამოიყოს შემდეგი მნიშვნელოვანი პუნქტები:

საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი. იგი მიმართულია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემული ქონების უკან დაბრუნებისკენ და არსებობს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ორი სახეობა: სპეციალური და ზოგადი. სპეციალური მოთხოვნის დასაბუთებულობის საკითხებს აწესრიგებენ ადმინისტრაციული კანონმდებლობის სპეციალური ნორმები. ასეთი ნორმების არსებობა გამორიცხავს უკუგადაცემის ზოგად მოთხოვნას, რომელიც ემყარება კერძო-სამართლებრივი უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმას. ამასთან, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ სამართლებრივად გაუმართლებელი ქონების უკან დაბრუნება, წარმოადგენს მთლიანი სამართლისთვის მოქმედ პრინციპს. ამდენად, იგი გამოიყენება, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალშიც, უშუალოდ და ანალოგიის წესით. შესაბამისად, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემა არის კერძო-სამართლებრივი უსაფუძვლო გამდიდრებისგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტი, თუმცა აშკარაა, რომ მათ შორის იკვეთება კავშირი. საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების გათვალისწინებით, სზაკ-ის 207-ე მუხლიდან გამომდინარე, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის ურთიერთობის დასამკვიდრებლად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი, რაც არ არის სწორი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ინსტიტუტის მარეგულირებელი საჯარო-სამართლებრივი ნორმების ასახვა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. მაგალითად, შემდეგი სახით:

„ მუხლი X. ქონების უკან გადაცემა

²⁹⁵ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 550.

1. ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მათ შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით წარმოშობილი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე უსაფუძვლოდ გადაცემული ქონება, ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

2. უკან დასაბრუნებელი ქონების ფარგლები განისაზღვრება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად. ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც წარმოადგენს ვითომ-კრედიტორს, ეკისრება კანონიერი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რამდენად იცოდა მან ქონების გადაცემის უსაფუძვლობის თაობაზე.“

საჯარო-სამართლებრივ უკუგადაცემასა და კერძო-სამართლებრივ უსაფუძვლო გამდიდრებას შორის განსხვავება, გამოიხატება ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებაში, რომელსაც თავის მხრივ განაპირობებს ურთიერთობის საფუძვლის სამართლის დარგისადმი კუთვნილება. საფუძველი არის ორი სახეობის: ა) ურთიერთობის წარმოშობის მომენტისთვის ჰიპოთეტურად (მოჩვენებითად) არსებული ან ბ) რეალურად არსებული, მაგრამ შემდგომ გაუქმებული. აღნიშნული საფუძვლის სამართლებრივი ბუნება დგინდება კერძო და საჯარო სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნის ზოგადი თეორიებით. იმ შემთხვევებისთვის, როდესაც შესრულების კონდიქციის დროს, ქონების გადაცემა მოხდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ხელშეკრულების დადების გზით ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების განსასაზღვრად გამოიყენება ე.წ. შებრუნებული მხარის თეორია. აღნიშნული თეორიის გამოყენება, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს პირდაპირ ნორმატიული აქტზე დაყრდნობით, რეალაქტის განხორციელების საშუალებით ქონების გადაცემის დროსაც, რადგან მოქმედებას საფუძვლად უდევს საჯარო-სამართლებრივი ნორმა.

5.3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კერძო და საჯარო სამართლის სფეროებში

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლებით (969-975), თუმცა

სზაკ-ის 207 მუხლზე დაყრდნობით, შესაძლებელი უნდა იყოს ამ ინსტიტუტის გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში. აღნიშნული კი ბუნებრივად წარმოშობს პრობლემურ საკითხს, თუ როგორ დავადგინოთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საჯარო სამართლისადმი კუთვნილების დასადგენად შემოთავაზებულია რამდენიმე მიდგომა: ა) სხვისი საქმის შემსრულებლის (გესტორის) მიერ განხორციელებული ქმედების სამართლებრივ ბუნება; ბ) სამართალურთიერთობის საერთო კონტექსტი, რომელიც მიუთითებს საჯარო სამართლის სფეროში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობაზე. თუმცა, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების განსასაზღვრად გამოყენებული უნდა იქნას არა ზემოხსენებული რომელიმე მიდგომა, არამედ სრულიად განსხვავებული კრიტერიუმი. კერძოდ, საქმის მეპატრონის (დომინუსის) იმ ქმედების სამართლებრივი ბუნება, რომელსაც იგი განხორციელებდა საკუთარი საქმის შესასრულებლად. ამდენად, თუ საქმის მეპატრონის ჰიპოთეტური ქმედება არის საჯარო სამართლებრივი ბუნების, მაშინ სახეზე გვაქვს საჯარო სამართლის სფეროში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან.²⁹⁶

საქმის მეპატრონის ჰიპოთეტური ქმედების სამართლებრივი ბუნების დასადგენად გამოიყენება კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის ზოგადი/საერთო კრიტერიუმები (თეორიები).²⁹⁷

სამართლის სხვადასხვა სფეროში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების გამიჯვნის კრიტერიუმის დადგენის შემდგომ, განვიხილოთ თავად ამ ინსტიტუტის

²⁹⁶ BGHZ 40, 28, 31; BGH, NVwZ 2016, 870, 872; BverwG, NVwZ 2017, 242, 244' auch Maurer, §29, Rn. 12 in: Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., 2018, S.631, Rn. 2; s. auch BGHZ 40, 2831; 63, 167, 170; 65, 354, 357; Ossenbühl F., Cornils M., S. 416f.; Detterbeck/Windthorst/Sproll, §21, Rn. 35 in: Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 53, Rn. 135.

²⁹⁷ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.631, Rn. 2.

ცნების ელემენტები და ადმინისტრაციული სამართლის მიერ მათზე საკუთარი კვალის დატოვების გამოვლინება.

5.3.1. ცნების ელემენტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლიდან გამომდინარე ცნების წინაპირობები შემდეგია: ა) სხვა პირის საქმე; ბ) საქმის კეთილსინდისიერად შესრულების ნება; გ) საქმის შესრულება და დ) დავალების ან სხვაგვარი უფლებამოსილების არარსებობა. თუ სახეზე გვაქვს ოთხივე წინაპირობა კუმულატიურად, მაშინ სამართალურთიერთობა დაკვალიფიცირდება როგორც ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება.²⁹⁸ აღნიშნულ წინაპირობებს დამოუკიდებლად არ განვავრცობ, რადგან მათ შინაარსობრივად შეისწავლის კერძო სამართალი, ხოლო ადმინისტრაციული ანიჭებს სამართლის ამ დარგისთვის დამახასიათებელ თავისებურებას. აღნიშნული თავისებურებების თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რომელი სუბიექტები მონაწილეობენ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართალურთიერთობაში.

5.3.2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართალურთიერთობის სუბიექტები

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით და შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ მოთხოვნა მიმართული იყოს ურთიერთგანსხვავებული სუბიექტებისაკენ. ზოგადი შეფასებით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის დროს, პოტენციურად შეიძლება შეიქმნას შემდეგი ვარიაციის ურთიერთობები:

- ა. ხელისუფლების მქონე პირი მოქმედებს კერძო სამართლის სუბიექტის ნაცვლად;
- ბ. ხელისუფლების მქონე პირი მოქმედებს ხელისუფლების მქონე სხვა პირი ნაცვლად;
- გ. კერძო სამართლის სუბიექტი მოქმედებს ხელისუფლების მქონე პირის ნაცვლად.²⁹⁹

²⁹⁸ ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მეორე გადამ. გამოცემა, ცისკაძე მ., ძლიერიშვილი ზ. (რედ.), თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2018, გვ. 105.

²⁹⁹ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, 2013, C. F. Müller Verlag, S. 53, Rn. 137.

ზოგადად იმისთვის, რომ გავარკვიოთ, რომელი პირი რომლის ნაცვლად ასრულებს საქმეს, უნდა განიმარტოს, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ურთიერთობის ფარგლებში, ორი სამართლებრივი გარემოება: „საქმე“ და „მისი კუთვნილება“.

„საქმე“ ეწოდება ნებისმიერ მოქმედებას, რომელსაც ახორციელებს ესა თუ ის პირი, ხოლო საქმის კუთვნილება დამოკიდებული იმაზე, თუ ვისი ინტერესის სფეროში ექცევა მოქმედების განხორციელება.³⁰⁰ ამდენად, როდესაც მოქმედებას ახორციელებს ერთი პირი, ხოლო მოქმედების განხორციელება შედის სხვა პირის ინტერესში, ადგილი აქვს „სხვისი საქმის შესრულების“ შემთხვევას.

5.3.2.1. ხელისუფლების მქონე პირი მოქმედებს კერძო სამართლის სუბიექტის ნაცვლად

კერძო სამართლის სუბიექტის ნაცვლად ხელისუფლების მქონე პირის მოქმედების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ახორციელებს კერძო სამართლის სუბიექტის უფლებათა სფეროში ჩარევას, რაც, კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებით აღმჭურველი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არსებობის წინაპირობით. აღნიშნულ ნორმის არ არსებობის პირობებში, მას ვერ ჩაანაცვლებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ურთიერთობის წარმომშობი ნორმა.³⁰¹ შესაბამისად, ვერც საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ურთიერთობა იარსებებს. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილების აღმჭურველი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა არსებობს და ამდენად, მის საფუძველზე ასრულებს საქმეს ხელისუფლების მქონე პირი, მაშინ სახეზე საერთოდ არ არის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, არც საჯარო-სამართლებრივი და არც კერძო-სამართლებრივი ბუნების, რადგან საქმის

³⁰⁰ ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მეორე გადამ. გამოცემა, ცისკაძე მ., ძლიერიშვილი ზ. (რედ.), თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2018, გვ. 106-107.

³⁰¹ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 54, Rn. 140; იხ. ასევე ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 104.

შემსრულებელი პირი არ მოქმედების „დავალების (უფლებამოსილების)“ გარეშე.³⁰² ცნების ეს ელემენტი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ურთიერთობის არსებობის ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა. შესაბამისად, ურთიერთობის ამ ვარიანტში არ რჩება ადგილი საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისათვის.

ზემოაღნიშნულ მიდგომას ამყარებს შემდეგი მოსაზრებაც: კერძო სამართლის სუბიექტს თვითონ რომ შეესრულებინა საკუთარი საქმე, მისი მოქმედება აუცილებლად იქნებოდა კერძო-სამართლებრივი ხასიათის, რადგან ასეთ სუბიექტებს არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება შესაბამისად, სხვა პირის, თუნდაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ასეთი საქმის შესრულება ვერ იქნება საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება.³⁰³ აქ არ იგულისხმება უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევები, რადგან დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელ სუბიექტზე ვრცელდება საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობა. ამდენად, დელეგირებული საქმიანობის ნაწილში იგი მიჩნეულ უნდა იქნას საჯარო-სამართლის სუბიექტად, მიუხედავად მისი ორგანიზაციული მოწყობის ფორმის კერძო სამართლისადმი კუთვნილებისა.

განსაკუთრებულ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ე.წ. „ასევე სხვისი საქმის“ შესრულების ურთიერთობის გავრცელება ხელისუფლების მქონე პირის საქმიანობაზე. კერძო-სამართლებრივ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად იქნა მიჩნეული ხელისუფლების მქონე პირის მიერ საკუთარი იმ საჯარო ამოცანების განხორციელება, რომელიც წარმოადგენდა ასევე სხვისი (კერძო სამართლის სუბიექტის) ინტერესის სფეროს. მაგალითად, ხანძრის ჩაქრობა.³⁰⁴ მეორეს მხრივ, საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად იქნა მიჩნეული ხელისუფლების მქონე პირის მიერ საკუთარი იმ ამოცანების განხორციელება, რომელიც მესამე პირისთვისაც იყო სარგებლის მომტანი, ზუსტად

³⁰² Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 833, Rn. 15.

³⁰³ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.633, Rn. 4.

³⁰⁴ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 833, Rn. 16.

იგივეზე დაყრდნობით, რომ ადგილი „ასევე სხვისი საქმის“ შესრულებას.³⁰⁵ სასამართლოს აღნიშნული მიდგომების მიმართ გამოითქვა მკაცრი კრიტიკა ორი არგუმენტით: ა) გადასახადების გზით სახელმწიფო ამოცანების დაფინანსებაზე და კანონისმიერი დათქმის პრინციპზე მითითებით და აღინიშნა, რომ დაუშვებელია ხელისუფლების მქონე პირის მიერ საკუთარი ამოცანების განხორციელების მომწესრიგებელი რეგულაციებისთვის გვერდის ავლა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების გამოყენებით.³⁰⁶

ის, რომ საჯარო ამოცანების განხორციელებისას ხელისუფლების მქონე პირი ასევე სხვის საქმეებსაც ასრულებს, განპირობებულია თავად საჯარო ამოცანის ბუნებით. საჯარო ამოცანა ხორციელდება მისი განხორციელების მიმართ მხოლოდ საჯარო ინტერესის არსებობის პირობებში.³⁰⁷ საჯარო ინტერესი კი სხვა არაფერია, თუ არა ცალკეული კერძო ინტერესების დაბალანსებული ერთობლიობა.³⁰⁸ აქედან გამომდინარე, იქმნება ილუზია, რომ ხელისუფლების მქონე პირი საჯარო ამოცანის განხორციელებისას თითქოს ასევე ასრულებს სხვის - კერძო სამართლის სუბიექტის საქმეებსაც. რეალურად კი ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს მის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებში შემავალ საჯარო ამოცანებს. მაგალითად, სახანძრო სამსახური აქრობს ხანძარს და ზრუნავს კერძო საკუთრებაში არსებული შენობის გადარჩენისთვის. ასეთ შემთხვევაში საერთოდ ვერ იარსებებს დავალების გარეშე სხვისი საქმეებს შესრულების ურთიერთობა, ვერც საჯარო-სამართლებრივი და ვერც კერძო-სამართლებრივი, რადგან სახანძრო სამსახური ახორციელებს ქმედებას არა დავალების გარეშე, არამედ კანონისმიერი დავალებითა და უფლებამოსილების ფარგლებში.

ურთიერთობის ამ ვარიანტში, გამოირიცხება საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობა ორი დამოუკიდებელი არგუმენტით ორი განცალკევებული შემთხვევისთვის: ა) საჯარო ამოცანის განხორციელებისას,

³⁰⁵ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 54, Rn. 140.

³⁰⁶ Detterbeck/Windthorst/Sproll, §21, Rn. 54; Maurer, §29, Rn. 11 in: Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.633, Rn. 4.

³⁰⁷ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 64.

³⁰⁸ ადვიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, 30.

რომლის დროსაც ასევე სრულდება სხვისი საქმე, ხელისუფლების მქონე პირის მოქმედებს კანონისმიერი დავალებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში; ბ) ჰიპოთეტური მოქმედება, რომლითაც მეპატრონე შეასრულებდა თავის საქმეს, აუცილებლად იქნებოდა კერძო-სამართლებრივი ბუნების.

ამას გარდა, ურთიერთობის ამ ვარიაციაში, ასევე ძალიან მცირე ადგილი რჩება კერძო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობისთვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან. მართალია, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ხელისუფლების მქონე პირი კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, ეს უკანასკნელი მაინც ვერ ისარგებლებს კერძო სამართლის სუბიექტისათვის დამახასიათებელი კერძო ავტონომიით და მისი ნება და უფლებამოსილება ყოველთვის მოქცეული იქნება საჯარო-სამართლებრივი ნორმების მოქმედების ფარგლებში.³⁰⁹ შესაბამისად, დაუშვებელია ხელისუფლების მქონე პირის მიერ კერძო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, გარდა საგამონაკლისო აუცილებელი შემთხვევებისა. მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს იმ საფრთხისა და ზიანის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება კერძო-სამართლის სუბიექტს და თავად მოქმედების განხორციელება არ წარმოადგენს ხელისუფლების მქონე არცერთი პირის კანონისმიერ დავალებას ან შესაბამის უფლებამოსილებას.

ერთი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მეორის ნაცვლად, კანონისმიერი დავალების აღსრულებისა და უფლებამოსილების განხორციელებას, მივყავართ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მომდევნო ვარიაციის ურთიერთობასა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებთან.

³⁰⁹ იხ. იქვე, გვ. 176-177; Maurer (9), §29, Rn. 12 in: Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 415.

5.3.2.2. ხელისუფლების მქონე პირი მოქმედებს ხელისუფლების მქონე სხვა პირის ნაცვლად

ურთიერთობის ამ ვარიაციაში, ასევე საყურადღებოა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ხელისუფლების მქონე პირების საქმიანობის კანონისმიერი დათქმის პრინციპი. ამ უკანასკნელის საფუძველზე თითოეულ ადმინისტრაციულ ორგანოს განსაზღვრული აქვს თავისი საგნობრივი უფლებამოსილება ანუ მოწესრიგების საგანთან დაკავშირებული უფლებამოსილება ხელისუფლების მქონე შესაბამისი პირისა, რომ მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში.³¹⁰ საგნობრივი უფლებამოსილების დარღვევა კი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელოვან სამართლებრივ გადაცდომას და დაუშვებელია მისი მოთხოვნებისთვის რაიმე ფორმით, მაგალითად დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტით გვერდის ავლა. ურთიერთობის ამ ვარიაციაში საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და ერთი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მეორის ნაცვლად, მოქმედება გამართლებული უნდა იყოს მხოლოდ გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევებში.³¹¹ ესეც მაშინ, როდესაც გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევაში მოქმედების კანონისმიერი დავალება ან შესაბამისი უფლებამოსილება არ აქვს მინიჭებული მოქმედების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს.

გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევებად მოიაზრება ისეთი სიტუაცია, როდესაც საგნობრივად უფლებამოსილი ორგანო არ არის მზად, რომ იმოქმედოს, ან თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეუძლია, რომ იმოქმედოს. ამ დროს, მოქმედების კვალიფიცირება საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად, დაკავშირებულია გარკვეულ საფრთხეებთან, მაგალითად კანონმდებლის მიერ განსაზღვრული საგნობრივი უფლებამოსილებისა და მის შესაბამისად დადგენილი ხარჯების გაწევის ტვირთის განაწილების დარღვევასთან.³¹²

³¹⁰ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 153.

³¹¹ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 54, Rn. 139.

³¹² Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.643-644, Rn. 4-5.

საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის დამკვიდრება ნიშნავს იმის დაშვებას, რომ მას ექნება უფლებამოსილების წარმომშობი ხასიათი.³¹³

გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევაში, საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობა-არარსებობის საკითხის გადაწყვეტისას, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შემოწმდეს, საჯარო-სამართლებრივი ნორმები ხომ არ ანიჭებენ კომპეტენციას ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ ასეთ საგამონაკლისო შემთხვევებში იმოქმედოს მეორის ნაცვლად. ამგვარი სამართლებრივი ნორმის არსებობისას ადგილი ვერ ექნება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას, რადგან საქმის შემსრულებელი იქნება საამისოდ უფლებამოსილი.³¹⁴

ურთიერთობის ამ ვარიანტში, გამოირიცხება კერძო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობა, რადგან ჰიპოთეტური მოქმედება, რომლითაც მეპატრონე (საგნობრივად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო) შეასრულებდა თავის საქმეს, აუცილებლად იქნებოდა საჯარო-სამართლებრივი ბუნების.

უმთავრესი, რაც ურთიერთობის ამ ვარიანტშია აღსანიშნავი, არის ის, რომ საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის არსებობა, არის გამართლებული. თუმცა, ცალსახად უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ მისი არსებობისთვის ძალიან მცირე ადგილი უნდა რჩებოდეს, რადგან საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მისაღებია მხოლოდ საგამონაკლისო ანუ გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევაში და ისიც მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი შემთხვევა მოწესრიგებული არ არის საჯარო-სამართლებრივი ნორმებით.

³¹³ Berger, DÖV 2014, 662. 665; Maurer, §29, Rn. 11 in: Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.643-644, Rn. 5.

³¹⁴ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 834, Rn. 18.

5.3.2.3. კერძო სამართლის სუბიექტი მოქმედებს ხელისუფლების მქონე პირის ნაცვლად

საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევების უდიდეს ნაწილს ადგილი აქვს ურთიერთობის სწორედ ამ ვარიანტში.³¹⁵ ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კერძო სამართლის სუბიექტის მიერ ხელისუფლების მქონე პირის ნაცვლად მოქმედება შეიცავს გარკვეულ რისკებს, დაკავშირებულს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობისთვის ხელის შეშლასთან. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება ან კიდევ, როგორც წესი, მოქალაქესთან შედარებით მეტ ცოდნასა და გამოცდილებას ფლობს ხელისუფლების მქონე პირი.³¹⁶ ამას გარდა, მოქალაქე აღჭურვილია უფლების დაცვის როგორც პრევენციული, ასევე რეპრესიული სამართლებრივი საშუალებებით იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ ახორციელებს საკუთარ ამოცანებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ურთიერთობის ამ ვარიანტში გამართლებული საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ე.წ. გადაუდებელი/უკიდურესი შემთხვევა. კერძოდ, როდესაც გამორიცხულია მოქმედების განხორციელება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან და მოქმედების გარეშე წარმოიშობა ზიანი, რომლის აცილებაც შესაძლებელი არის ამ მოქმედების განხორციელებით.³¹⁷ ხელისუფლების მქონე პირის მხრიდან მოქმედება გამოირიცხება, როდესაც იგი არ არის ხელმისაწვდომი ან არ აქვს უნარი განახორციელოს მოქმედება.³¹⁸

ურთიერთობის ამ ვარიანტში, გამოირიცხება კერძო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობა, რადგან ჰიპოთეტური მოქმედება, რომლითაც მეპატრონე (საგნობრივად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო) შეასრულებდა თავის საქმეს, აუცილებლად იქნებოდა საჯარო-სამართლებრივი

³¹⁵ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.645, Rn. 6.

³¹⁶ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 55, Rn. 141.

³¹⁷ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 834, Rn. 17.

³¹⁸ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 55, Rn. 141.

ბუნების. საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის არსებობა კი გამართლებულია, თუ ადგილი აქვს გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევას.

5.3.3. შუალედური შეფასება

შეფასების სახით უნდა გამოიყოს შემდეგი მნიშვნელოვანი პუნქტები:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტს შესაძლოა გააჩნდეს საჯარო-სამართლებრივი ბუნება და მისი გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში, სზაკ-ის 207-ე მუხლის საფუძველზე, გამართლებული უნდა იყოს.

საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების განმასხვავებელი კრიტერიუმი, კერძო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისგან, არის იმ ჰიპოთეტური მოქმედების სამართლებრივი ბუნება, რომელსაც განახორციელებდა საქმის მეპატრონე.

საჯარო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მხოლოდ გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევებში.

კერძო-სამართლებრივი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება საჯარო სამართლის სუბიექტს შეუძლია მხოლოდ გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევებში, რადგან, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის მიუხედავად, იგი ვერ სარგებლობს ნების კერძო ავტონომიით და ეს უკანასკნელი მაინც შეზღუდულია საჯარო-სამართლებრივი ნორმებით.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების კანონისმიერი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში, ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით, შემსრულებელს შეუძლია მეპატრონეს მოსთხოვოს როგორც შესრულებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება, ასევე შესრულების პროცესში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაც, თუ ეს უკანასკნელი წარმოიშვა.

5.4. ინფორმაციის თავისუფლების წესების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

ინფორმაციის თავისუფლება მნიშვნელოვანი მექანიზმია საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო საქმიანობის განხორციელების მიზნით.³¹⁹ სწორედ ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის სისტემა იმსახურებს ცალკე განხილვას.

ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი წესები გათვალისწინებულია როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ასევე სპეციალური კანონმდებლობითაც, მაგალითად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ რეგულაციებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნორმას წარმოადგენს სზაკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის საფუძველზეც უფლებადარღვეულ პირს შეუძლია მოითხოვოს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შემდეგ შემთხვევებში:

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;
- კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვისას, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;
- არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისას და დამუშავებისას;
- საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ სზაკ-ით გათვალისწინებული „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის სხვა მოთხოვნების დარღვევისას.

ქონებრივი და მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უშუალოდ ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლს.³²⁰ ამასთან, როგორც სპეციალური დელიქტური ნორმა, გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის მოწესრიგებაც, რომელიც შეეხება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას „სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების“ გახმაურებისა და გავრცელებისთვის. ამდენად, სზაკ-ის 47-ე მუხლი წარმოადგენს საგარანტიო ნორმას და იგი მოქმედებს მხოლოდ სსსკ-ს ან

³¹⁹ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 280.

³²⁰ ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, 132.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე ან 993-ე მუხლებთან, მოთხოვნის ნორმებთან, კომბინაციაში.

სკ-ის 1005-ე მუხლზე დაყრდნობით მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობები უკვე განხილულ იქნა და შესაბამისად მათ აღარ განვავრცობ.

სკ-ის 993-ე მუხლის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს გახმაურებული ან გავრცელებული ფაქტის აშკარა უსწორობა. თუ ფაქტები ნაწილობრივ სწორია, მაშინ ნორმა არ აწესებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.³²¹ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად არასწორი ფაქტების გავრცელების მეთოდი (ქმედება) უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი იმისათვის, რათა ზემოხსენებული ნორმა გამოყენებულ იქნას საჯარო სამართალში. ქმედების სამართლებრივი ბუნება დადგინდება კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის ზოგადი თეორიებით.

სზაკ-ის 47-ე მუხლი იცავს ისეთ არაქონებრივ სიკეთეს, როგორცაა ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება. ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადამიანის პირად არაქონებრივ უფლებებზე, რის გამოც ხსენებული ნორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლთან. შესაბამისად სზაკ-ის 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისას ზიანი ანაზღაურდება იმ სისტემით, რაც დადგენილია არაქონებრივი უფლების ხელყოფის შემთხვევების დროს.³²²

5.5. ცალკეული სხვა დელიქტური ვალდებულებები

ამ ქვეთავში განხილული კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების გარდა, შესაძლოა წარმოიშვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული ცალკეული დელიქტური ვალდებულებები, მაგრამ არა ყველა. მაგალითად, გამორიცხულია იმ დებულების გამოყენება, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანისთვის (სსკ-ს 995 მ.); ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილი ზიანისთვის

³²¹ ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 1999, მუხლი 18, გვ. 72.

³²² ვრცლად იხ. მომდევნო თავში.

(სსკ-ს 997 მ.), რადგან არსებობს სპეციალური ნორმა (სსკ-ს 1005 მ.), რომელიც ზუსტად იმავე საკითხს აწესრიგებს, შესაბამისად გამოიყენება ეს უკანასკნელი. დელიქტური ვალდებულების შემცველი დანარჩენი ნორმებით სარგებლობა ადმინისტრაციული ორგანოსთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უნდა იყოს შესაძლებელი, თუმცა აქ თავს იჩენს ნაცნობი პრობლემა დაკავშირებული დელიქტური ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებასთან. საკითხი უნდა გადაიჭრას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის ზოგადი თეორიების გამოყენების გზით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული დელიქტური ვალდებულებებიდან შესაძლოა გამოიყოს ერთი ნაწილი, რომლის დახასიათებაც შესაძლებელია საერთო ნიშნით - პასუხისმგებლობა საფრთხის შექმნისთვის. საფრთხის შექმნის გამო ზიანის ანაზღაურების, როგორც ასეთი, ზოგადი მოთხოვნის არსებობა სადავოა,³²³ თუმცა დავას არ იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური შემთხვევებისთვის, როდესაც საქმე შეეხება ზოგიერთი საშიში საგანის გამოყენებასა და გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებას. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია, ცხოველის მიერ ზიანის მიყენება და ა.შ. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხის შექმნის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება, შესაძლებელია სამსახურებრივი პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებლად.³²⁴

საფრთხის შექმნის გამო პასუხისმგებლობის სფეროსთვის დატოვებულია მცირე ადგილი, რაც გამოიწვია სამსახურებრივი პასუხისმგებლობისა და როგორც ირიბი ექსპროპრიაციის, ასევე ექსპროპრიაციასთან გათანაბრებული ჩარევის ინსტიტუტების ფართო გამოყენებამ.³²⁵

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, გაუმართავი შუქნიშნების გზაჯვარედინზე განთავსების შემთხვევა. გაუმართაობის გამო შუქნიშნები ყველა მიმართულებით აჩვენებენ მწვანეს, რასაც შედეგად მოჰყვა პირის ავტომობილის დაზიანება.

³²³ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 448.

³²⁴ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 836, Rn. 23 und 24.

³²⁵ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 58, Rn. 150.

თავდაპირველი სასამართლო პრაქტიკით, მიიჩნეოდა, რომ არ დგინდებოდა ჩარევის უშუალოება. მოგვიანებით სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ დროს ადგილი აქვს უშუალო ჩარევას, რადგან შუქნიშანზე გამოსახული მწვანე ფერის შუქი მოძრაობის მონაწილეს ვალდებულებს გზაჯვარედინის გადაკვეთას და ჩარევა შეერაცხება მოძრაობის უზრუნველყოფ ადმინისტრაციულ ორგანოს, რადგან შუქნიშანი მისთვის/მის ნაცვლად მუშაობს. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ საკუთარი საჯარო ამოცანების შესასრულებლად მოსამსახურის ნაცვლად ტექნიკური მოწყობილობის გამოყენების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ისევე აგებს პასუხს, როგორც თითქოს მოსამსახურეს ემოქმედოს. ამ შემთხვევებისთვის, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა ექსპროპრიაციასთან გათანაბრებული ჩარევის და არა სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტიდან გამომდინარე, რადგან ბრალის შენაცვლება არის შეუძლებელი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შუქნიშანს მოსამსახურე ბრალეულად შეცდომით განალაგებდა, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობოდა სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში.³²⁶

³²⁶ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 836, Rn. 25 und 26.

თავი 6. არაქონებრივი სიკეთის დაცვა ხელყოფისაგან

საქართველოს კანონმდებლობა იცავს არაქონებრივ სიკეთეს ხელყოფისაგან. არაქონებრივია სიკეთე, რომელსაც არ გააჩნია ქონებრივი ღირებულება ანუ არანაირად არ არის ბრუნვაუნარიანი³²⁷ (ე.ი. არც კერძო სამართლის და არც საჯარო სამართლის სფეროებში).

ხელყოფის შემთხვევაში, არაქონებრივი სიკეთის დაცვის პროცესი პირობითად შესაძლოა დაიყოს სამ ეტაპად: I ეტაპი - არაქონებრივი უფლების ხელყოფის შეწყვეტა; II ეტაპი - მორალური ზიანის ანაზღაურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში; III ეტაპი - ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.³²⁸

6.1. I ეტაპი - არაქონებრივი უფლების ხელყოფის შეწყვეტა

თავდაპირველად უნდა მოხდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შეწყვეტა. აღნიშნულის მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ისეთი დაცვითი ფორმები, როგორცაა არაქონებრივ უფლებათა აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა.³²⁹ ამ ეტაპზე არაქონებრივი სიკეთის დაცვა ხორციელდება დამრღვევის ბრალის გარეშე.³³⁰

ამას გარდა, ზიანის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა მოთხოვნილ იქნას: ან მორალური, ან ქონებრივი, ან მორალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ერთად. ასეთ დროს ზიანის ანაზღაურების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს არაქონებრივი უფლების ბრალეულად ხელყოფა.³³¹

³²⁷ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 7, ველი 3, გვ. 40.

³²⁸ ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 1999, მუხლი 18, გვ. 70.

³²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 24 აპრილი 2003, N3კ-12 წიგნში: ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 18, ველი 35, გვ. 118.

³³⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 18, ნაწილი 6, წინადადება 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

³³¹ იქვე, წინადადებები: 2, 3, 4.

6.2. II ეტაპი - მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება

ზიანის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მორალური ზიანი ანუ არაქონებრივი სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ადამიანის „ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილება“.³³² ცვლილება გამოიხატება სულიერ ტკივილის გამოწვევაში.³³³ ტერმინი „მორალურის“ გამოყენება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზიანად მიჩნეულია ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიურ ცვლილებები, სხვა მხრივ იგი არის ტერმინ „არაქონებრივი ზიანის“ იდენტური.³³⁴ მორალური ზიანის არსის სულიერ ტკივილთან პირდაპირი ბმა გამართლებულია ასევე სასამართლოს მხრიდანაც.³³⁵

მორალური ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება დასაშვებია „მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“.³³⁶ აღნიშნული შემთხვევები უკავშირდება ცალკეული არაქონებრივი ანუ ფულადი ეკვივალენტის არ მქონე უფლების³³⁷ ხელყოფას. არაქონებრივი უფლების ხელყოფის გარეშე დაუშვებელია³³⁸ პირისთვის სულიერი ტკივილით გამოწვეული ანუ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების, როგორც ინსტიტუტის, დამახასიათებელი თვისებები ყალიბდება შემდეგნაირად:

- ა). არაქონებრივი უფლების ხელყოფა;
- ბ). ხელყოფით სულიერი ტკივილის გამოწვევა;
- გ). კონკრეტული არაქონებრივი უფლების დარღვევის გამო მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინების ფაქტი (საგარანტიო ნორმები);

³³² ალფაიძე, მედია სამართალი წიგნში: ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 18, ველი 93, გვ. 135.

³³³ ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 1999, მუხლი 18, გვ. 73.

³³⁴ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 413, გვ. 468-469.

³³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2009 წლის 8 აპრილი, საქმე Nბს-972-936(3კ-08).

³³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 413, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

³³⁷ Lange/Schiemann, Schadensersatz, 3. Aufl., 2003, § 2. I. 2 წიგნში: რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ., (რედ.), თბ., 2019, მუხლი 408, გვ. 700, ველი 12.

³³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო, 11 მაისი 2015, საქმე Nას-1084-1034-2014 წიგნში: ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 18, ველი 93, გვ. 135..

დ). მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების არსებობა (მოთხოვნის ნორმები).

საგარანტიო ნორმები მიუთითებენ იმ არაქონებრივ უფლებებზე, რომელთა ხელყოფამაც შესაძლოა გამოიწვიოს მორალური ზიანის ანაზღაურება. ასეთი უფლებების ძირითადი ნაწილი მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ამ ჩამონათვალში მოიაზრება სხეულის დაზიანება; ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება;³³⁹ სახელის ტარების უფლება; პირის პატივი; ღირსება საქმიანი რეპუტაცია; პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა.³⁴⁰ ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევები, შესაძლოა გათვალისწინებული იყოს სხვა საკანონმდებლო აქტებითაც. მაგალითად, სზაკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის საფუძველზე პირს შეუძლია მოითხოვოს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ინფორმაციის თავისუფლების წესების დარღვევის გამო.

მოთხოვნის ნორმები შეიცავენ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სუბიექტს ეკისრება მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება. ამ თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა იმ ნორმასთან, რომელიც აწესებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, მაგალითად დელიქტური ნორმები.³⁴¹ ამდენად, ქონებრივი და მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობები არის იდენტური:³⁴² ა). ზიანის არსებობა; ბ). მართლსაწინააღმდეგობა; გ). მიზეზობრივი კავშირი; დ). ბრალი.³⁴³ განსხვავება ქონებრივ და მორალურ ზიანს შორის მდგომარეობს მხოლოდ თავად ზიანის არსში:

³³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 413, ნაწილი 2, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

³⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 18, ნაწილები 1 და 2, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

³⁴¹ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 413, გვ. 471.

³⁴² ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 1999, მუხლი 18, გვ. 70-73.

³⁴³ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 18, ველი 94 და შემდგომი, გვ. 135-137.

პირველ შემთხვევაში ზიანი გამოიხატება ფულადი ექვივალენტით, ხოლო მეორის დროს სულიერი ტკივილით.³⁴⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია როგორც საგარანტიო, ასევე მოთხოვნის ნორმების ერთობლივად მოქმედება.

მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, ფულადი ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება „გონივრული და სამართლიანი სახით“.³⁴⁵ აღნიშნული კრიტერიუმისთვის შინაარსის განსაზღვრა წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის შედეგს.³⁴⁶

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად, არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული გამონაკლისი იქვეა გათვალისწინებული მე-2 აბზაცით და ფულად ანაზღაურებას უქვემდებარებს სხეულის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და სქესობრივი თვითგამორკვევისათვის მიყენებულ ზიანს.³⁴⁷ ამას გარდა, 253-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის დათქმის მიუხედავად ფულადი ანაზღაურება შესაძლოა დაეკისროს პირს ე.წ. ზოგადი პიროვნული უფლებების ხელყოფის გამო. ასეთ უფლებებზე მოიაზრება მაგალითად პატივი, პირადი ცხოვრება და ა.შ.³⁴⁸ ანუ ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ პირად არაქონებრივ უფლებებს.

სზაკ-ს 207-ე მუხლიდან გამომდინარე შესაძლებელი უნდა იყოს მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული და ზემოთ განხილული სამართლებრივი სისტემის გამოყენება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მორალური ზიანი გამოწვეული უნდა იყოს არა კერძო, არამედ საჯარო-

³⁴⁴ ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 1999, მუხლი 18, გვ. 73.

³⁴⁵ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 413, თბ., 2019, გვ. 749, ველი 8.

³⁴⁶ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 413, გვ. 471.

³⁴⁷ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოც., მიუნხენი, 2011, თარგ. დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2014, გვ. 135.

³⁴⁸ ვრც. იხ. იქვე, გვ. 634-635, ველი 16 და შემდგომი.

სამართლებრივი ქმედებით. ქმედების სამართლებრივი ბუნება კი უნდა დადგინდეს კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის ზოგადი თეორიებით.

გერმანიის მოქმედი კანონმდებლობით სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ფარგლებში დასაშვებია მორალური ზიანის ანაზღაურება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე პარაგრაფის გამოყენებით,³⁴⁹ რომელიც შეეხება სხეულის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და სქესობრივი თვითგამორკვევისათვის მიყენებულ ზიანს. ამას გარდა, ძირითადი კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის 1-ელ წინადადებასა და მეორე მუხლის 1-ელ აბზაცზე დაყრდნობით ფულად ანაზღაურებას ექვემდებარება ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლებები, ოღონდ არა როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის ფარგლებში, არამედ როგორც მსხვერპლის გაწევის გამო შექმნილი უთანასწორობის დაბალანსების თვალსაზრისით.³⁵⁰

6.3. III ეტაპი - ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

მართალია, თავად უფლება არის არაქონებრივი, მაგრამ მისმა ხელყოფამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს პირის ქონებრივ მდგომარეობაზე. მაგალითად, სახელის ტარების უფლების დარღვევის, ასევე საქმიანი რეპუტაციის შელახვის დროს დელიქტური სარჩელებით.³⁵¹ შესაბამისად, არაქონებრივი უფლების ხელყოფით გამოწვეული ქონებრივი ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას საერთო საფუძვლების მიხედვით³⁵² ანუ იმ საფუძვლებით, რაც დადგენილია დელიქტური და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისთვის.

არაქონებრივი უფლებების ხელყოფის დროს წარმოშობილი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურ ინსტიტუტს იცნობს გერმანული სამართალი და მას მოიხსენიებს როგორც მსხვერპლის გაწევიდან გამომდინარე მოთხოვნას. ამ ინსტიტუტის ფარგლებში ხდება საჯარო-სამართლებრივი ჩარევა არაქონებრივ უფლებაში საერთო კეთილდღეობის მიზნით ისე, რომ პირს ეკისრება

³⁴⁹ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 431, Rn. 1095.

³⁵⁰ Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, S. 111-112.

³⁵¹ ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 1999, მუხლი 18, გვ. 60 და 71.

³⁵² იხ. იქვე, გვ. 70.

განსაკუთრებული მსხვერპლი, რაც ვლინდება ქონებრივ ზიანში.³⁵³ ანაზღაურებას ექვემდებარება ქონებრივი ზიანი, რომელიც წარმოიშობა ისეთი უფლებების ხელყოფით როგორცაა სიცოცხლე, სხეულის ფიზიკური დაცულობა, ჯანმრთელობა და ფიზიკური გადაადგილების თავისუფლება.³⁵⁴ ქმედების უკანონობა მიუთითებს პირის მიერ განსაკუთრებული მსხვერპლის გაღებაზე.³⁵⁵ ამ ინსტიტუტის ფარგლებში ანაზღაურებას დაქვემდებარებულ ქონებრივ ზიანად მიიჩნევა, მაგალითად, ექიმის ხარჯები, მოვლის ხარჯები, შემოსავლის იძულებითი განაცდური.³⁵⁶

6.4. შუალედური შეფასება

როგორც საქართველოს, ასევე გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივ მექანიზმებს არაქონებრივი სიკეთის დასაცავად. დაცვის სისტემას საკმაოდ კომპლექსური სტრუქტურა გააჩნია, თუმცა ორივე ქვეყნის სამართლით აღიარებულია, რომ არაქონებრივი უფლებების დარღვევის გამო უფლებდარღვეულ პირს შეუძლია მოითხოვოს როგორც სულიერი ტკივილით, ასევე ქონებრივი დანაკლისით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს კანონმდებლობით შედარებით უფრო მკაფიოდ არის განსაზღვრული მორალური ზიანისთვის როდის შეუძლია პირს მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება.

მთლიანობაში, არაქონებრივი სიკეთის ხელყოფის გამო, პირის მოთხოვნა შესაძლოა განვითარდეს სამი სხვადასხვა მიმართულებით ერთდროულად ან ცალ-ცალკე: I - არაქონებრივი სიკეთის ხელყოფის შეწყვეტისკენ; II - მორალური ზიანის ანაზღაურებისკენ; III - ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისკენ. სამივე ეს მექანიზმი, სზაკ-ის 207-ე მუხლის საფუძველზე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას არაქონებრივი სიკეთის საჯარო-სამართლებრივი საქმიანობით ხელყოფის შემთხვევაში.

³⁵³ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 467, Rn. 1181.

³⁵⁴ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 821, Rn. 8.

³⁵⁵ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S. 612, Rn. 6.

³⁵⁶ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 469, Rn. 1192.

თავი 7. კომპენსაცია საკუთრების უფლებაში ჩარევის გამო

საკუთრების უფლებაში ჩარევა უკავშირდება არა სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის პერსონალური ქმედებით, არამედ, ექსკლუზიურად, საკუთრების უფლების შელახვით გამოწვეული ქონებრივი დანაკლისის კომპენსაციას.³⁵⁷ ასეთ დროს მოთხოვნა უკავშირდება არა ზიანის წარმოშობამდე არსებული მდგომარეობის „აღდგენას“, არამედ უთანასწორო მდგომარეობის „დაბალანსებას/გაწონასწორებას“. უთანასწორო მდგომარეობის შექმნას განაპირობებს საერთო კეთილდღეობის საჭიროება, სახელმწიფო ამოცანების განხორციელება, რის შედეგადაც ძირითადად კანონიერად ხდება ცალკეული მოქალაქის სამართლებრივი სიკეთის დატვირთვა.³⁵⁸

შესაბამისად, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოსთვის თანხის დაკისრების ორი ცენტრალური კატეგორია:

- ა). ზიანის ანაზღაურება, როგორც დელიქტი
- ბ). ქონებრივი დანაკლისის კომპენსაცია, როგორც უთანასწორო მდგომარეობის დაბალანსება/გამოსწორება.

წინამდებარე თავში განხილული იქნება სახელმწიფოს მიერ მოქალაქის საკუთრების უფლებაში ჩარევის შემთხვევები, რომლებიც ექვემდებარება კომპენსაციას.

საკუთრების უფლებაში ჩარევა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა გზით. თითოეულ მათგანს გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც მას განასხვავებს სხვა ჩარევებისგან. კომპენსაციას დაქვემდებარებული ინსტიტუტების ერთმანეთისგან გასამიჯნად თავდაპირველად უნდა განისაზღვროს საკუთრების უფლების ცნება ამ თავის მიზნებისათვის და შემდგომ განიმარტოს ის მეთოდები, რომლითაც ხდება საკუთრების უფლებაში ჩარევა.

7.1. საკუთრების უფლების ცნება

„საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას.

³⁵⁷ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 64, Rn. 155.

³⁵⁸ Wolff H.J., Bachoff O., Stober R., Kluth W., Verwaltungsrecht II, 7. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2010, S.2, Rn. 3.

ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას³⁵⁹ საკუთრების უფლების ასეთი აღმატებული მნიშვნელობისა და დატვირთვის მიუხედავად, არ არსებობს მისი ცნების საკანონმდებლო განმარტება, რაც ბუნებრივია ქმნის სირთულეებს საკუთრების უფლებაში ჩარევის დადგენისა და მითუმეტეს, ამ უკანასკნელის სახეების განსაზღვრის საკითხებზე მსჯელობის დროს. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ თუ უცნობია უფლების შინაარსი, მაშინ ვერც მასში ჩარევის ამოცნობა იქნება შესაძლებელი.

საკუთრების უფლების ცნება ანუ შინაარსი განისაზღვრება ქვეყანაში, ამათუიმ პერიოდში, მოქმედი ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე. შინაარსის განსაზღვრისას სამართლებრივად განვითარებული სახელმწიფოები შებოჭილნი არიან საკუთრების როგორც ინსტიტუტის გარანტიით.³⁶⁰ საკუთრების უფლების შინაარსის ცვალებად ხასიათზე მიუთითებს ასევე საქართველოს ისტორიაც, რომლის დროსაც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული დატვირთვა გააჩნდა საკუთრებას საბჭოთა კავშირისა და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდებში.³⁶¹

არსებული საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით, საკუთრების უფლების ცნების განსაზღვრისთვის უმთავრესად უნდა დავეყრდნოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსს. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მეტად მოცულობითი შინაარსი შესაძლოა გააჩნდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საკუთრების ძირითად უფლებას.³⁶²

სამართლებრივ ცხოვრებაში რეალიზებისათვის საკუთრება, როგორც პირისთვის მისაკუთვნებელი სამართლებრივი სიკეთე, საჭიროებს ნორმატიულ, საკანონმდებლო

³⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/384 „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე საკანონმდებლო პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

³⁶⁰ იზორია ლ., კორკელია კ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2005, გვ. 145-146.

³⁶¹ ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბ., გამომც. უფლება, 1999, გვ. 58-59.

³⁶² BVerfGE 58, 300, 335; Maurer, §27, Rn. 42 in: Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 68, Rn. 172.

გამოხატვას (გაფორმებას), რითაც იქმნება საკუთრების უფლების სამართლებრივი პოზიცია ანუ დგინდება მისი „შინაარსი და ფარგლები“. საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები განისაზღვრება საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი ყველა იმ საჯარო და კერძო-სამართლებრივი ნორმის ერთობლიობით, რომლებიც მოქმედებენ შესაბამის, კონკრეტულ დროს (შესაძლოა ეპოქაშიც კი). როდესაც საკუთრებასთან დაკავშირებული ესა თუ ის უფლება არ გამომდინარეობს აღნიშნული ნორმებიდან, მაშინ იგი არც მოიაზრება საკუთრების უფლებაში.³⁶³

ზოგადად და უმთავრესწილად, საკუთრებაში მოიაზრება პირის ქონებასთან ურთიერთობა.³⁶⁴ აღნიშნული ურთიერთობა სტრუქტურულად შედგება უფლებრივი ელემენტებით.³⁶⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე³⁶⁶ და 170-ე³⁶⁷ მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, პირის ქონებასთან ურთიერთობის უფლებრივ ელემენტებად მიიჩნევა ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის უფლებები. მფლობელობა კი არ უნდა იქნას მიჩნეული უფლებრივ ელემენტად, რადგან ის არის ფაქტი და არა უფლება.³⁶⁸ ამდენად, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ცნება: საკუთრების უფლება არის ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის უფლებების ერთობლიობა.³⁶⁹ შესაბამისად, ნებისმიერი სახელისუფლებო ქმედება, რომელიც ახდენს სამართლებრივ ან ფაქტობრივ ზეგავლენას ნორმების საფუძველზე განსაზღვრული ზემოხსენებული ორი უფლებრივი ელემენტიდან რომელიმეზე მაინც, წარმოადგენს ჩარევას საკუთრების უფლებაში.

³⁶³ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თარგმ. ჩაჩანიძე ე., სამეცნ. რედ. კუბლაშვილი კ., ნინიძე თ., ლოლაძე ბ., ერემაძე ქ., 2011, გვ. 266, 267 და 270.

³⁶⁴ Baur F., Lehrbuch des Sachenrechts, 11. Aufl., München, 1981, S.209 წიგნში: ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბ., გამომც. უფლება, 1999, გვ. 59.

³⁶⁵ იხ. იქვე, გვ. 60.

³⁶⁶ „ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“

³⁶⁷ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“

³⁶⁸ ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბ., გამომც. უფლება, 1999, გვ. 66.

³⁶⁹ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., გამომც. ჯისიაი, 2003, გვ. 168.

უკვე განსაზღვრული საკუთრების უფლების შინაარსსა და ფარგლებში ჩარევა, შესაძლოა იყოს ორი სახის: ა) საკუთრების უფლების შეზღუდვა და ბ) საკუთრების უფლების ჩამორთმევა.³⁷⁰ პირველი მათგანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლის მე-2 პუნქტის³⁷¹ საფუძველზე და მოცულობით, ხოლო საკუთრების უფლების ჩამორთმევა - იმავე მუხლის მე-3 პუნქტზე დაყრდნობით.

საკუთრების უფლებაში ჩარევის გამო კომპენსაციის წარმომავლობა დაკავშირებული გერმანიაში მე-18 საუკუნეში მოქმედი ე.წ. მსხვერპლად გაწირვის ზოგად მოთხოვნასთან. ამ უკანასკნელი მოსაზრების მიხედვით, ზოგიერთ უფლებაში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება მხოლოდ საერთო კეთილდღეობის საფუძველზე დაყრდნობითა და კომპენსაციის სანაცვლოდ. მოგვიანებით მისგან გამოიყო დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტად ექსპროპრიაცია, რომელიც კიდევ მოგვიანებით დაუკავშირდა განსაკუთრებული მსხვერპლის თეორიას. ამ უკანასკნელის თანახმად, ექსპროპრიაციას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც საკუთრების უფლებაში ჩარევა პირს ან პირთა ჯგუფს ამყოფებდა სხვა პირებთან შედარებით უთანასწორო, განსაკუთრებულ მდგომარეობაში და აიძულებდა ისეთი მსხვერპლის გაღებას, რომლის გაწევასაც არ მოითხოვდა სხვა პირებისგან.³⁷²

განასხვავებენ 4 ჯგუფს, როდესაც ხდება კომპენსაციის გაცემა საკუთრების უფლებაში ჩარევის გამო.

7.2. საკუთრების უფლებაში ჩარევის შემთხვევები, რომლებიც ექვემდებარებიან კომპენსაციას

7.2.1. საკუთრების უფლების პირდაპირი ჩამორთმევა, ე.წ. საკუთრების უფლების კლასიკური ჩამორთმევა

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან

³⁷⁰ იხ. იქვე, გვ. 171

³⁷¹ „საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“

³⁷² Maurer §27, Rn. 3; BGHZ 6, 270, 280; Maurer §27, Rn. 16 in Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S 584, Rn. 5.

ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.“ ამ მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგების დეტალიზების მიზნით გამოიყენება ორი საკანონმდებლო აქტი: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.³⁷³

საკუთრების უფლების პირდაპირ ჩამორთმევას ასევე მოიხსენიებენ როგორც კლასიკურ ექსპროპრიაციას, რომლის დროსაც მიწის ნაკვეთზე კერძო პირის საკუთრების უფლება გადადის სახელმწიფოზე, კანონის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების გზითა და კომპენსაციის სანაცვლოდ. ექსპროპრიაცია ხორციელდება მას შემდეგ, რაც კერძო პირი და სახელმწიფო ვერ მიაღწევენ კერძო-სამართლებრივ შეთანხმებას ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით.³⁷⁴

საკუთრების უფლებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, გააჩნია რამდენიმე უფლებრივი ელემენტი და ექსპროპრიაციად უნდა მოიაზრებოდეს ჩარევის ისეთი მოქმედება, როდესაც კერძო პირს განუსაზღვრელი ვადით (კონკრეტული კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის მითითების გარეშე, რომელიც სამომავლოდ აუცილებლად მოხდება გონივრულ ვადაში) ერთმევა ქონების განკარგვის უფლება. სწორედ ამიტომ საკუთრების უფლების ჩამორთმევად არ უნდა ჩაითვალოს სამართალწარმოების მონაწილისთვის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, ქონების გასხვისების აკრძალვა³⁷⁵ (ქონების გასხვისება წარმოადგენს განკარგვის უფლების ფარგლებში მოქცეულ ერთ-ერთ მოქმედებას),³⁷⁶ რადგან აღნიშნული ჩარევა შეწყდება სამართალწარმოების დასრულების მომენტისთანავე, რაც აუცილებლად მოხდება

³⁷³ ფირცხალაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 21, თბ., 2013, გვ. 219.

³⁷⁴ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 65, Rn. 158.

³⁷⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი, მუხლი 2, ნაწილი ბ, <https://matsne.gov.ge/document/view/29962>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

³⁷⁶ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017, მუხლი 102, ველი 5, გვ. 583.

როგორც ფაქტობრივი მოვლენა. აღნიშნული კომპონენტის გარეშე საკუთრების უფლებაში ჩარევა, მაგალითად, სარგებლობის უფლების დროებითი ჩამორთმევა არ უნდა ჩაითვალოს მთლიანად საკუთრების უფლების ჩამორთმევად, ვინაიდან კერძო პირს ისედაც შეუძლია თვითონვე შეიზღუდოს ქონებაზე სარგებლობის უფლება, მაგრამ დარჩეს მესაკუთრედ. მაგალითად, როდესაც პირი გააქირავებს ქონებას, ამით იგი სხვა სუბიექტს გადასცემს ქონებით სარგებლობის უფლებას, თუმცა ქონების განკარგვის უფლება ჯერ კიდევ თავდაპირველი სუბიექტის ხელშია და შესაძლებელია მისი მემკვიდრეობით გადასვლაც კი. ამდენად, სახელისუფლებო ქმედება, რომ ჩაითვალოს საკუთრების უფლების ჩამორთმევად, მან სულ მცირე უნდა გამოიწვიოს ქონების განკარგვის უფლების გადასვლა კერძო პირიდან სახელმწიფოზე. ასეთ შემთხვევაში, ყოფილ მესაკუთრეს მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ.

დამკვიდრებულია საკუთრების უფლების ჩამორთმევის ე.წ. ვიწრო ცნება, რომლის მიხედვითაც ექსპროპრიაცია არის მხოლოდ ის, რაც ასეთად გათვალისწინებულია კანონმდებლობით³⁷⁷. უკანონო ანუ დაუშვებელი ექსპროპრიაციის დროს, პირი ვერ მოითხოვს კომპენსაციას, რაც გამომდინარეობს უფლების პირველადი დაცვის უზენაესობიდან.³⁷⁸ ასეთ შემთხვევაში, უფლებაშელახულმა მხარემ უნდა გამოიყენოს სამართლის სისტემაში მოქმედი უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები პირველ რიგში საკუთრების უფლების უკანონოდ ჩამორთმევი ქმედების წინააღმდეგ, რადგან არსებობს არჩევანი ექსპროპრიაციის განხორციელების თაობაზე სამართლებრივი აქტის გაუქმებასა და კომპენსაციის მიღების მოთხოვნას შორის.³⁷⁹

7.2.2. საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევა

საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევის ინსტიტუტს საკანონმდებლო დონეზე ამკვიდრებს სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი,³⁸⁰ რომლის თანახმადაც „თუ

³⁷⁷ Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.585, Rn. 6.

³⁷⁸ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 74, Rn. 189.

³⁷⁹ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 760, Rn. 26.

³⁸⁰ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 275.

საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი.“

საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევიდან გამომდინარე მოთხოვნის არსებობისთვის რამდენიმე წინაპირობა კუმულატიურად უნდა დაკმაყოფილდეს:

ა) ხელყოფის ობიექტი: ქონებრივი ღირებულების მქონე სამართლებრივი მდგომარეობა;

ბ) ხელყოფის გზა: ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი საქმიანობის გვერდითი შედეგი;

გ) ხელყოფის მიზეზობრიობა: გვერდითი შედეგი უშუალოდ უნდა იქნას გამოწვეული კანონიერი საქმიანობით;

დ) ხელყოფის შედეგი: პირს უწევს განსაკუთრებული მსხვერპლის გაღება ანუ ეკისრება გადამეტებული ტვირთი.³⁸¹

ქონებრივი ღირებულების მქონე სამართლებრივ მდგომარეობას წარმოადგენს საკუთრების უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული ფარგლებით.³⁸²

კანონიერი საქმიანობის გვერდით შედეგებად მიიჩნევა შემთხვევით, არადადამახასიათებლად, გაუთვალისწინებლად წარმოშობილი შედეგი.³⁸³

სამართლებრივი თვალსაზრისით იგი არის უკანონო.³⁸⁴ მაგალითად, საგზაო მაგისტრალის მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ღირებულება შემცირდა მაგისტრალისგან გამოწვეული ვიბრაციების გამო,

³⁸¹ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 810, Rn. 112.

³⁸² Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.607, Rn. 42.

³⁸³ s. ebda. S. 607, Rn. 43.

³⁸⁴ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 277.

რომლებმაც დააზიანეს მისი კონსტრუქციული მდგრადობა (დაზიანდა საყრდენი კედელი). ამ მაგალითში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კანონიერი საქმიანობა და უკანონო შედეგი. დამოუკიდებლად, თავისთვის აღებული საქმიანობა - საგზაო მაგისტრალის მოწყობა, არის კანონიერი, რადგან იგი ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და მის უკანონობას ვერ განაპირობებს შემთხვევითი, არადამახასიათებელი, გაუთვალისწინებელი გვერდითი შედეგი - შენობის დაზიანება, შესაბამისად, მისი ღირებულების შემცირება. აქ გადამწყვეტია ის, რომ განცალკევებულად, თავად შედეგი არის უკანონო,³⁸⁵ რადგან კანონისმიერი დათქმის პრინციპი ხელისუფლების მქონე პირს არ აძლევს უფლებამოსილებას, უშუალო სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე (ასე შემთხვევითად, არადამახასიათებლად და გაუთვალისწინებლად) შელახოს სუბიექტის უფლებები, მათ შორისაა რასაკვირველია საკუთრების უფლება.

ჩარევისთვის არადამახასიათებელი გვერდითი შედეგები უშუალოდ უნდა ლახავდნენ დაცულ საკუთრების უფლებას. ისინი უნდა მომდინარეობდნენ სახელისუფლებო ჩარევიდან, თუმცა ჩარევის განხორციელებამდე არ იყვნენ განჭვრეტადი.³⁸⁶ განჭვრეტადად კი ჩაითვლება შედეგები, როდესაც ისინი მოწესრიგებული არის კანონმდებლობით. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, უშუალოა არ იარსებებდა, თუ შენობის დაზიანება შედეგად მოყვა არა საგზაო მაგისტრალისგან გამოწვეულ ვიზრაციებს, არამედ რაიმე სხვა გარემოებას.

საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევის ინსტიტუტის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს განსაკუთრებული მსხვერპლის არსებობის საკითხის გარკვევა. საკუთრებას აქვს სოციალური ფუნქცია, რის გამოც იგი იმთავითვე მოიცავს მთელ რიგ ვალდებულებებს.³⁸⁷ საკუთრების ძირითადი უფლების შინაგან სტრუქტურაშივეა გათვალისწინებული საჯარო ინტერესების საფუძველზე მისი შეზღუდვის შესაძლებლობა.³⁸⁸ აღნიშნულ შეზღუდვას აქვს გარკვეული საზღვარი, რომელიც არ

³⁸⁵ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 810, Rn. 110.

³⁸⁶ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 92, Rn. 241.

³⁸⁷ ზოიძე ბ., საწივთო სამართალი, თბ., გამომც. უფლება, 1999, გვ. 66.

³⁸⁸ Kimminich, GG -Kommentar, 2. Aufl. 1992 in: იზორია ლ., კორკელია კ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2005, გვ. 148.

არის მყარად განსაზღვრული და იგი დადგენილ უნდა იქნას ყოველი ცალკეული შემთხვევის გარემოებების მიხედვით. ხსენებული საზღვრის გადამეტება დგინდება ე.წ. სიმძიმის თეორიის გამოყენების გზით, რომლის თანახმადაც განსაკუთრებული მსხვერპლი არსებობს მაშინ, როდესაც საკუთრებაში ჩარევა და უშუალოდ გამოწვეული გვერდითი შედეგები მესაკუთრისთვის ისეთი მძიმეა, რომ მესაკუთრეს ვეღარ მოეთხოვება მათი თმენა კომპენსაციის გარეშე.³⁸⁹ სიმძიმე შესაძლოა განისაზღვროს სახელისუფლებო ჩარევის ხანგრძლივობის, სახეობისა და ინტენსიურობის მიხედვით, რაც სუბიექტისთვის იწვევს განსაკუთრებული ტვირთის დაკისრებას სხვა მოქალაქეებთან შედარებით.³⁹⁰ მართალია სხვა სიტყვებით, თუმცა განსაკუთრებული მსხვერპლის გამოსავლენად იდენტური შინაარსია გადმოცემული სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილის შემდეგი ჩანაწერით: „თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს.“ ამდენად, საქართველოს საკანონმდებლო დონეზე გამყარებულია განსაკუთრებული მსხვერპლის ცნება.

ზემოთ განხილული ოთხი წინაპირობის კუმულატიურად არსებობის შემთხვევაში, მესაკუთრეს უნდა მიეცეს კომპენსაცია საკუთრების უფლების ირიბი შეზღუდვის გამო.

7.2.3. საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების არათანაზომიერი განსაზღვრა

საკუთრების უფლების ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით გაზიარებულ იქნა არა ადამიანის ბუნებითი უფლების, არამედ პოზიტიურ-სოციალური სახელმწიფოს თეორია,³⁹¹ რომლიდან გამომდინარეც პირის საკუთრების უფლება გავლენას ახდენს საზოგადოების წევრებზე. აღნიშნულის გამო, სახელმწიფოს აქვს უფლება განსაზღვროს საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები.³⁹² ამ სამართლებრივ

³⁸⁹ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 462, Rn. 1171.

³⁹⁰ BGHZ 57, 359, 366.; Baldus/Grzeszick/Wienhues Rn. 457 in: Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 93, Rn. 243.

³⁹¹ საკუთრების უფლება არის ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის უფლებების ერთობლიობა.

³⁹² ფირცხალაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 21, თბ., 2013, გვ. 206.

მიდგომას საკანონმდებლო დონეზე ამყარებს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით, „საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ (საკუთრების, ავტ.) უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“ საკითხთან დაკავშირებით განვითარებულია კანონით აღიარების თეორია, რომლის თანახმადაც, საკუთრება არის მხოლოდ ის, რაც ასეთად განსაზღვრულია კანონმდებლობით ანუ კანონმდებელი ადგენს საკუთრების უფლების შინაარსსა და ფარგლებს.³⁹³

საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრად მიიჩნევა პირის იმ უფლებებისა და ვალდებულებების ნებისმიერი გენერალური და აბსტრაქტული მოწესრიგება, რომელიც დაცულია საკუთრების ძირითადი უფლებით.³⁹⁴ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრა ხდება კომპენსაციის გაცემის გარეშე, როგორც წესი.³⁹⁵ ამასთან, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა მოხდეს შემთხვევა, როდესაც საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების სრულიად კანონიერად განსაზღვრის მიუხედავად, საკუთრების უფლებაში ამ ჩარევის გამო, სახელმწიფოს წარმოემვას მესაკუთრისთვის კომპენსაციის მიცემის ვალდებულება.³⁹⁶ ასეთ დროს, საკუთრების უფლებაში ჩარევა შედეგად იწვევს მესაკუთრისთვის განსაკუთრებული ტვირთის დაკისრებას, რაც შეუთავსებელია თანაზომიერების პრინციპთან და ამდენად, წარმოადგენს საკუთრების უფლების, როგორც ინსტიტუციური გარანტიის დარღვევას კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზე. გადამეტებული ტვირთის აღმოსაფხვრელად და შესაბამისად, ხსენებული დარღვევის თავიდან ასაცილებლად მესაკუთრეს უნდა მიეცეს კომპენსაცია.³⁹⁷

³⁹³ Grochtmann, Die Normgeprägtheit des Art. 14 GG: Konsequenzen für die Eigentumsdogmatik in: ფირცხალაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 21, თბ., 2013, გვ. 206-207.

³⁹⁴ BverfGE 110, 1, 24f. in: Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., 2017, S. 790, Rn. 82.

³⁹⁵ Maurer §27, Rn. 79 in: Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 80, Rn. 205.

³⁹⁶ s. ebda. S.80, Rn. 206.

³⁹⁷ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 790, Rn. 82.

საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის დროს, პირისთვის განსაკუთრებული ტვირთის დაკისრების გამო, კომპენსაციის მიცემა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ სათანადო საკანონმდებლო ნორმის არსებობის პირობებში.³⁹⁸ ასეთ საფუძველს ქმნის სზაკ-ის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელზე დაყრდნობითაც პირს შეუძლია მოითხოვოს შემცირებული ქონებრივი ღირებულების კომპენსაცია. მაგალითად, როდესაც სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობა საკუთრების უფლებასთან მიმართებით უარესდება ქალაქმშენებლობითი გეგმით.³⁹⁹ მართალია სზაკ-ის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, გაგებულია როგორც საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევის გამო პირისთვის კომპენსაციის მიცემის ვალდებულების სამართლებრივ საფუძვლად,⁴⁰⁰ თუმცა მისი მოქმედება უნდა ვრცელდებოდეს ასევე საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისას უთანასწორო მოპყრობის შემთხვევებზეც. აღნიშნულზე მიუთითებს შემდეგი სამართლებრივი გარემოება: საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევისას და მისი შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის დროს, შესაბამისი სუბიექტისთვის კომპენსაციის მიცემის ვალდებულების წარმოშობა განპირობებულია იდენტური სამართლებრივი მოსაზრებით, რომ პირს ეკისრება განსაკუთრებული ქონებრივი ტვირთი ანუ იგი არის განსაკუთრებული მსხვერპლი. მუხლში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარე („თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს“) არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რა გზით დაეკისრა მას განსაკუთრებული ქონებრივი ტვირთი, ჩარევის გვერდით შედეგად თუ ჩარევის პირდაპირ შედეგად. ის, რომ სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილს საფუძვლად უდევს ზემოხსენებული ორივე ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ქონებრივი ტვირთის დაკისრების იდეა, დასტურდება სამართლის ამ დარგში გამოცემული ერთ-ერთი პირველ სახელმძღვანელოში არსებული ჩანაწერთაც: „სახელმწიფო აღიარებს, რომ იგი ვალდებულია, თანასწორად მოეპყროს საზოგადოების ყველა წევრს, ხოლო არათანაბარი მოპყრობის შემთხვევაში

³⁹⁸ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 464, Rn. 1178.

³⁹⁹ ტურავა პ., ყალიჩავა კ., სამშენებლო სამართალი, თბ., 2020, გვ. 130.

⁴⁰⁰ ამაზე მიუთითებს განხილული მაგალითი წიგნში: ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, 2002, გვ. 367.

კისრულობს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.⁴⁰¹ შესაბამისად, საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის დროს პირისთვის განსაკუთრებული ტვირთის დაკისრების გამო კომპენსაციის მიცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საწინააღმდეგო განმარტების პირობებში ანუ იმ შემთხვევაში, თუ ჩაითვლება, რომ სზაკ-ის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ აწესებს კომპენსაციის გაცემის ვალდებულებას საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის დროს, როდესაც მხოლოდ რომელიმე პირს ან პირთა ჯგუფს ეკისრება ტვირთი, შესაძლოა სადავო გახდეს იმ სამართლებრივი ნომრის კონსტიტუციურობა, რომელიც ხელისუფლების მქონე პირს ანიჭებს უფლებამოსილებას საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისას, კომპენსაციის მიცემის გარეშე, განსაკუთრებული ტვირთი დააკისროს პირს ან პირთა ჯგუფს. ასეთი უფლებამოსილების მიმნიჭებელი ნორმა დაარღვევს საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტიის მოთხოვნებს,⁴⁰² ანუ მას ექნება ადამიანის ძირითადი უფლებების საწინააღმდეგო შინაარსი.

7.2.4. საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევა

საკუთრების უფლებაში ჩარევის აქამდე განხილული შემთხვევები შეეხებოდნენ საკუთრების უფლების შელახვას ხელისუფლების მქონე სუბიექტის კანონიერი საჯარო-სამართლებრივი საქმიანობით. ზემოხსენებული სამი ინსტიტუტისგან განსხვავებით, საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევის დროს კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება უკანონო საჯარო-სამართლებრივი საქმიანობის შედეგად საკუთრების უფლების შელახვისთვის. ამასთან, აღნიშნული შემთხვევების დროს მოქმედებს უფლების პირველადი დაცვის პრინციპი. შესაბამისად, დაინტერესებულმა მხარემ ჯერ უნდა გამოიყენოს სამართლებრივი საშუალებები საკუთრების უფლების შელახვის თავიდან ასაცილებლად, ხოლო, როდესაც მათი გამოყენება აზრს იქნება მოკლებული, დავუშვათ იმის გამო, რომ უკანონო საჯარო-სამართლებრივმა საქმიანობამ,

⁴⁰¹ ადვიშვილი ზ., ვარდიამვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2005, გვ. 345.

⁴⁰² Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 790, Rn. 82.

ფაქტობრივი თვალსაზრისით, უკვე გამოიწვია უარყოფითი შედეგები, მაშინ გამოიყენება უფლების მეორადი დაცვის სამართლებრივი საშუალებები.⁴⁰³ მაგალითად, სამხედრო სავარჯიშო სროლების დროს აცდენილი ტყვიები მოხვდებიან ტყეში მოჭრილ და შენახულ ხეს ისე, რომ ცეცხლის წაკიდების შედეგად ეს უკანასკნელი განადგურდება. ამ შემთხვევისას ჩარევა განხორციელდა არა მიზნობრივად, არამედ შეშის განადგურება უშუალოდ გამოიწვია შეცდომამ.⁴⁰⁴

საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევის ინსტიტუტის არსებობაზე მიუთითებს ის მყარი არგუმენტი, რომ თუ საკუთრების უფლების კანონიერი ჩამორთმევა ხელისუფლების მქონე პირს აკისრებს კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას, მითუმეტეს უნდა დაეკისროს აღნიშნული ვალდებულება, როდესაც საკუთრების უფლების ჩამორთმევა უკანონოა.⁴⁰⁵ საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევა შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ასევე რეალაქტსაც.⁴⁰⁶

დაუშვებელია ბუნებაში საკუთრების აბსტრაქტული სახით არსებობა და ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც „პირი არის საკუთრების უფლების მატარებელი, თუმცა არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების არსს, რადგან არ არსებობს საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტისაგან დამოუკიდებლად.“⁴⁰⁷ „უფლების არსებობა დამოკიდებულია ნივთის არსებობაზე და ნივთის განადგურება იწვევს უფლების გაუქმებას.“⁴⁰⁸ სწორედ ამიტომ, უკანონო საჯარო სამართლებრივი საქმიანობით ნივთის განადგურება სამართლებრივად შეფასებულია, როგორც საკუთრების უფლების ჩამორთმევა.

სწორედ ზემოხსენებულის გამო „საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორ ჩარევას“ მიიჩნევდნენ გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით

⁴⁰³ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 82, Rn. 215.

⁴⁰⁴ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 800, Rn. 94.

⁴⁰⁵ BGHZ 7, 296; 13, 88; 32, 208; 37, 44 in: Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., C. H. Beck Verlag, 2014, S. 450, Rn. 1133.

⁴⁰⁶ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 896, Rn. 91.

⁴⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება Nბს-367-363(კ-12) საქმეზე.

⁴⁰⁸ შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბ., გამომც. მერიდიანი, 2014, გვ. 52

მოწესრიგებულ და შესაბამისად, კომპენსაციას დაქვემდებარებულ „საკუთრების უფლების ჩამორთმევა“. აღნიშნული შეიცვალა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1981 წლის გადაწყვეტილებით,⁴⁰⁹ რომლითაც დამკვიდრებულ იქნა საკუთრების უფლების ჩამორთმევის ვიწრო ცნება ანუ მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში მოექცა მხოლოდ საკუთრების უფლების კანონიერი ჩამორთმევა.⁴¹⁰ უკანონო ჩამორთმევა კი დაუბრუნდა თავისი წარმომავლობის საწყისებს⁴¹¹ და სამოსამართლო სამართალში მის საფუძვლად მიუთითებენ მსხვერპლად შეწირვის ზოგად იდეას.⁴¹² ასეთ დროს განსაკუთრებული მსხვერპლის არსებობას განაპირობებს თავად საჯარო-სამართლებრივი საქმიანობის უკანონობა.⁴¹³ თუმცა ხაზგასასმელია, რომ განსაკუთრებული მსხვერპლის არსებობისთვის მხოლოდ ფორმალური კანონიერების დარღვევა, საკმარისი არაა, როდესაც საკუთრების უფლებაში ჩარევა გამართლებულია მატერიალურ სამართლებრივი საფუძვლით.⁴¹⁴

გარდა იმისა, რომ საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევას საკუთრების უფლების ჩამორთმევისგან განასხვავებს საჯარო-სამართლებრივი საქმიანობის უკანონობა, ასევე განმასხვავებელია ისიც, რომ პირველი მათგანის შემთხვევაში, ჩარევა არ არის მიზანმიმართული. საკმარისია, რომ მან უშუალოდ ზეგავლენა იქონიოს საკუთრების უფლების შელახვაზე.⁴¹⁵ უშუალობა არ დგინდება მიზეზობრიობის კრიტერიუმით ანუ დროის თვალსაზრისით უკანასკნელი გარემოებით, რომელმაც საკუთრების შელახვა გამოიწვია. უშუალობა დგინდება შეფასებითი შერაცხვიდან გამომდინარე. მისთვის გადამწყვეტი ასპექტია, რომ მოხდა იმ საფრთხის რეალიზება, რომელსაც თავის თავში მოიცავდა საჯარო სამართლებრივი

⁴⁰⁹ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თარგმ. ჩაჩანიძე ე., სამეცნ. რედ. კუბლაშვილი კ., ნინიძე თ., ლოლაძე ბ., ერემაძე ქ., 2011, გვ. 262-274.

⁴¹⁰ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 66, Rn. 164.

⁴¹¹ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 750, Rn. 3.

⁴¹² s. ebda. S. 795, Rn. 88.

⁴¹³ BGH, NJW 2017, 1322, 1324; Deterbeck/Windhorst/Sproll, §17, Rn. 33, Hendler, Rn. 793 in: Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.607, Rn. 42.

⁴¹⁴ vgl. dazu auch BGHZ 58, 124, 127 f. in: Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 801, Rn. 95.

⁴¹⁵ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 86, Rn. 223.

ქმედება და მისთვის დამახასიათებელი იყო. ამავდროულად, შედეგი არ უნდა წარმოადგენდეს უბრალო, შემთხვევით თანმდევ მოვლენას.⁴¹⁶

საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევა არ გამოიყენება იდენტური შინაარსის მქონე ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური დებულებების არსებობის შემთხვევაში. ასეთებს შესაძლოა შევხვდეთ საპოლიციო და მართლწესრიგის სამართალში.⁴¹⁷

იმის გამო, რომ საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევა ითვალისწინებს კომპენსაციის გაცემის ვალდებულებას უკანონო საჯარო-სამართლებრივი ქმედებისთვის, იკვეთება კავშირი სამსახურებრივ პასუხისმგებლობასთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ვალდებულების წარმოშობა ასევე დამოკიდებულია ბრალეულობაზე, განსხვავებით საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევისგან, რომლის დროსაც კომპენსაციის გადახდა ეკისრება ხელისუფლების მქონე პირს ქონებრივი დანაკლისის ბრალის გარეშე დადგომისთვისაც.⁴¹⁸ ბრალეულობის არსებობის დროს, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორივე ინსტიტუტიდან გამომდინარე მოთხოვნების გადაფარვას, რადგან საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევა ასევე აწესრიგებს ბრალეული საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ქონებრივი დანაკლისის კომპენსაციის შემთხვევებს.⁴¹⁹

საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევიდან და სამსახურებრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მოთხოვნების გადაფარვის მოხსნის მიზნით, გამართლებული იქნება უფლების უკანონო და ბრალეული შელახვის შემთხვევაში, წარმოიშვას მხოლოდ სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოთხოვნა, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებს უფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს. მაგალითად, სამსახურებრივი პასუხისმგებლობის დროს წარმოიშობა ვალდებულება

⁴¹⁶ Deterbeck/Windhorst/Sproll, §17, Rn. 31; BGHZ 92, 34, 41 in: Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018, S.602, Rn. 33.

⁴¹⁷ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 89, Rn. 233.

⁴¹⁸ BGHZ 13, 88, 93 ff.; 136, 182, 184.; 146, 365, 371 in: Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 89, Rn. 233.

⁴¹⁹ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 806, Rn. 104.

ზიანის სრული ანაზღაურების სახით, ხოლო საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევის დროს კომპენსაციას ექვემდებარება მხოლოდ ქონებრივი დანაკლისი.⁴²⁰

მართალია, ქართული სამეცნიერო და სასამართლო საქმიანობების ფარგლებში დამკვიდრებული არაა საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევა,⁴²¹ თუმცა ამისთვის საკანონმდებლო მოწესრიგება შესაძლოა დღესაც არსებობდეს, რასაც მივყავართ ისევ სზაკ-ის 209-ე მუხლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ჩანაწერი „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული“ და „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“, არსებობს მოსაზრება ამ საკანონმდებლო ნორმის მოქმედების ფარგლების უკანონო საჯარო-სამართლებრივ ქმედებაზე, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტზე, ასევე მათ აღსასრულებლად განხორციელებულ რეალაქტებზე გავრცელების თაობაზე.⁴²² ამ განმარტების გაზიარების შემთხვევაში, სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იქნება საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევის ცნების ყველა ის ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს ამ ინსტიტუტის არსებობას: ჩარევა საკუთრების უფლებაში, ჩარევის უკანონობა, განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლი და ჩარევის საჯარო-სამართლებრივი ქმედება. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ მოსაზრების გაზიარება საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული ზემოხსენებული ჩანაწერების ვიწრო ინტერპრეტაციის არეალის გამო. ასეთ შემთხვევაში, საკუთრების უფლების ჩამორთმევის თანასწორი ჩარევის ნაწილში, შესაძლოა სადავო გახდეს ნორმის საკუთრების ძირითად უფლებასთან შესაბამისობის საკითხი, რადგან უდავოა აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა.⁴²³

⁴²⁰ s. ebd. S. 807, Rn. 105.

⁴²¹ იზორია ლ., კორკელია ვ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2005, გვ. 159.

⁴²² ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, 2002, გვ. 367; იხ. ასევე ადეიშვილი ზ., ვარდიამვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2005, გვ. 346.

⁴²³ Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017, S. 795, Rn. 88.

7.3. შუალედური შეფასება

საკუთრების უფლებაში ჩარევამ შესაძლოა წარმოშვას ხელისუფლების მქონე პირის ვალდებულება შესაბამისი სუბიექტისთვის კომპენსაციის გადახდის თაობაზე. ჩარევის დროს ილახება პირის საკუთრების უფლება ისე, რომ ადგილი აქვს განსაკუთრებულ ქონებრივ მსხვერპლს (ოთხივე ვარიანტისას). გამოყოფენ საკუთრების უფლების შელახვის შემთხვევების ოთხ ჯგუფს: ა). საკუთრების უფლების (პირდაპირი) ჩამორთმევა, ბ). საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევა, გ). საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების არათანაზომიერი განსაზღვრა და დ). საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევა. ოთხივე მათგანს ახასიათებს ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნები.

ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს კომპენსაციის გადახდა ა) საკუთრების უფლების (პირდაპირი) ჩამორთმევის გამო და ბ) საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების არათანაზომიერი განსაზღვრის გამო.⁴²⁴ მათი ერთმანეთისგან განსხვავება, პირველ რიგში, ხდება არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების გათვალისწინებით, რაც შეიძლება ფორმალური კრიტერიუმის სახელითაც მოვიხსენიოთ. როგორც აღინიშნა, დამკვიდრებულია საკუთრების უფლების ჩამორთმევის ვიწრო ცნება ანუ საკუთრების უფლების ჩამორთმევის შემთხვევები ამომწურავად არის კანონით გათვალისწინებული. შესაბამისად, ადგილი, რომ ჰქონდეს საკუთრების უფლების ჩამორთმევას, შემთხვევა ასეთად „აღიარებული“ უნდა იყოს საკანონმდებლო ნორმით.

საკუთრების უფლების ჩამორთმევისგან საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის გასამიჯნად გამოიყენებენ ასევე შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ჩარევის გავრცელების ხასიათი: არის ჩარევა ინდივიდუალურ-კონკრეტული თუ გენერალურ-აბსტრაქტული?

ბ) ჩარევის მოტივი: ჩარევა გამომდინარეობს საერთო კეთილდღეობის მიღწევის მიზნიდან თუ მხოლოდ საჯარო ინტერესიდან?

ბ) ჩარევის მოქმედება დროში: ჩარევა შეეხება უკვე არსებულ უფლებას თუ აყალიბებს მას მომავლისთვის?

⁴²⁴ იზორია ლ., კორკელია ვ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2005, გვ. 154.

როდესაც საქმე გვაქვს ამ კრიტერიუმებიდან პირველ შემთხვევასთან, მაშინ ადგილი აქვს საკუთრების უფლების ჩამორთმევას, ხოლო მეორის დროს საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრასთან.⁴²⁵

საკუთრების უფლების (პირდაპირი) ჩამორთმევისა და საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის გამიჯვნის კრიტერიუმად გამოდგება ასევე ჩარევის ბუნება, რაც შეგვიძლია მოვიხსენიოთ გამიჯვნის მატერიალურ კრიტერიუმად. საკუთრების უფლების ჩამორთმევის დროს ქონების განკარგვის უფლება გადადის კერძო პირიდან ხელისუფლების მქონე სუბიექტზე. ამის საპირისპიროდ, თუ მოხდა საკუთრების უფლებაში ჩარევა ქონების განკარგვის უფლების გარეშე, მაშინ საქმე ეხება საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას. ასეთ დროს, ჩარევა შესაძლოა ადგენდეს ქონებით სარგებლობის უფლების „გამოყენების“ წესს. შესაბამისად, ზემოხსენებული ორი ინსტიტუტის ერთმანეთისგან განსხვავების მიზნით, გამიჯვნის მატერიალური კრიტერიუმის მიხედვით, დასადგენია ჩარევამ გამოიწვია თუ არა ქონების განკარგვის უფლების გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე.

საკუთრების უფლების (პირდაპირი) ჩამორთმევა განსხვავდება ასევე საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევისგან. პირველი მათგანის შემთხვევაში, თავად საჯარო-სამართლებრივი საქმიანობა (ანუ საქმიანობის შინაარსში არსებული სამართლებრივი მოწესრიგება) იწვევს საკუთრების უფლების შელახვას, ხოლო მეორის დროს, ამ საქმიანობის გვერდითი და მოულოდნელი შედეგი.

საკუთრების უფლების (პირდაპირი) ჩამორთმევა განსხვავდება ასევე საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევისგან. პირველის შემთხვევაში, ჩამორთმევა არის კანონიერი (ვიწრო ცნება საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლის მე-3 პუნქტის თვალსაზრისით), ხოლო მეორის დროს, საკუთრების უფლებაში ჩარევა უკანონოა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრა და საკუთრების უფლების ირიბი შეზღუდვა. პირველის

⁴²⁵ Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013, S. 72, Rn. 183 und 184.

შემთხვევაში, პირისთვის განსაკუთრებული ქონებრივი ტვირთის დაკისრება უშუალოდ ჩარევის პირდაპირი შედეგია (მიზანმიმართული, განზრახული), ხოლო მეორის დროს - უშუალოდ ჩარევის გვერდითი, ფაქტობრივი შედეგი (არამიზანმიმართული, მოულოდნელი).

საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრა განსხვავდება საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევისგან. პირველი მათგანი კომპენსაციას ითვალისწინებს კანონიერი საქმიანობით წარმოშობილი შედეგის გამო, ხოლო მეორე უკანონო საქმიანობით.

იგივე ასპექტით განსხვავდებიან ასევე საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევა და საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევა. პირველი უკავშირდება კანონიერი საქმიანობით საკუთრების უფლების შელახვას, მეორე კი - უკანონო საქმიანობით.

ქართული საკანონმდებლო ბაზა ცალსახად, უდავოდ ითვალისწინებს კომპენსაციის გაცემის ვალდებულებას საკუთრების უფლების (პირდაპირი) ჩამორთმევისა (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი) და საკუთრების უფლებაში ირიბი ჩარევის (სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი) გამო. ამასთან, სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი შესაძლოა აწესრიგებდეს საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების არათანაზომიერი განსაზღვრისა და საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევის შემთხვევებსაც. ამ ინსტიტუტებსაც ისევე უდევთ საფუძვლად ე.წ. განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლის გამო კომპენსაციის გაცემის იდეა, როგორც საკუთრების უფლებაში ირიბ ჩარევას, რომელზედაც უდავოდ ვრცელდება სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამავდროულად, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების არათანაზომიერი განსაზღვრის ინსტიტუტის ხსენებული ნორმით მოწესრიგების დამადასტურებელი სამართლებრივი არგუმენტები შედარებით მეტად მყარია, ვიდრე საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების არათანაზომიერი განსაზღვრის შემთხვევებისთვის.

თავი 8. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა⁴²⁶

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. ⁴²⁷ აღნიშნული წარმოადგენს საპროცესო უფლებას და მიიჩნევა საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად, რომელზეც დამოკიდებულია მატერიალური სამართლის განხორციელება. ⁴²⁸ იგი თითოეულ ადამიანს ანიჭებს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას, თუ მიაჩნიათ, რომ ადგილი ჰქონდა ან აქვს მათი უფლებების დარღვევა. ⁴²⁹ „ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუ კი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არამხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლების უგულებელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)“. ⁴³⁰

სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ასევე ვრცელდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, რომლის დაცვის სამართლებრივი საშუალებებიც ხასიათდება ხარვეზებით. კერძოდ, განსახილველია, ადმინისტრაციული სამართალწარმოების მსგავსად, იცავს თუ არა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოებით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის მექანიზმები დაზარალებულის უფლებებს, იმ შემთხვევებში, როდესაც პირს ზიანი ადგება ადმინისტრაციული

⁴²⁶ ნაშრომის წინამდებარე თავში ასახული ნაწილი გამოქვეყნებულია სტატიის სახით, შერმადინი ს., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, 2019, N2, გვ. 72-96.

⁴²⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 31, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴²⁸ იზორია ლ., კორკელია კ. და სხვა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომც. მერიდიანი, 2005, გვ. 363-364.

⁴²⁹ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., გამომც. ჯისიაი, 2003, გვ. 336.

⁴³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე № 1/466, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II, პუნქტი 14, www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments, [11.03.2019].

ორგანოს მიერ საჯარო მმართველობითი ღონისძიების განხორციელებისგან უკანონოდ თავის შეკავებით (მაგალითად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობით ან რეალაქტის არ განხორციელებით ზიანის მიყენების დროს).

საკანონმდებლო ხარვეზების გარდა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვას ართულებს ისიც, რომ განსაზღვრული არ არის მისი დაცვის საშუალების გამოყენების თანმიმდევრობა (სტადიები). უფრო მეტიც, დადგენილი არაა, ამ თანმიმდევრობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.

წინამდებარე თავში, საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენის მიზნით, განხილულია საკვლევ საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოწესრიგება; ასევე ის თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უფლების დაცვის საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობის დასადგენად წარმოშობილი ზიანის სახეობას, მისი გამომწვევი საქმიანობის ხასიათსა და ამ უკანასკნელის სამართლებრივ ფორმასაც; მსჯელობა ასევე იქნება, სასამართლოსთვის პირდაპირ მავალელები სარჩელით მიმართვის ნაცვლად, დაზარალებულის უფლებების განვრცობითი აღიარებითი სარჩელით დაცვის შესაძლებლობაზე და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში კერძო სამართლის ისეთი ინსტიტუტების გამოყენებაზე, როგორებიცაა ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება და ვალის არსებობის აღიარება.

ზემოხსენებულ საკითხებზე სამართლებრივი ანალიზის შედეგების თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით, წინამდებარე თავში მოყვანილია სქემა, რომლითაც განსაზღვრული ინება როგორც ის, თუ რა შემთხვევაში, რომელი საშუალება უნდა გამოიყენოს დაზარალებულმა უფლების დასაცავად, ასევე მათი გამოყენების თანმიმდევრობა (სტადიები).

თავდაპირველად უნდა განვიხილოთ საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ადმინისტრაციული სამართლის სფეროში.

8.1. ზიანის წარმომშობი საქმიანობა ადმინისტრაციული სამართლის სფეროში

„სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. აღნიშნულ პრინციპში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული მიდგომა, რომლის შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლება უნდა განხორციელდეს ერთმანეთის დამაბალანსებელი, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედი სხვადასხვა შტოს მიერ. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებად. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საქართველოს მთავრობა, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები, საიდანაც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ზიანი, ზოგად შემთხვევებში, წარმოიშვება აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობის, ხოლო სპეციალურ შემთხვევებში — სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობის შედეგად, რაც გათვალისწინებულია, მაგალითად, სსკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილში.

8.1.1. ზიანის წარმომშობი ზოგადი ხასიათის საქმიანობა

ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ზიანის წარმომშობი ზოგადი ხასიათის საქმიანობად შეგვიძლია, მივიჩნიოთ ადმინისტრაციული ორგანოების,⁴³¹ ანუ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირების საქმიანობა. ამგვარი უფლებამოსილების განხორციელებაში მოიაზრება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ის მმართველობითი საქმიანობა, რომელიც არ წარმოადგენს მართლმსაჯულებას, კანონშემოქმედებას, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასა

⁴³¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ა, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

და საეკლესიო საქმიანობას,⁴³² დანარჩენ საქმიანობას კი ეწოდება საჯარო მმართველობა, მატერიალური გაგებით.⁴³³ აქედან გამომდინარე, სამართლის სუბიექტების მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას შეგვიძლია, ვუწოდოთ საჯარო მმართველობა მატერიალური გაგებით.

სამართლის სუბიექტებისთვის ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსის მინიჭების ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ამ პირის მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება.⁴³⁴ აქედან გამომდინარე, სწორედ ასეთი საქმიანობით წარმოშობილი ზარალი უნდა იქნეს მიჩნეული ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ზოგადი ხასიათის საქმიანობით წარმოქმნილ ზიანად. ასეთი სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.“⁴³⁵ აღნიშნული დებულების დანიშნულებაა როგორც მატერიალური, ისევე საპროცესო კონსტიტუციური გარანტიების შექმნა. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელს დატოვებული აქვს მოქმედების ვიწრო არეალი, რაც, უმთავრესად, გამოიხატება პროცედურული საკითხების მოწესრიგებაში.⁴³⁶ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში სახელმწიფოს მიერ ზოგადი ხასიათის საქმიანობით წარმოშობილი ზიანის შემთხვევად შეგვიძლია, მივიჩნიოთ შემდეგი მაგალითი: ქ. თბილისის მერიამ ქუჩის შეკეთების მიზნით აკრძალა მოძრაობა, რის გამოც შეუძლებელი გახდა ამ ქუჩაზე მდებარე მაღაზიებთან

⁴³² ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოც., თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 24.

⁴³³ ადეიშვილი ზ., ვარდიამვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2005, გვ. 53-54.

⁴³⁴ ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, გვ. 32-33.

⁴³⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 18, პუნქტი 4, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴³⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/423, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II, პუნქტი 2, <www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>, [11.03.2019].

მომხმარებელთა მისვლა, რამაც მაღაზიის მესაკუთრეს მიაყენა ზიანი, რომელიც მას უნდა აუნაზღაურდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში — სზაკ) 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამ მაგალითში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ზოგადი ხასიათის საქმიანობას და ამ საქმიანობით წარმოშობილი ზიანიც უნდა მივიჩნიოთ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში სახელმწიფოს მიერ ზოგადი ხასიათის საქმიანობით წარმოშობილ ზიანად.

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის გარანტიებს ქმნის გერმანიის ძირითადი კანონი, რომლის თანახმად, თუ პირი მასზე დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას, მის საჯარო ვალდებულებას დაარღვევს მესამე პირის მიმართ, პასუხისმგებლობა ძირითადად უნდა დაეკისროს სახელმწიფოს ან მის დამსაქმებელ ორგანოს.⁴³⁷

8.1.2. ზიანის წარმოშობი სპეციალური ხასიათის საქმიანობა

„უკანონოდ თავისუფლებაზეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.“⁴³⁸ ამ უკანასკნელი დებულების ცალკე აღნიშვნა და გამოყოფა ზოგადი სამართლებრივი რეგულირებიდან, განპირობებული უნდა იყოს თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპითა და უზენაესი ღირებულებით, როგორცაა ადამიანის თავისუფლება.⁴³⁹ ხაზგასასმელია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი მჭიდროდ უკავშირდება 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს, რის საშუალებითაც ისინი ავსებენ ერთმანეთს და კომბინირებულად ქმნიან კონსტიტუციურ გარანტიებს (საქართველოს კონსტიტუციის ადრე მოქმედი რედაქცია). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული გამოიხატება უკანონოდ დაკავებული

⁴³⁷ Article 34, Basic Law for the Federal Republic of Germany, <www.bundestag.de/en/documents/legal>, [11.03.2019].

⁴³⁸ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 13, პუნქტი 6, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴³⁹ იზორია ლ., კორკელია კ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომც. მერიდიანი, 2005, გვ. 96.

ან დაპატიმრებული პირის სამართლებრივი დაცვის საშუალებებსა და კომპენსაციის მასშტაბში.⁴⁴⁰

ადმინისტრაციული სამართლის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური ხასიათის საქმიანობის შედეგად დამდგარი ზიანი უნდა გაიმიჯნოს ზოგადი ხასიათის საქმიანობით წარმოშობილი ზიანისაგან. სპეციალური ხასიათის საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს, ამ საქმიანობის განხორციელების პროცესში, არ აქვთ „ადმინისტრაციული ორგანოს“ სტატუსი. ამ უკანასკნელის სტატუსის არქონამ კი შესაძლოა, გავლენა მოახდინოს დაზარალებული პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების „სწორად“ გამოყენებაზე. ადმინისტრაციული სამართლის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური ხასიათის საქმიანობით წარმოშობილ ზიანად შეგვიძლია, მივიჩნიოთ პირის უკანონო მსჯავრდება. პირისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდებისას, საქალაქო (რაიონული) სასამართლო ახორციელებს არა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და სარგებლობს „ადმინისტრაციული ორგანოს“⁴⁴¹ სტატუსით, არამედ — მართლმსაჯულებას. აქედან გამომდინარე, მის მიერ განხორციელებული საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების არა ზოგად, არამედ — სპეციალური ხასიათის საქმიანობას.

8.2. ზიანის ანაზღაურებისას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა და მოთხოვნის სახეები

ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია საქმიანობის საჯარო და კერძო სამართლებრივი ფორმები.⁴⁴² ვინაიდან წინამდებარე თავი შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვას ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კერძოსამართლებრივ ფორმები არ არის განვრცობილი. მით უმეტეს იმ პირობებში, რომ „ადმინისტრაციული ორგანოები კერძო სამართლებრივ

⁴⁴⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/423, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II, პუნქტი 5, <www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>, [11.03.2019].

⁴⁴¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 3, ნაწილი 2, ქვეპუნქტი დ, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁴² ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოც., თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 124.

ურთიერთობებში მოქმედებენ, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტები.⁴⁴³ შესაბამისად, ასეთი ურთიერთობებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება ექცევა სამოქალაქო სამართლის სფეროში და მისი მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმებიც განსაზღვრულია კერძო სამართალში, მათზე მსჯელობა კი სცილდება წინამდებარე თავის მიზნებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ საჯაროსამართლებრივი ფორმებიდან ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია ოთხი ფორმა:

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- ადმინისტრაციული ხელშეკრულება;
- რეალაქტი.⁴⁴⁴

უშუალოდ ზიანი შესაძლოა წარმოშვას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ნებისმიერმა საჯარო სამართლებრივმა ფორმამ: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა, ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა, ადმინისტრაციულმა ხელშეკრულებამ და რეალაქტმაც. აქედან გამომდინარე, განსხვავებული იქნება ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ პირს დაიცვას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ასეთ მექანიზმებად უნდა იქნეს მიჩნეული ადმინისტრაციული საჩივარი და სარჩელი, ასევე განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და უფლების რეალიზების საშუალება.

თავის მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას — რეალაქტს.⁴⁴⁵ არ

⁴⁴³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 65¹, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁴⁴ იხ. ვრცლად ნაშრომში ადგიშვილი ზ., ვარდაიშვილი ქ., იზორია ლ., და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2005, გვ. 102-105.

⁴⁴⁵ უკანონოდ მიღებული სახელმწიფო გასაცემლის — პენსიის ბიუჯეტში დაბრუნების დავალების მიზნით (რაც სამართალურთიერთობის შინაარსის თვალსაზრისით, წარმოადგენს ზიანის ანაზღაურებას) ადმინისტრაციული ორგანო იყენებს სასკ-ის 24-ე მუხლს, ანუ რეალაქტის განხორციელების დავალებასთან დაკავშირებულ ნორმას. მხარეების ადგილმონაცვლეობა კი ვერ შეცვლის, მათ შორის, არსებული სამართალურთიერთობის ბუნებას, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებაც უნდა მოხდეს 24-ე მუხლის გამოყენებით. ვრცლად იხ.

არსებობს ამ უკანასკნელის საკანონმდებლო უნიფიცირებული განმარტება, მაგრამ იგი ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურასა და საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში.⁴⁴⁶ რეალაქტი არის საჯარო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტის ისეთი საქმიანობა, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი შედეგის გამოწვევისკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისკენ. მაგალითად, ნაღდი ფულის გადახდა.⁴⁴⁷ იმას, რომ ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს რეალაქტს — მავალეხელი სარჩელის ობიექტს, ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც, სადაც საკასაციო სასამართლოს განმარტებით: „თ. კ-მა . . . წარადგინა სარჩელი და ერთდროულად მოითხოვა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის შემნახველი ბანკის ... სამტრედიის ფილიალში ანაზღაურების შეტანის აღიარება, ასევე შესაბამისი თანხის ანაზღაურების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის დაკისრება, ანუ მან ერთი და იმავე სარჩელით დააყენა აღიარებითი და მავალდებულებელი (მიკუთვნებითი) სარჩელებისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები.“⁴⁴⁸ ამ სამართლებრივი გარემოების ცოდნა კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პირის უფლების დაცვა პირდაპირაა დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორად განსაზღვრასთან. იმ შემთხვევაში, თუ პირი ვერ განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმას, მაშინ იგი შეცდომას დაუშვებს უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმის შერჩევაში. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმასა და უფლების დაცვის მექანიზმს შორის ზუსტად ისეთივე მიმართებაა, როგორც საკეტსა და გასაღებს შორის. საკეტი რომ გაიხსნას, პირმა გამოსაყენებლად უნდა შეარჩოს ის გასაღები, რომელიც ამ საკეტს შეესაბამება. ანალოგიურად, უფლების დაცვისთვის პირმა უნდა შეარჩოს ის მექანიზმი, რომელიც მას საშუალებას მისცემს დაიცვას უფლება, ხოლო შერჩევის კრიტერიუმი არის ადმინისტრაციული ორგანოს

კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 287-289.

⁴⁴⁶ კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 285-286.

⁴⁴⁷ Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12 Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2014, §15, Rn. 885, 331; Ossenhül F., Cornilis M., Staatshaftungsrecht, 6 Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013, §7, Rn. 280, s. 126.

⁴⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-827-793(კ-06).

საქმიანობის ფორმა, რომელიც განახორციელა ადმინისტრაციულმა ორგანომ ან პირი ითხოვს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელოს.

„თუ ამ კოდექსით (სზაკ-ით) სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.“⁴⁴⁹ ზიანის წარმოშობისას, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი ანაზღაურების საშუალებებს. კერძოდ, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.“⁴⁵⁰ ხოლო იმ შემთხვევაში, „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ან ამისთვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯი, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.“⁴⁵¹ ზიანის ანაზღაურების საშუალებების გამოყენებისას არჩევანი დამოკიდებულია დაზარალებულზე, თუმცა საკითხს — რა ფორმით დაეკისრება დამრღვევს ზიანის ანაზღაურება, წყვეტს სასამართლო, რომელიც ვალდებულია შეეცადოს, უპირველეს ყოვლისა, ზიანის ასანაზღაურებლად გამოიყენოს ნატურით რესტიტუციის ფორმა, იქნება ეს ნივთის შეცვლა, თუ მისი შეკეთება. მხოლოდ იმ ორ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი იქნება ნატურით რესტიტუცია ან ეს უკანასკნელი არათანაზომიერად დიდ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, შეეძლება ზიანის ანაზღაურების საშუალებად გამოიყენოს დამრღვევისთვის ფულადი ანაზღაურების დაკისრება.⁴⁵² ზიანის წარმოშობის შემთხვევაში, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ითხოვს ადმინისტრაციული კანონმდებლობაც. კერძოდ, იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობის შემთხვევაში, რომლითაც რაიმე სიკეთე მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ, ეს უკანასკნელი ვალდებულია იგი უკან დააბრუნოს.⁴⁵³

⁴⁴⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 207, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.]..

⁴⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 408, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.]..

⁴⁵¹ იქვე, მუხლი 409.

⁴⁵² ვრცლად ნაშრომში ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. სამართალი, 2001, გვ. 452-453, გვ. 455-457.

⁴⁵³ ადგიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იხოროია ლ., და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2005, გვ. 353.

8.3. განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლების რეალიზება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „განცხადება არის უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა.“⁴⁵⁴ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ტერმინის - „განცხადების“, საკანონმდებლო დონეზე განმარტება განპირობებულია იმით, რომ დამატებით ყურადღება გამახვილებულიყო პირის უფლებაზე, მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოსგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ამ საშუალებით მიაღწიოს საკუთარი უფლების დაცვას, მის მოპოვებას ან დადასტურებას.⁴⁵⁵ მართალია, უშუალოდ ტერმინიდან გამომდინარე განცხადება უნდა შეეხებოდეს ინდივიდუალური აქტის გამოცემას, მაგრამ მისი განმარტების მიზნის გათვალისწინებით, შეგვიძლია, გავაფართოვოთ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის იმ ფორმების წრე, რომელთაც ტერმინი - განცხადება, მოიცავს. ამ ფორმებში კი მოვიაზროთ რეალაქტიც, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პირის უფლებები.

ზოგადად, მოთხოვნაში მოიაზრება პირის პრეტენზია სხვა პირისგან მოქმედების შესრულებაზე ან მოქმედებისგან თავის შეკავებაზე. იგი ყოველთვის მიმართულია კონკრეტული პირისა და კონკრეტული მოქმედების შესრულებისკენ ან მისი განხორციელებისგან თავის შეკავებისკენ.⁴⁵⁶ აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დაზარალებულის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საშუალებას და ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ დაზარალებულის მიერ პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამას გარდა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემაფერხებელი გარემოების შემთხვევაში,

⁴⁵⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი თ, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁵⁵ ადგიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, გვ. 40.

⁴⁵⁶ ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში, თბ., 2015, გვ. 20-21.

განცხადება შესაძლოა, გამოყენებული იქნას, როგორც ზიანის ანაზღაურების უფლების რეალიზების საშუალება.

8.3.1. განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საშუალება

განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საშუალების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს დასრულებული ზიანი, ანუ ისეთი ზიანი, რომლის ოდენობაც, დროის გასვლის მიუხედავად, უცვლელია, რადგან კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის მოქმედება დასრულებულია, რის გამოც, დგება საბოლოო შედეგი. ასეთ დროს დაზარალებულს ეკარგება ინტერესი ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის წარმომშობი საქმიანობის წინააღმდეგ დავის მიმართ, რადგან საქმიანობით უკვე დადგა სამართლებრივი შედეგი და მის პირველად ინტერესს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება.⁴⁵⁷ ამ შემთხვევის საწინააღმდეგოდ, განგრძობადი ზიანის არსებობისას, დაზარალებულმა უნდა გამოიყენოს უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, უფლების დროებითი დაცვის საშუალებების ჩათვლით. ზიანს განგრძობითი ხასიათი აქვს მაშინ, როდესაც დროის გასვლასთან ერთად ზიანის ოდენობა იცვლება, რადგან კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმა განაგრძობს მოქმედებას, რის გამოც საბოლოო შედეგი ჯერ არ დამდგარა.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს წარმოადგენენ ადმინისტრაციული საჩივარი და სარჩელი. აქ, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უფლებას დაცვა სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დაირღვევა. ზიანის ანაზღაურების უფლება კი დაირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ანუ მოქმედების განხორციელების შესახებ განცხადებით და ეს

⁴⁵⁷ კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 320.

უკანასკნელი არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ, დაზარალებულს შეუძლია, გამოიყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.

ადმინისტრაციული ორგანოს მსგავსად, სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს ამ უკანასკნელისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წერილობითი მიმართვა. თუმცა, ასეთი მიმართვის არარსებობის შემთხვევაშიც, დაზარალებულს საშუალება ექნება, საკუთარი უფლებები დაიცვას სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მხრიდან ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციული სარჩელის სასამართლოში შეტანის გზით.

8.3.2. განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების უფლების რეალიზების სამართლებრივი საშუალება

განცხადება, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საშუალება უნდა განვასხვავოთ განცხადებისგან, როგორც ზიანის ანაზღაურების უფლების რეალიზების მექანიზმი. განსხვავების კრიტერიუმად შეგვიძლია ავიღოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემაფერხებელი გარემოების არსებობა. ასეთ გარემოებას წარმოადგენს მოთხოვნის ხანდაზმულობა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.“⁴⁵⁸ ხანდაზმულობა უნდა მივიჩნიოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემაფერხებელ გარემოებად იმდენად, რამდენადაც იგი განსაზღვრავს დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც დაზარალებულს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საშუალება. ამ პერიოდის განმავლობაში ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე გავლენას ვერ უნდა ახდენდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი უფლების არსებობაზე, რადგან ამ უკანასკნელის

⁴⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1008, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

არსებობა დამოკიდებულია სსკ-ის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების კუმულატიურად არსებობაზე. ისინი კი, ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადისგან, დამოუკიდებლად არსებობენ. აქედან გამომდინარე, მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაშიც, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი უფლება, მაინც არსებობს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულს, ასეთ შემთხვევაში, არ აქვს შესაძლებლობა, იძულების წესით დაიცვას საკუთარი უფლება და ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ამ უფლების მიუხედავად, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს შეუძლია, გამოიჩინოს ნება ხანდაზმული მოთხოვნის შესრულებასა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.⁴⁵⁹ ეს გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, კერძოდ, „ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.“⁴⁶⁰

ზიანის ანაზღაურების შესახებ ხანდაზმული მოთხოვნის საკითხის გადაწყვეტისას ყურადღება ექცევა ადმინისტრაციული ორგანოს ნების ავტონომიის ფარგლებს. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან განსხვავებით, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, ადმინისტრაციულ ორგანოს კანონით ზუსტად განსაზღვრული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. ის კანონიერების პრინციპისა და საჯარო ინტერესების დაცვით არის შებოჭილი და გამორიცხულია მის მიერ კერძო სამართლით გათვალისწინებული ნების ავტონომიის პრინციპის გამოყენება, რაც განაპირობებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირებისთვის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის შემოღებას.⁴⁶¹ ადმინისტრაციული ორგანოებისგან განსხვავებით, როდესაც სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურეა პასუხისმგებელი

⁴⁵⁹ ახვლედიანი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 1999, მუხლი 144, გვ. 337.

⁴⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 144, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁶¹ ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008, გვ. 33-34.

ზიანის ანაზღაურებაზე, მისთვის დასაშვები იქნება კერძო სამართლით გათვალისწინებული ნების ავტონომიურობის პრინციპის გამოყენება, რასაც განაპირობებს ის სამართლებრივი გარემოება, რომ სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოადგენს.

ადმინისტრაციული ორგანო რადგან უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურების შესახებ ხანდაზმული მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადოს, ვარაუდის სახით შეძლება ითქვას, რომ ასეთი მოთხოვნის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება — განახორციელოს მოქმედება და აანაზღაუროს ზიანი ან თავი შეიკავოს მისგან. ამ მსჯელობაში ხაზგასასმელია ის, რომ კანონმდებლობა ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესს, რომლის დარღვევაც განაპირობებს არა მიზანშეუწონელი, არამედ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას. ვინაიდან სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოადგენს, იგი ვერ განახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ტერმინის იმ გაგებით, რაც მოცემულია სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით. თუმცა მას შეეძლება კერძო სამართლით გათვალისწინებული ნების ავტონომიის პრინციპის გამოყენება, რაც თავისი შინაარსით ფაქტობრივად შეუზღუდავი ფარგლების მქონე დისკრეციას ნიშნავს.

ცალკე უნდა აღინიშნოს შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო თვითონ, საკუთარი ნებით აღიარებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევა, როდესაც დაზარალებულმა ზიანის მიმყენებელ ადმინისტრაციულ ორგანოს რამდენჯერმე მიმართა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ განცხადება ორჯერ დააკმაყოფილა. აღნიშნული გარემოება, საკასაციო სასამართლოს მიერ, სსკ-ის 341-ე მუხლის საფუძველზე, შეფასდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებად.⁴⁶² ხოლო, რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ

⁴⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-1116-1067(კ-07), ნაშრომში: *ნაჭყებია ა.*, ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2015, გვ. 101-102.

უნდა ჩაითვალოს ხანდაზმულად, მიუხედავად სარჩელის არაგანსჯად სასამართლოში წარდგენისა, რადგან დაზარალებულ პირს, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი სუბიექტის მიერ, არასწორად განემარტა გასაჩივრების წესი.⁴⁶³ ამის გათვალისწინებით, სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია პირის უფლების დაცვის შეზღუდვა.

8.4. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება

„ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.“⁴⁶⁴ ადმინისტრაციულ საჩივარს გააჩნია სამი დანიშნულება:

- მომჩივნის უფლებების დაცვა;
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ თვითკონტროლის განხორციელება;
- ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებისგან სასამართლოს განტვირთვა.⁴⁶⁵

ადმინისტრაციულ სარჩელთან მიმართებით ადმინისტრაციულ საჩივარს გააჩნია ის უპირატესობა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოებისას, მოწმდება ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არამხოლოდ კანონიერება, არამედ მიზანშეწონილობაც.⁴⁶⁶

⁴⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № 3გ/ად-329-კ-02, წიგნში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, თბ., 2015, გვ. 54.

⁴⁶⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ი, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁶⁵ ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2005, გვ. 299.

⁴⁶⁶ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოც., თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 238-239.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის წინააღმდეგ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენას და საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურისათვის ზიანის ანაზღაურების უფლებამოსილების დაკისრებას. ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტიდან გამომდინარე დავებზე.⁴⁶⁷ მათთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის საშუალებად გამოიყენება ადმინისტრაციული სარჩელი, რაზეც შემდგომ თავში იქნება განვრცობილი.

„დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.“⁴⁶⁸ ტერმინ - ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, მოიაზრება როგორც ინდივიდუალური, ასევე ნორმატიული ხასიათის აქტები.⁴⁶⁹ სზაკ-ის თავდაპირველი რედაქციით არ დაიშვებოდა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა.⁴⁷⁰ მხოლოდ 2005 წლის 24 ივნისის განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, როდესაც ტერმინი — ადმინისტრაციული აქტი, შეიცვალა ტერმინით — ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ნათელი გახდა, რომ არსებობდა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, ანაზღაურებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ გამოიწვია ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა. შესაბამისად,

⁴⁶⁷ იხ. იქვე, გვ. 244.

⁴⁶⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 177, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁶⁹ ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, გვ. 36.

⁴⁷⁰ იქვე, გვ. 223.

გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ ის მიდგომა, რომ ასეთი შემთხვევებისას არ უნდა ხდებოდეს პასუხისმგებლობის ფართო ინტერპრეტაცია.⁴⁷¹

ამას გარდა, „ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით“⁴⁷², რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ობიექტი შესაძლოა, იყოს ადმინისტრაციული რეალაქტი.⁴⁷³ ამის მიუხედავად, გავრცელებულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია, ერთჯერადი გასაჩივრების გარეშე, რეალაქტის განხორციელების მოთხოვნით სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი უარის არსებობის შემთხვევაში, უარის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში - ნებისმიერ დროს.⁴⁷⁴

უფლების დაცვის საშუალების - ადმინისტრაციული საჩივრის გამოყენება დამოკიდებულია ორ სამართლებრივ გარემოებაზე: ა) ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობით გამოწვეული ზიანის სახეობასა და ბ) მისი საქმიანობის ფორმაზე. როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობით შესაძლოა, წარმოიშვას ორი სახეობის ზიანი: ა) დასრულებული და ბ) განგრძობადი. დასრულებული ზიანის შემთხვევაში, ზიანის ოდენობა არის უცვლელი, ხოლო განგრძობადისას — ცვალებადი. განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით.

⁴⁷¹ ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. დიოგენე, 2005, გვ. 21.

⁴⁷² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 177, ნაწილი 3, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁷³ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოც., თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 244.

⁴⁷⁴ ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008 წაშრომში: კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 41 და გვ. 290.

8.4.1. განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

8.4.1.1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

განგრძობადი ზიანის თავისებურებიდან გამომდინარე, დაზარალებულს აქვს იმის ინტერესი, რომ შეჩერდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, რათა აღარ გაიზარდოს ზიანის ოდენობა და აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა. შესაბამისად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, მან უნდა მოითხოვოს ზიანის წარმომშობი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის წარმომშობილი ზიანის ანაზღაურების დავალება. ხოლო ზიანის ოდენობის ზრდის გამორიცხვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების დაცვის დროებით მექანიზმს ე. წ. სუსპენზიურ ეფექტს. კერძოდ, „თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.“⁴⁷⁵ მართალია, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერებისთვის საქართველოს კანონმდებლობა ითხოვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, მაგრამ აღნიშნული მოთხოვნა არაა სავალდებულო ხასიათის და მისი გამოუცემლობის შემთხვევაშიც გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციით. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს. მაგალითად, როდესაც სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემმა ან საჩივრის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიიღოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ. ასეთი სახის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

⁴⁷⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, მუხლი 184, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

მიღება სავალდებულოა. დაინტერესებულ პირს, მათ შორის, მომჩივანს, უფლება აქვს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს გადაწყვეტილება, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების, ისევე გაგრძელების შესახებ.⁴⁷⁶

ზემოთ მითითებული მექანიზმი იცავს დაზარალებულს ზიანის ოდენობის შემდგომი გაზრდისგან. რაც შეეხება უკვე წარმოშობილ ზიანს, დაზარალებულმა უნდა მოითხოვოს მისი ანაზღაურება. განგრძობადი ზიანის არსებობის შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნისათვის სავალდებულო არაა დაზარალებულის მიერ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართვა და ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების არსებობა. ასეთი მიდგომის უმთავრეს არგუმენტებს წარმოადგენს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ეკონომიურობისა და გადასაწყვეტი საკითხისადმი არაფორმალური დამოკიდებულების პრინციპი. ამ უკანასკნელში მოიაზრება ის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა ჰქონდეს ზედმეტად ფორმალური დამოკიდებულება გადასაწყვეტი საკითხისადმი. არაფორმალურობის პრინციპი ეკონომიურობისგან განსხვავდება იმით, რომ ამ უკანასკნელის გათვალისწინებისას საკითხის გადამწყვეტი სუბიექტი არასაჭირო ხარჯებისა და დავის განხილვის ვადების შემცირებას ახდენს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნის დაცვით. ამის საწინააღმდეგოდ, არაფორმალურობის პრინციპი აღწევს იმავე მიზანს, თუმცა კანონმდებლობის პროცედურულ მოთხოვნათა არაარსებითი დარღვევით, ანუ აღნიშნულ პრინციპში იგულისხმება, რომ საკითხის გადამწყვეტ სუბიექტს არ ჰქონდეს ზედმეტად ფორმალური დამოკიდებულება საკითხისადმი.

⁴⁷⁶ ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, გვ. 336-337.

8.4.1.2. რეალაქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

რეალაქტით გამოწვეული განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვისას ასევე აქვს იმის ინტერესი, რომ შეჩერდეს რეალაქტის განხორციელება, რათა აღარ გაიზარდოს ზიანის ოდენობა და აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა. შესაბამისად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, მან უნდა მოითხოვოს ზიანის წარმომშობი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება და ადმინისტრაციული ორგანოსთვის წარმომშობილი ზიანის ანაზღაურების დავალება. ამ შემთხვევაში, ასევე გამოიყენება ეკონომიურობისა და არაფორმალური პრინციპები, ანუ სავალდებულო არაა, რომ დაზარალებულმა მიმართოს ზიანის გამომწვევ ადმინისტრაციულ ორგანოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და იარსებოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებამ. უმთავრესი პრობლემა, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრით რეალაქტით გამოწვეული განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვისას არსებობს, ესაა საქართველოს კანონმდებლობით უფლების დროებითი დაცვის საშუალებათა გაუთვალისწინებლობა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისგან განსხვავებით, როდესაც ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაცია, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, იწვევდა აქტის მოქმედების შეჩერებას, რეალაქტის შემთხვევაში ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, განახორციელოს მოქმედება საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. გასათვალისწინებელია, რომ ზიანის ოდენობის ზრდისთვის წინააღმდეგობის გაწევას დაზარალებული პირი, ვერცერთი სამართლებრივი მექანიზმით მოახერხებს. შესაბამისად, დაზარალებულისთვის შესაძლოა, უფრო მიმზიდველი აღმოჩნდეს სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენა, რადგან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას გათვალისწინებულია უფლების დროებითი დაცვის უფრო მეტი საშუალებები,⁴⁷⁷ ვიდრე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას. ამას ემატება, ისიც, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედების განხორციელებისგან თავის

⁴⁷⁷ მხედველობაში მაქვს უფლების დროებითი დაცვის მექანიზმები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით, სსმ, 32(39), 15/07/1999.

შეკავების შესახებ სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ერთჯერადად წარდგენა.⁴⁷⁸

8.4.2. დასრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვასთან შედარებით, დასრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა უფრო მარტივია, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაზარალებულს აღარ ესაჭიროება სამართლებრივი საშუალებების გამოყენება ზიანის ოდენობის ზრდის თავიდან ასარიდებლად. მის ერთადერთ ინტერესს ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების დავალდებულება წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევისათვის მას შეუძლია, გამოიყენოს უფლების დაცვის ისეთი სამართლებრივი საშუალება, როგორცაა ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც დაზარალებულმა საჩივრის განმხილველი სუბიექტისგან უნდა მოითხოვოს ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოქმედების განხორციელების, ანუ ზიანის ანაზღაურების, დავალება. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულს შეუძლია, აირჩიოს უფლების დაცვის სხვა საშუალება. კერძოდ, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გარეშე სასამართლოსთვის ადმინისტრაციული სარჩელით მიმართვა.

8.5. ადმინისტრაციული სარჩელი, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება

ადმინისტრაციულ სარჩელს, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივ მექანიზმს, ითვალისწინებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (შემდგომში — სასკ). ვინაიდან წინამდებარე თავში სახელმწიფო ხელისუფლების ზიანის წარმომშობი საქმიანობა დავყავით ორ კატეგორიად, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის საშუალებებიც უნდა განვიხილოთ ორ სახედ: 1. ადმინისტრაციული სარჩელი სახელმწიფო ხელისუფლების ზოგადი ხასიათის საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის

⁴⁷⁸ ლორია ვ. (რედ.), ხარშილაძე ი., კოპალეიშვილი მ., წევკლაძე ნ. და სხვ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, მე-3 გამოც., თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2008, გვ. 238.

შესახებ და 2. ადმინისტრაციული სარჩელი სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური საქმიანობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის შესახებ.

8.5.1. სახელმწიფო ხელისუფლების ზოგადი ხასიათის საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

სახელმწიფო ხელისუფლების ზოგადი ხასიათის საქმიანობად მიჩნეულ იქნა სამართლის სუბიექტების მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება. ასეთ დროს ადმინისტრაციული ორგანო იყენებს საქმიანობის საჯაროსამართლებრივ ფორმებს, რომლებსაც ენიჭებათ საპროცესოსამართლებრივი მნიშვნელობა, რადგან ისინი განაპირობებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის საშუალების სწორად შერჩევას.⁴⁷⁹ აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე განგრძობით ზიანთან გვაქვს. ასეთ შემთხვევებში, პირის ინტერესი მიმართულია არამხოლოდ წარსულისკენ — აინაზღაუროს უკვე წარმოშობილი ზიანი, არამედ მომავლისკენაც — გამორიცხოს ზიანის ოდენობის ზრდა. ამისათვის კი დაზარალებულმა სწორად უნდა განსაზღვროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის წარმოშობი საქმიანობის ფორმა, რომლის წინააღმდეგაც იგი სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით მიმართავს. დასრულებული ზიანის არსებობისას დაინტერესებული პირის ინტერესი მიმართულია მხოლოდ წარსულისკენ — ზიანის ანაზღაურებისკენ. შესაბამისად, მას აღარ ესაჭიროება ზიანის გამომწვევი საქმიანობის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენა, რადგან ასეთი საქმიანობა უკვე დასრულებულია და წარმოშვა ის ზიანი, რომლის წარმოშობაც მას მაქსიმალურად შეეძლო. განვიხილოთ ზიანის თითოეული კატეგორიიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის მექანიზმები.

8.5.1.1. განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

განგრძობადი ზიანის არსებობისას მოთხოვნის უფლების დაცვის საშუალებებს გააჩნიათ საერთო თვისება, რომელიც გამოიხატება დაზარალებულის წარსულისკენ

⁴⁷⁹ ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. დიოგენე, 2005, გვ. 247.

მიმართული ინტერესის დაცვაში. ამ უკანასკნელი ინტერესის დაცვის მიზნით, მან სასკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უნდა მოითხოვოს ზიანის მიმყენებელი ორგანოსთვის მოქმედების განხორციელების, ანუ ზიანის ანაზღაურების დავალება. ხოლო მომავლისკენ მიმართული ინტერესის დაცვის ნაწილში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის მექანიზმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს დაზარალებულის მოთხოვნებიც, რაც მომდევნო ქვეთავებშიც გამოჩნდება.

8.5.1.1.1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შესაძლებელია, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვა. როგორც აღინიშნა, ამ ტერმინში მოიაზრება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც. საქართველოსგან განსხვავებით, ჰოლანდიაში აკრძალულია ცალკეული ნორმატიული შინაარსის გადაწყვეტილებების გასაჩივრება,⁴⁸⁰ ამდენად, მათი კანონმდებლობა უფრო დეტალურად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სარჩელის ობიექტის სახეებს.

„სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.“⁴⁸¹ აქედან გამომდინარე, დაზარალებული უფლებამოსილია, სასკ-ის 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მოითხოვოს ზიანის წარმომშობი გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. აღნიშნული სახის მოთხოვნა ძირითად შემთხვევებში ზიანის ოდენობის ზრდის შეჩერებას იწვევს, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ სუსპენზიური ეფექტი გააჩნია. კერძოდ, მხარის შუამდგომლობისა და სასამართლო მსჯელობის გარეშე, სარჩელის მიღება ავტომატურად აჩერებს სადავო ინდივიდუალური აქტის მოქმედებას. სარჩელის

⁴⁸⁰ Article 8:2, Dutch General Administrative Law Act, 05/1994, <http://www.coceal.it/pdf/Netherlands>, [11.03.2019].

⁴⁸¹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ა, <https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=80>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

მიღება ნიშნავს სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოტანას და არა სარჩელის სასამართლოს კანცელარიაში შეტანას.⁴⁸² საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში,⁴⁸³ სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებას არ აქვს სუსპენზიური ეფექტი სადავო ინდივიდუალური აქტის მიმართ, თუმცა ასეთი შემთხვევების არსებობისას, დაზარალებულს გააჩნია უფლების დროებითი დაცვის ალტერნატიული მექანიზმი, კერძოდ, მისი მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია ინდივიდუალური აქტის მოქმედების შეჩერება.⁴⁸⁴ ამ დროს უფლების დროებით დაცვაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ანაცვლებს ე. წ. სუსპენზიურ ეფექტს.⁴⁸⁵

მართალია, დასაშვებია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოსთვის მიმართვა,⁴⁸⁶ მაგრამ ასეთ სადავო აქტზე, განსხვავებით სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან, არ ვრცელდება სუსპენზიური ეფექტი. აღნიშნული გამომდინარეობს სასკ-ის 29-ე მუხლის სათაურისა და შინაარსიდან. ადმინისტრაციული სარჩელისგან განსხვავებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას სავარაუდოა, რომ სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ მოქმედებს სუსპენზიური ეფექტი. ეს კი იმის გათვალისწინებით, რომ სზაკ-ის 184-ე მუხლში, რომელიც აწესრიგებს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენით გამოწვეულ სუსპენზიურ ეფექტს, მოხსენიებულია ტერმინი არა „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“, არამედ „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“. ეს უკანასკნელი, როგორც აღინიშნა, საკუთარ თავში მოიცავს

⁴⁸² ლორია ვ. (რედ.), ხარშილაძე ი., კოპალეიშვილი მ., წიკვაძე ნ. და სხვ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, მე-3 გამოც. თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2008, გვ. 266-267; ასევე, იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, მუხლი 29, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=80>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁸³ იხ. იქვე, მუხლი 29, ნაწილი 2. ასევე, მუხლები 23 და 35, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2005 წლის 24 ივნისი, <https://matsne.gov.ge/document/view/26824>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁸⁴ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, მუხლი 29, ნაწილი 3, <https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=80>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁸⁵ ტურავა პ. (რედ.), კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008, გვ. 389.

⁴⁸⁶ იხ. იქვე, გვ. 306.

როგორც ინდივიდუალურ, ისევე ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრისა და სარჩელის მარეგულირებელი ნორმები ურთიერთშესაბამისობაში იქნებოდნენ. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენით პირის უფლების რეპრესიულ დაცვას (დარღვეული უფლების აღდგენას),⁴⁸⁷ ლოგიკური იქნებოდა, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდეს უფლების დროებითი დაცვის მექანიზმსაც; აღნიშნულის გარეშე, შეუძლებელი იქნება ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, რამდენადაც იარსებებს საშიშროება, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარო ხელისუფლება პირს დააყენებს რეალური ფაქტების წინაშე.⁴⁸⁸

8.5.1.1.2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობით გამოწვეული ზიანი

„სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.“⁴⁸⁹ აქედან გამომდინარე, დაზარალებული უფლებამოსილია, სასკ-ის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მოითხოვოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის გამოუცემლობა მას ზიანს აყენებს. თუმცა ასეთი სასარჩელო მოთხოვნა ვერ შეაჩერებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობით წარმოშობილი ზიანის ოდენობის ზრდას სადავო საკითხის გადაწყვეტამდე. ამისთვის დაზარალებულმა უნდა გამოიყენოს უფლების დაცვის დროებითი მექანიზმი და დამოუკიდებელი პროცესუალური მოქმედების განხორციელების მიზნით, სადავო სამართალურთიერთობის წინასწარი

⁴⁸⁷ ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., წვეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. დიოგენე, 2005, გვ. 174.

⁴⁸⁸ ტურავა პ. (რედ.), კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008, გვ. 386.

⁴⁸⁹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი გ, <https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=80>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

მოწესრიგების მოთხოვნის განცხადებით მიმართოს სასამართლოს.⁴⁹⁰ უფლების დაცვის აღნიშნული დროებითი საშუალების დანიშნულებაა არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის გზით პირის ინტერესების ხელყოფის რეალური საშიშროების არიდება.⁴⁹¹

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისას არ არსებობს უფლების დროებითი დაცვის საშუალება, განსხვავებით უფლების რეპრესიული დაცვის მექანიზმისგან. ამ უკანასკნელის არსებობიდან გამომდინარე, უფლების დროებითი დაცვის საშუალების ხელმისაწვდომობა საჭიროა, რათა სრულად იყოს უზრუნველყოფილი დაზარალებულის უფლებების დაცვა.

8.5.1.1.3. მოქმედების განუხორციელებლობით გამოწვეული ზიანი

მოქმედების განუხორციელებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის დროებითი საშუალება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის დროებითი მექანიზმის იდენტური. აღნიშნულს განაპირობებს ის, რომ ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო კანონსაწინააღმდეგოდ უარს ამბობს მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულების — იქნება ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თუ მოქმედების განუხორციელების — შესრულებაზე, რაც პირს აყენებს ზიანს. ასეთ დროს, როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის დროებით მექანიზმზე მსჯელობისას, ზიანის ოდენობის ზრდის შეჩერების მიზნით, დაზარალებულს შეუძლია, საკუთარი უფლებები დროებით დაიცვას სასკ-ის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების საფუძველზე. აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს დაზარალებულის ინტერესების დაცვას არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის, სამართალურთიერთობის წინასწარ მოწესრიგების გზით.

⁴⁹⁰ იქვე, მუხლი 31, ნაწილი 1, წინადადება 2.

⁴⁹¹ ტურავა პ. (რედ.), კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008, გვ. 393.

ერთ-ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედების განხორციელებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ესაა შემთხვევა, როდესაც ქ. რუსთავში, კულტურისა და დასვენების პარკში 7 წლის ბავშვს თავს დაესხა გიურზა და დაგესლა, რის შედეგადაც ბავშვი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. მოსარჩელე ითხოვდა ქ. რუსთავის მერიისა და ასევე პარკის მესაკუთრისგან ზიანის ანაზღაურებას, თუმცა სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ზიანი, ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას, რომლის დადგომაში მოპასუხეებს ბრალი არ მიუძღოდათ. სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს გარეული ცხოველების მესაკუთრეს, არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც დგება ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში მყოფი ცხოველების მიერ.⁴⁹²

8.5.1.1.4. მოქმედების განხორციელებით გამოწვეული ზიანი

მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისას, ზიანის ოდენობის ზრდის შეჩერების მიზნით, დაზარალებულის ინტერესს წარმოადგენს იმ სამართლებრივი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც არსებობდა მოქმედების განხორციელების დაწყებამდე. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დროებითი დაცვის ის მექანიზმი, რომელიც სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისთვის გამოიყენება, ვერ დააკმაყოფილებს დაზარალებულის ინტერესს და ამის საპირისპიროდ, დაზარალებულის დაცვა შესაძლოა მოხდეს მხოლოდ სამართლებრივი მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველყოფელი უფლების დროებითი დაცვის საშუალებით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება

⁴⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-205-172-კ-04, ნაშრომში: რუსიაშვილი ჯ., ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურება, თბ., გამომც. მერიდიანი, 2013, გვ. 150-156.

განმცხადებლის უფლების რეალიზებას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება.⁴⁹³

8.5.1.1.5. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

„სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა,⁴⁹⁴ ასევე ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.“⁴⁹⁵ ზიანის ოდენობის ზრდის შეჩერებისთვის დაზარალებულმა სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილით უნდა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა. ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დროებითი დაცვის მექანიზმებად ვერ იქნება გამოყენებული სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლები, რადგან ისინი შეეხებიან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედების განხორციელება, ასევე განუხორციელებლობასთან დაკავშირებულ და არა ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს, რაზეც პირდაპირ მიუთითებს ამ მუხლების სათაურები და შინაარსი.

მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე არ გამოიყენება უფლების დროებითი დაცვის მექანიზმები, თუმცა უნდა გამოიყენებოდეს სამოქალაქო საპროცესო საშუალებები, სარჩელისა⁴⁹⁶ და გადაწყვეტილების აღსრულების⁴⁹⁷ უზრუნველყოფის ღონისძიებები. შესაბამისად, ამ კატეგორიის დავებზე დაზარალებულის უფლებების დროებითი დაცვა შედარებით უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი, ვიდრე ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებიდან გამომდინარე დავებზე.

⁴⁹³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, მუხლი 31, ნაწილი 1, წინადადება 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=80>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁹⁴ იქვე, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „ბ“.

⁴⁹⁵ იქვე, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „გ“.

⁴⁹⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი, მუხლი 198, <https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=143>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁹⁷ იქვე, მუხლი 271.

8.5.1.2. დასრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

8.5.1.2.1. აღიარებითი სარჩელი

„სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.“⁴⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „აღიარებით სარჩელს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა სახის სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. პროცესის ეკონომიის თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე სარჩელის აღძვრა, ე. ი. თუ შესაძლებელია აღიძვრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. მოსარჩელე ვერ იქნება აღიარებითი სარჩელის აღძვრით სამართლებრივად დაინტერესებული, თუ მას შესაძლებლობა აქვს სარჩელის სხვა ფორმით მიაღწიოს მიზანს. ამასთანავე, აღიარებითი სარჩელი არ უნდა გახდეს სარჩელის სხვა სახეების დასაშვებობის წინაპირობებისგან თავის დაღწევის საშუალება. აღიარებითი სარჩელი არ მოიცავს მოპასუხის მიმართ შესრულების მოთხოვნას ან ამ შესრულების იძულების წესით განხორციელებას.“⁴⁹⁹ აღიარებითი სარჩელი გამოყენებული უნდა იქნას იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანის წარმომშობი საქმიანობა უკვე შესრულებულია და მან გამოიწვია ზიანი იმ მაქსიმალური ოდენობით, რომლის გამოწვევაც მას შეეძლო. დაზარალებულის ინტერესი უკავშირდება არა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას, არამედ წარმომშობილი ზიანის ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულმა, სასკ-ის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, აღიარებითი სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოს დასრულებული საქმიანობის კანონსაწინააღმდეგოდ აღიარება.⁵⁰⁰ ამის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია, მოვიყვანოთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის — მოქმედების განხორციელების გზით, შენობის დემონტაჟი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ადმინისტრაციული ორგანოს

⁴⁹⁸ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი დ, <https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=80>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁴⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-740-706(კ-07).

⁵⁰⁰ ტურავა პ. (რედ.), კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008, გვ. 375.

მიერ განხორციელებული დემონტაჟი არის ერთჯერადი დასრულებული მოქმედება (რეალაქტი). ასეთი რეალაქტის განხორციელებით პირის შელახული უფლების აღდგენის ერთ-ერთ საშუალებად პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებულია აღიარებითი სარჩელი იმ მოთხოვნით, რომ აღიარებული იქნეს მოქმედების უკანონობა.⁵⁰¹ ასეთ დროს დაზარალებულის ინტერესს წარმოადგენს არა დასრულებული ქმედების გასაჩივრება, არამედ ამ ქმედებით უკვე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.

მართალია, სასკ-ის 31-ე მუხლში პირდაპირ არაა მითითებული ამ მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის მექანიზმის აღიარებით სარჩელებზე გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა გავრცელებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული საშუალების გამოყენება დასაშვებია უნდა იყოს აღიარებითი სარჩელის წარდგენის შემთხვევაშიც.⁵⁰² მას შემდეგ, რაც აღიარებული იქნება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონსაწინააღმდეგობა, დაზარალებულმა პირმა ზიანის მიმყენებელ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიმართოს განცხადებით, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საშუალებით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის შემთხვევები, როდესაც არსებობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემაფერხებელი გარემოება. კერძოდ, მოთხოვნა ხანდაზმულია. ამ სამართლებრივი გარემოების არსებობა ზეგავლენას უნდა ახდენდეს არა აღიარებითი სარჩელის დასაშვებად ცნობასა და დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე, არამედ ზიანის ანაზღაურების უფლების რეალიზებაზე. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მატერიალური უფლება — ზიანის ანაზღაურების უფლება, არსებობს მოთხოვნის შემაფერხებელი გარემოების — მოთხოვნის ხანდაზმულობისგან, დამოუკიდებლად. შესაბამისად, ხანდაზმული მოთხოვნის საფუძვლის — ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონსაწინააღმდეგოდ აღიარების შემდგომ, დაზარალებულმა უნდა მიმართოს ზიანის მიმყენებელ ორგანოს

⁵⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-595-573(კს-13).

⁵⁰² ტურავა პ. (რედ.), კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008, გვ. 392.

განცხადებით, როგორც ზიანის ანაზღაურების უფლების რეალიზების სამართლებრივი საშუალებით. ამ განცხადების განხილვისას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა ზეგავლენას მოახდენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო სსკ-ის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილი იქნება უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი კი დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

8.5.1.2.2. სარჩელი ქმედების განხორციელების დავალების შესახებ

როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს მოქმედების განხორციელებას. შესაბამისად, დასრულებული ზიანის არსებობისას დაზარალებულმა მოთხოვნის უფლების რეპრესიული დაცვის მიზნით, სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, უნდა მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების, ანუ მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ, მოთხოვნით.

იმ შემთხვევებისთვის, როდესაც განგრძობადი ზიანის გამომწვევ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას თან ახლავს ასევე დასრულებული ზიანი, დაზარალებულს არ უნდა ევალებოდეს ზიანის მიმყენებელ ადმინისტრაციულ ორგანოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე განცხადების წარდგენა, რადგან ეს გამოიწვევს ერთი და იმავე საკითხიდან გამომდინარე მოთხოვნების ხელოვნურად გაყოფას, რაც იქნება საკითხისადმი ზედმეტად ფორმალური მიდგომა. ამან კი შესაძლოა, გამოიწვიოს კიდევ ერთი დავის წარმოშობა, რაც უარყოფითად იმოქმედებს სახელმწიფოს ხარჯებზე. ამის საპირისპიროდ, შეიძლება ვთქვათ, როცა დაზარალებულის ინტერესია როგორც უკვე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება, ისევე მისი ოდენობის ზრდის შეჩერება, მის მიერ გამოსაყენებელი უფლების დაცვის მექანიზმი არის ერთიანი, ვინაიდან იგი ერთდროულად მიმართული უნდა იყოს როგორც ზიანის ოდენობის ზრდის შეჩერების, ასევე უკვე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისკენ. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს

არაფორმალურობის პრინციპით, რომელიც საშუალებას იძლევა, კონკრეტული ურთიერთობიდან გამომდინარე, განგრძობადი ზიანის გამომწვევი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობით წარმოშობილი თანმდევი დასრულებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი დასაშვებად იქნას მიჩნეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედების განხორციელებაზე — ზიანის ანაზღაურებაზე, უარის თქმის გადაწყვეტილების არსებობის გარეშე.

აბსოლუტურად განსხვავებული საქმე იქნება, როდესაც ზიანის გამომწვევი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა შესრულებულია და სახეზე გვაქვს მხოლოდ დასრულებული ზიანი. ასეთ შემთხვევებში, დაზარალებული ვალდებული იქნება ზიანის მიმყენებელ ადმინისტრაციულ ორგანოს მოქმედების განხორციელების — ზიანის ანაზღაურების, მოთხოვნით. მხოლოდ ასეთი განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების არსებობის პირობებში იქნება დასაშვები მოქმედების განხორციელების — ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სარჩელი. ეს განპირობებულია იმით, რომ ხელოვნურად არ ხდება დასრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის მექანიზმის გამოყოფა განგრძობადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის საშუალებისგან. უფრო მეტიც, დაზარალებული ასეთ საშუალებას ვერც კი გამოიყენებს, რადგან, ამ შემთხვევებში, განგრძობადი ზიანი საერთოდ არ არსებობს.

8.5.1.2.3. აღიარებითი სარჩელისა და შემდგომ მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელის წარდგენის საჭიროება სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების დროს

როგორც ნაშრომში უკვე აღინიშნა ზიანის ანაზღაურება ანუ თანხის გადახდა წარმოადგენს რეალაქტს.

რეალაქტის განხორციელებისთვის (გარდა მხოლოდ აღმჭურველი ხასიათის რეალაქტისა) აუცილებელია სამართლებრივი საფუძველი: ან საკანონმდებლო აქტის ნორმა, ან კანონქვემდებარე აქტის ნორმა, ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება.⁵⁰³ საფუძველი ანიჭებს

⁵⁰³ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018, გვ. 179.

პირს უფლებას, რომ მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოსგან მოქმედების განხორციელება ან მოქმედების განხორციელებისგან თვის შეკავება.

რეალაქტის განხორციელება უშუალოდ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტის ნორმის საფუძველზე როგორც წესი არის შეუძლებელი, რადგან ნორმა არის გენერალურ-აბსტრაქტული ხასიათის. შესაბამისად, პირის უფლებებისა და/ან ვალდებულებების დადგენის მიზნით, საჭიროა ნორმაში არსებული მოწესრიგების ინდივიდუალიზაცია და/ან კონკრეტიზაცია, რაც სამართლებრივი ფორმის თვალსაზრისით მიიღწევა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა⁵⁰⁴ და ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამ ორი ფორმიდან ერთ-ერთის გამოყენების შემდგომ ხორციელდება ის რეალაქტი, რომელიც შეესაბამება პირის დადგენილ უფლებას და/ან ვალდებულებას.

ზემოხსენებულისგან განსხვავებით, მართალია იშვიათად, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც რეალაქტი შესაძლოა განხორციელდეს უშუალოდ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტის ნორმის საფუძველზე, რადგან ნორმაში არსებული მოწესრიგების გათვალისწინებით საჭირო არ იყოს უფლების და/ან ვალდებულების დადგენა ურთიერთობის ინდივიდუალიზაციის და/ან კონკრეტიზაციის გზით. მაგალითად, სზაკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია....“. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.“ აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სრულიად უმნიშვნელოა ვინ, რატომ და რისთვის ითხოვს საჯარო ინფორმაციის გაცემას და რაც მთავარია, საჯარო ინფორმაციის გასაცემად არანაირი წინაპირობა არაა გათვალისწინებული, რაც ნიშნავს იმას, რომ უშუალოდ ნორმით არის დადგენილი პირის უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაციის გაცემა. აღნიშნულის გამო საჭირო აღარაა დამატებით უფლების დადგენა ურთიერთობის ინდივიდუალიზაციის და/ან კონკრეტიზაციის გზით.

⁵⁰⁴ იხ. იქვე, გვ. 128.

განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რადგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი გამომწვევი ქმედება უკანონოა. ამდენად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის უფლებისგან განსხვავებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ მხოლოდ ცალკეულ პირებს და არა ყველას. სწორედ ამიტომ, საჭიროა ჯერ ურთიერთობის ინდივიდუალიზაცია და კონკრეტიზაცია.

ურთიერთობის ინდივიდუალიზაცია-კონკრეტიზაციის გზა არის არა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და ამ უკანასკნელის საფუძველზე შემდგომ რეალაქტის განხორციელება, არამედ აღიარებითი და რეალაქტის განხორციელების დავალების შესახებ სარჩელების კომბინაცია. აღნიშნულს განაპირობებს ის, რომ დაზარალებულის ინტერესია მხოლოდ ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნა თანხის გადახდის შესახებ საჭიროებს ურთიერთობის დადგენას საერთო წესიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ, ჯერ ხდება ურთიერთობის დადგენა აღიარებითი სარჩელით ზიანის გამომწვევი ქმედების უკანონოდ აღიარების გზით, ხოლო შემდეგ განცხადების წარდგენა ადმინისტრაციულ ორგანოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ბოლოს ამ უკანასკნელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოქმედების განხორციელების დავალება თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელის შეტანით. ამ უკანასკნელი სარჩელის გამოყენებისთვის უმთავრესია, რომ სარჩელის წარდგენის მომენტისთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა იყოს ვადამოსული. მაგალითად, უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდა შენობის დემონტაჟი, რითაც პირს მიადგა ქონებრივი ზიანი. დაზარალებულის ინტერესია სამართალურთიერთობის უკანონობის დადგენა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მიზნით და არა ასევე იმისთვის, რათა მომავალში პირს წარმოეშვას სხვა (ზიანის ანაზღაურებასთან არადაკავშირებული) მოთხოვნები ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

ზიანის ანაზღაურების „პროცესის“ დაყოფა პირველ ეტაპზე სასამართლოსთვის განვრცობითი აღიარებითი სარჩელის წარდგენით და შემდგომ მეორე ეტაპზე ზიანის მიმყენებელ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების შეტანით არ გამოიწვევს უფლების დაცვის გაჭიანურებას თუ მხარე სასამართლოსთვის სარჩელის წარდგენასთან ერთად მოითხოვს ასკ-ის 31.1 მუხლის მეორე წინადადებით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის მექანიზმის გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულს შეეძლება ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადებით მიმართვა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც დააჩქარებს პროცესს თუ იარსებებს დროებითი განჩინების მიღების სამართლებრივი წინაპირობა. ამასთან, ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადებით მიმართვა აამაღლებს ადმინისტრაციული ორგანოების როლს, რაც ასევე მნიშვნელოვანია, რადგან სასამართლოს არ აქვს ადმინისტრაციული ორგანოების ჩანაცვლების საკადრო რესურსი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის გარდა პირის ინტერესია სამართალურთიერთობის უკანონობის დადგენა, რათა მას მომავალში, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, წარმოემშვას სხვა (ზიანის ანაზღაურებასთან არადაკავშირებული) მოთხოვნებიც ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, მაშინ აღიარებით სარჩელს ჩანაცვლებს სარჩელის ის სახე, რომელიც ადგენს ზიანის გამომწვევი ქმედების უკანონო ხასიათს. ეს შესაძლოა იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ სარჩელი. მაგალითად, პირმა მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს სოციალური დახმარების დანიშვნის მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა. უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება უდავოდ უკანონოა. ამ შემთხვევაში, დაზარალებულის ინტერესია ა). ზიანის ანაზღაურება ანუ იმ თანხის მოპოვება, რომლის გაცემის ვალდებულებაც ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე; ბ). იმ თანხის მიღება, რომლის გაცემის ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოემშობა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ. ეს უკანასკნელი ინტერესი მიიღწევა სარჩელით ადმინისტრაციული ორგანოსთვის

სოციალური დახმარების დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების შესახებ. აღნიშნული სარჩელის ფარგლებში შესაძლებელია დადგინდეს ასევე ზიანის გამომწვევის ქმედების (უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების) უკანონობა.⁵⁰⁵ ამდენად აღნიშნულისთვის საჭირო აღარ იქნება აღიარებითი სარჩელის წარდგენა, რათა მოხდეს ზიანის გამომწვევი ქმედების უკანონობის აღიარება. დანარჩენი ნაწილი თანხის გადახდის დავალების თვალსაზრისით რჩება უცვლელი. შესაბამისად, სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც საჭირო იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ და მოქმედების განხორციელების შესახებ კომბინირებული სარჩელის წარდგენა.

8.5.2. სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური ხასიათის საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

როგორც აღინიშნა, სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური ხასიათის საქმიანობად უნდა მივიჩნიოთ, სახელმწიფოს მიერ ისეთი სახელისუფლებო საქმიანობის განხორციელება, რომელიც დაკავშირებული არაა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საქმიანობის ჩამონათვალი ზუსტად არის საქართველოს კანონმდებლობაში გაწერილი. საქართველოს კანონმდებლობით, ასეთ საქმიანობად მიიჩნევა პირისათვის:

- უკანონო მსჯავრდება;
- სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემა;
- აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენება;
- ადმინისტრაციული პატიმრობის სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრება,
- დისციპლინური პატიმრობის სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრება,
- გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრება.⁵⁰⁶

ასეთი უკანონო საქმიანობის განხორციელების შედეგად, პირისათვის მიყენებული ზიანი სრულად უნდა აუნაზღაურდეს დაზარალებულს. ხოლო იმას, რომ პირს ზიანი მიადგა უკანონო საქმიანობით, ადასტურებს პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა, რომელთა გარეშე სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური ხასიათის

⁵⁰⁵ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი, მუხლი 33, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=80>, [ნანახია: 02.08.2020 წ.].

⁵⁰⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, მუხლი 1005, ნაწილი 3, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=111>, [ნანახია: 02.02.2020 წ.].

საქმიანობით გამოწვეული ზიანი არ ანაზღაურდება. ასეთ გარემოებებს მიაკუთვნებენ გამამართლებელ განაჩენს, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არ არსებობის გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასა და ა. შ.⁵⁰⁷

მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის დამადასტურებელი „სამართლებრივი დოკუმენტი“ ასრულებს ზუსტად იმავე როლს, რასაც დასრულებული ზიანის არსებობის შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის წარდგენით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების საფუძვლის არსებობის შესახებ. ვინაიდან ამ უკანასკნელშიც ასევე დასტურდება, რომ პირს გააჩნია მატერიალური უფლება მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის დამადასტურებელი „სამართლებრივი დოკუმენტით“. ორივე მათგანის შემდგომ, პირმა უნდა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დამოუკიდებელი სამართლებრივი საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანი არ ანაზღაურდება. საშუალება, რომლითაც დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური ხასიათის უკანონო საქმიანობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება, გათვალისწინებულია სასკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ეს უკანასკნელი კი გამომდინარეობს იქიდან, რომ მართალია, ასეთი საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები — გამოძიებისა და პროკურატურის ორგანოები, სასამართლო, მათ მიერ განსახორციელებელი საქმიანობიდან გამომდინარე, ზოგადად, არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, მაგრამ მათი მხრიდან ზიანის ანაზღაურება, როგორც საქმიანობა, ყველაზე ახლოს დგას ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ისეთ ფორმასთან როგორცაა — რეალაქტი.

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ ის გარემოებები და კრიტერიუმები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ზიანის ანაზღაურების უფლების დაცვის საშუალების სწორად შერჩევაზე, მიზანშეწონილია თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნას უფლების რეპრესიული და დროებითი დაცვის მექანიზმების გამოყენების სქემა⁵⁰⁸:

⁵⁰⁷ ჩიკვაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, ჰანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001, მუხლი 1005, გვ. 420.

⁵⁰⁸ სიმბოლო „X“ აღნიშნავს იმას, რომ მითითებული საქმიანობის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი საშუალება (განცხადება, საჩივარი ან სარჩელი) არ გამოიყენება.

(ცხრილი NI) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეკრესიული და დროებითი დაცვის ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენების სქემა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები														
განგრძობადი ზიანი										დასრულებული ზიანი				
ზიანის გამომწვევი ზოგადი ხასიათის საქმიანობა										ზიანის გამომწვევი ზოგადი ხასიათის საქმიანობა		ზიანის გამომწვევი სპეციალური ხასიათის საქმიანობა		
ადმ. სამართლ. აქტი		ადმ. სამართლ. აქტის გამოყენებლობა		მოქმედების განხორც.		მოქმედების განუხორც.		ადმ. ხელშეკრ.		ზიანის გამომწვევი ზოგადი ხასიათის საქმიანობა		ზიანის გამომწვევი სპეციალური ხასიათის საქმიანობა		
სტადიები	რეპრესული დაცვა	დროებითი დაცვა	რეპრესული დაცვა	დროებითი დაცვა	რეპრესული დაცვა	დროებითი დაცვა	რეპრესული დაცვა	დროებითი დაცვა	რეპრესული დაცვა	დროებითი დაცვა	რეპრესული დაცვა	დროებითი დაცვა	რეპრესული დაცვა	დროებითი დაცვა
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
შეცვლილებითი/მავალზე			ადმ. საჩივარი											
სსკ-ის 22.1. მუხლი	X	X	სზაკ-ის 177.1. მუხლი										X	X
სსკ-ის 29.1. და 3 მუხლები (გარდა ნორმატ. აქტისა)	X	X	სზაკ-ის 184.1. მუხლი										X	X
სსკ-ის 23.1. მუხლი	X	X	სზაკ-ის 2.1.ო. მუხლი										X	X
სსკ-ის 31.1. მუხლის მე-2 წინადადება	X	X	არაა გათვალისწინებული										X	X
სსკ-ის 24.1. მუხლი	X	X	სზაკ-ის 177.3. ეუხლი										X	X
სსკ-ის 31.1. მუხლის 1-ლი წინადადება	X	X	არაა გათვალისწინებული										X	X
სსკ-ის 24.1. მუხლი	X	X	სზაკ-ის 177.3. მუხლი										X	X
სსკ-ის 31.1. მუხლის მე-2 წინადადება	X	X	არაა გათვალისწინებული										X	X
სსკ-ის 25.2. მუხლი	X	X											X	X
სსკ-ის 198-ე და 271-ე მუხლები	X	X	X										X	X
სსკ-ის 24.1. მუხლი	X	X	სზაკ-ის 177.3. მუხლი										X	X
სსკ-ის 31.1. მუხლის მე-2 წინადადება	X	X	არაა გათვალისწინებული										X	X
სსკ-ის 24.1. მუხლი	X	X	X										X	X

8.6. შუალედური შეფასება

წინამდებარე თავში შესწავლილი საკითხებიდან გამომდინარე, გამოვლინდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების სწორად შერჩევის კრიტერიუმები. ესენია: ზიანის გამომწვევი საქმიანობის ხასიათი, ამ უკანასკნელის სამართლებრივი ფორმა და თავად ზიანის სახეობა. ზიანი შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს სპეციალურმა ან ზოგადმა საქმიანობამ და მხოლოდ ამ უკანასკნელის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული განცხადება, საჩივარი და სარჩელი. აღნიშნული სამართლებრივი გარემოების დადგენის შემდგომ, უფლების დაცვის ადმინისტრაციული საშუალებების მრავალფეროვნების გამო, მისი სწორად შერჩევისათვის, საჭიროა კიდევ ერთი კრიტერიუმის - ზიანის სახეობის შეფასება. არსებობს ზიანის ორი სახეობა: დასრულებული და განგრძობადი.

სახელმწიფოს სპეციალური ხასიათის საქმიანობით გამოწვეული დასრულებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, დაზარალებული, ე.წ. მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის დამადასტურებელი „გადაწყვეტილების“ საფუძველზე, სასამართლოსთვის მავალელები სარჩელით მიმართვის გზით, ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. როგორც წინამდებარე თავში იქნა განხილული, მავალელები სარჩელის გამოყენება სამართლებულია, რადგან პასუხისმგებელი პირის მიერ განსახორციელებელი მმართველობითი ღონისძიება - ზიანის ანაზღაურება, საქმიანობის სამართლებრივი ფორმის თვალსაზრისით, წარმოადგენს რეალაქტს,

სახელმწიფოს ზოგადი ხასიათის საქმიანობით გამოწვეული დასრულებული ზიანის ანაზღაურების დროს, შესაძლოა სამართლებრივად უფრო არგუმენტირებული იყოს, დაზარალებულის მიერ, სასამართლოსთვის პირდაპირ მავალელები სარჩელის ნაცვლად, განვრცობითი აღიარებითი სარჩელით მიმართვა და ზიანის გამომწვევი საქმიანობის უკანონოდ აღიარების მოთხოვნა. აღნიშნულის დადგენის შემდგომ, მას შეეძლება პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების შეტანის მეშვეობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. აქ შეიძლება პარალელიც გავავლოთ განვრცობით აღიარებით სარჩელსა და მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის დამადასტურებელ „გადაწყვეტილებას“ შორის, რადგან ორივე მათგანი ადასტურებს,

ზიანის გამომწვევი საქმიანობის უკანონობას. განსხვავება კი ისაა, რომ პირველი მათგანი შეეხება სახელმწიფოს ზოგადი ხასიათის საქმიანობას, ხოლო მეორე - სპეციალურს.

სახელმწიფოს ზოგადი ხასიათის საქმიანობით გამოწვეული განგრძობადი ზიანის ანაზღაურების დროს, უფლების რეპრესიული და პრევენციული დაცვის საშუალების სწორად შერჩევისათვის საჭირო ხდება მესამე კრიტერიუმის - ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის, შეფასება. არსებობს ასეთი საქმიანობის ოთხი ფორმა: ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ადმინისტრაციული ხელშეკრულება და რეალაქტი. რომელი ფორმის განხორციელების შედეგადაც წარმოიშობა ზიანი, იმ ფორმის საწინააღმდეგო უფლების დაცვის საშუალება უნდა იქნას გამოყენებული, რათა შეჩერდეს (განგრძობადი) ზიანის ოდენობის ზრდა.

ზემოხსენებულ უფლების დაცვის საშუალებებს გააჩნიათ საკანონმდებლო ხარვეზები. კერძოდ,

- რეალაქტით გამოწვეული განგრძობადი ზიანის ანაზღაურებისას, არ არსებობს უფლების დროებითი დაცვის მექანიზმები, რის გამოც დაზარალებულისთვის ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას, განსხვავებით ადმინისტრაციული სარჩელისგან, შეუძლებელი იქნება რეალაქტით წარმოშობილი ზიანის ოდენობის ზრდის შეჩერება;
- მსგავსი პრობლემაა, ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით წარდგენილ ნებისმიერ ადმინისტრაციულ სარჩელზე, რადგან ასეთ სარჩელებზე გამოყენებული ვერ იქნება უფლების დროებითი დაცვის საპროცესო მექანიზმები;
- იგივე მდგომარეობაა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დროებითი დაცვის შემთხვევაშიც, რადგან სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის მექანიზმები, არ უნდა ვრცელდებოდეს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე და ასეთი

საქმიანობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დროებითი დაცვაზე.

ზემოხსენებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურების უფლების პრევენციულ დაცვას, რაც თავის მხრივ გაზრდის მისი რეპრესიული დაცვის ეფექტიანობას.

დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია აღინიშნოს და ნოვაციას უნდა წარმოადგენდეს, რომ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შესაძლებელია კერძო სამართლის ისეთი ინსტიტუტების გამოყენება, როგორებიცაა ვალის არსებობის აღიარება და ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ აღიარებითი სარჩელის საფუძველზე სასამართლო დაადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, როგორც მატერიალური უფლების არსებობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, დაზარალებულმა უნდა მიმართოს პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. თავის მხრივ ადმინისტრაციული ორგანო, უფლებამოსილი იქნება, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე, რაც მიუთითებს მისი დისკრეციის არსებობაზე, რომლის განხორციელების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ამდენად, ზიანის ანაზღაურების ხანდაზმული მოთხოვნის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და მას ვერ ექნება ნების ისეთი მაღალი ავტონომია, როგორც აქვთ კერძო სამართლის პირებს.

დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ სადისერტაციო ნაშრომში ნაწილობრივ მოცემულია შუალედური შეფასებები, მიზანშეწონილი იქნება დასკვნაში ყურადღება გამახვილდეს ჩატარებული კვლევის შედეგების მხოლოდ არსებით საკითხებზე და რეკომენდაციებზე:

1. საჯარო-სამართლებრივი დელიქტის გამიჯვნა კერძო სამართლებრივისგან:
საჯარო სამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში სუბიექტი არღვევს ა). სახელმწიფოს პოზიტიურ და/ან ნეგატიურ ვალდებულებას ბ). საჯარო-სამართლებრივი ქმედებით და გ). როგორც შრომით ურთიერთობას, ასევე მისგან გამომდინარე სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებას აქვს საჯარო-სამართლებრივი ბუნება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი მოწესრიგებულია საჯარო კანონმდებლობით. შესაბამისად, საჯარო-სამართლებრივი დელიქტით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაც უნდა მოხდეს საჯარო კანონმდებლობით.
2. სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოდელი საქართველოს მაგალითზე:
 - 2.1. საქართველოში დაწესებულია სახელმწიფოსა და მოსამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელი, რაც დასტურდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლში არსებული ენობრივი ფორმულირებით და ასევე იმით, ცალკეულ შემთხვევაში, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად მოსამსახურის - ფიზიკური პირის, მოპასუხედ დასახელება.
 - 2.2. სოლიდარული პასუხისმგებლობის დროს ზიანის გამოწვევა ხდება ორი ან მეტი ქმედებით ანუ ორი ან მეტი ქმედუნარიანი პირის მიერ განხორციელებული ქმედებით. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისას სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელის გამოყენება არ არის გამართლებული, რადგან ზიანის გამოწვევა ხდება ერთი სუბიექტის ქმედებით, ერთი სუბიექტის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ფარგლებში. ამდენად, ზიანის გამომწვევი ქმედება უნდა შეერაცხოს ან მხოლოდ სახელმწიფოს ან მხოლოდ მოსამსახურეს და არა ორივეს ერთდროულად.

2.3. სოლიდარული პასუხისმგებლობის მოდელი განსხვავდება სამსახურებრივი პასუხისმგებლობისგან. პირველი მათგანის შემთხვევაში, ზიანის გამომწვევი ქმედება პირდაპირ შეერაცხება ორ სუბიექტს, სახელმწიფოსა და მოსამსახურეს. მეორის დროს, ზიანის გამომწვევი ქმედება პირდაპირ შეერაცხება მხოლოდ მოსამსახურეს, ხოლო ირიბად სახელმწიფოს. პასუხისმგებლობის ფინანსური ნაწილი გადაკისრებულია სახელმწიფოზე.

2.4. პასუხისმგებლობის რეკომენდირებულ მოდელს, ნაშრომის სხვადასხვა ნაწილებში არსებული მსჯელობიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობის მოდელი. ვინაიდან ქმედება ხორციელდება სახელმწიფოს უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ფარგლებში, იგი უნდა შეერაცხოს პირდაპირ სახელმწიფოს. ამას გარდა, სახელმწიფო თავისი უფლებაუნარიანობის ფარგლებში აღჭურვილია „საკუთრების ქონის უფლებით.“ „საკუთრების ქონის უფლებასთან“ პირდაპირ არის მიბმული სუბიექტის დამოუკიდებლად პასუხისმგებლობის უნარი უკანონო ქმედებით ზიანის წარმოშობის დროს. სწორედ იმის გამო, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება გამართლებულად პირდაპირ შეერაცხება სახელმწიფოს, უარი უნდა ეთქვას სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელს, რომლის ამოსავალი წერტილი არის ჯერ კიდევ რომის სამართალში ჩამოყალიბებული და დღეს უკვე მოძველებული „მანდატის თეორია“. სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელზე უარის თქმა შესაძლოა გამართლებული იყოს შემდეგი დამატებითი ორი არგუმენტით: გერმანელი იურისტების ნაწილი იმ მსჯელობასაც კი აწვითარებს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის 34-ე მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულია სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობის და არა სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამას გარდა, გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო სამართალმა სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მოდელი იმდენად გააფართოვა, რომ იგი მნიშვნელოვანწილად მიუახლოვა სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობის მოდელს.

3. ზიანის ანაზღაურების სახეობა

3.1. ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ ორი მიმართულებით, ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთის დაცვა ხელყოფისგან. ქონებრივი ზიანი ყოველთვის გამოხატულია ქონებრივი ღირებულებით, ხოლო არაქონებრივი ზიანს წარმოადგენს ან არაქონებრივი სიკეთის ხელყოფა სულიერი ტკივილის გარეშე ან სულიერი ტკივილით. ორივე მათგანს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საერთო წინაპირობები, იქნება ეს სახელმწიფო თუ დელიქტური, თუმცა არაქონებრივი სიკეთის ხელყოფისგან დაცვა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლები:

4.1. საქართველოში მოქმედი ზიანის ანაზღაურების სისტემის უკეთ გაცნობიერებისთვის, მიზანშეწონილია მისი მომწესრიგებელი ნორმების კლასიფიკაცია. ძირითადად კრიტერიუმის მიხედვით უნდა გამოვყოთ უმთავრესი ორი სახის ნორმა: საგარანტიო და მარეალიზებელი. საგარანტიო ნორმები ქმნიან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარანტიებს (საწყის საფუძვლებსა და ფარგლებს), მაგალითად საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი. მარეალიზებელი ნორმები აწესებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობებს, მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი, სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი.

4.2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებზე, მეტწილად ბრალზე. მოთხოვნის კონსტრუქციაში მისი გათვალისწინება განპირობებულია მოსამსახურის პერსონალური პასუხისმგებლობის მოდელით. ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მოსამსახურის პერსონალური პასუხისმგებლობის იდეას, მიზანშეწონილი იქნება მისი ამოღება მოთხოვნის წინაპირობებიდან. ნორმის განმარტებისას საკონსტიტუციო სასამართლო არ მიუთითებს ბრალზე, როგორც ზიანის ანაზღაურების წინაპირობაზე. ამდენად, გარე ურთიერთობაში იგი უმნიშვნელოა. ბრალის გათვალისწინება

გამართლებული იქნება სახელმწიფოსა და მოსამსახურის შიდა ურთიერთობაში, სახელმწიფოს მხრიდან მოსამსახურის მიმართ რეგრესის უფლების გამოყენების თვალსაზრისით, რაც დასაშვები უნდა იყოს ქმედების მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებისას.

5. ადმინისტრაციული სამართლის სფეროს კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება:

5.1. საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნა არის კერძო-სამართლებრივი უსაფუძვლო გამდიდრების მსგავსი, მაგრამ არა იდენტური. იგი არსებობს დამოუკიდებლად ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, რადგან გაუმართლებელი საფუძვლით გადაცემული ქონების უკან დაბრუნება წარმოადგენს არამხოლოდ კერძო-სამართლის მოთხოვნას, არამედ მთლიანი მართლწესრიგის, მათ შორის ადმინისტრაციული სამართლის. ამ ორ ინსტიტუტს შორის განსხვავება მდგომარეობს სამართალურთიერთობის ბუნებაში, რომელიც განისაზღვრება ან ქონების გადაცემის შემდგომ გაუქმებული საფუძვლის ან ქონების გადაცემამდე „მოჩვენებითად“ არსებული საფუძვლის (ნორმის) სამართლებრივი ბუნების მიხედვით.

5.2. ინფორმაციის თავისუფლების წესების დარღვევისას ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით. სპეციალურ, საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის თავისუფლების წესები ირღვევა ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებით ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის პირველი ნაწილით.

6. კომპენსაცია საკუთრების უფლებაში ჩარევის გამო

6.1. საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების კანონიერად, მაგრამ არათანაზომიერად განსაზღვრის შემთხვევაში, პირს წარმოეშობა კომპენსაციის მიღების უფლება განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლის გაწევის გამო. მაგალითად, ნივთის ქონებრივი ღირებულების შემცირება ქალაქმშენებლობითი გეგმით განხორციელებული ჩარევით. მოთხოვნა წარმოიშობა სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელსაც საფუძვლად

უდევს პირისთვის განსაკუთრებული ქონებრივი ტვირთის დაკისრების იდეა. მისთვის უმნიშვნელოა რა გზით მოხდება ტვირთის დაკისრება ჩარევის გვერდითი, ირიბი შედეგით თუ პირდაპირით.

6.2. საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევა წარმოადგენს საკუთრების უფლებაში უკანონო ჩარევას. იგი განსხვავდება სამსახურებრივი პასუხისმგებლობისგან ორი ასპექტით. საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან თანასწორი ჩარევის გამო კომპენსაცია გაიცემა მოსამსახურის ბრალის მიუხედავად; ქმედებისა და ზიანის დაკავშირება ხდება არა ე.წ. მიზეზობრივი კავშირის, არამედ შეფასებით შერაცხვის კრიტერიუმით. ამ უკანასკნელის ამოსავალი წერტილია, რომ მოხდა საფრთხის რეალიზება. საფრთხის, რომელსაც თავის თავში მოიცავდა საჯარო სამართლებრივი ქმედება და მისთვის დამახასიათებელი იყო. კომპენსაციას არ ექვემდებარება ქმედების უბრალო, შემთხვევითი თანმდევი მოვლენა.

7. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა

7.1. დასრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა ხდება ჯერ ურთიერთობის დასადგენად აღიარებითი სარჩელით ზიანის გამომწვევი ქმედების უკანონოდ აღიარების გზით, ხოლო შემდეგ განცხადების წარდგენით ადმინისტრაციულ ორგანოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ბოლოს ამ უკანასკნელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოქმედების განხორციელების დავალებით თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელის შეტანით.

7.2. დასაშვებია ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების შეტანის გზით ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმული მოთხოვნის წარდგენა, რადგან ხანდაზმულობა „აუქმებს“ არა მოთხოვნას, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ სიკეთეს, არამედ გამორიცხავს მისი იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, და მისი დაცვაც ხორციელდება ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინებით.

8. სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერად და უკანონოდ განხორციელების პროცესში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების სფეროს მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით, აღნიშნული სფერო „იმსახურებს“ არსებული რამდენიმე ნორმის ნაცვლად სპეციალური კანონმდებლობით მოწესრიგებას. სპეციალური კანონმდებლობით რეკომენდებულია დაწესდეს სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობის მოდელი, საკანონმდებლო დონეზე აღიარებულ იქნას საჯარო-სამართლებრივი დელიქტის, საჯარო-სამართლებრივი უკუგადაცემის მოთხოვნის, კომპენსაციას დაქვემდებარებული საკუთრების უფლებაში ჩარევის სხვადასხვა სახეობის არსებობა და მათგან გამომდინარე შედეგები.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის N7 ოქმი, სტრასბურგი, 1984 წლის 22 ნოემბერი.
3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014 წლის 5 თებერვალი.
4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2019 წლის 21 ნოემბერი.
5. „აფხაზეთის ა/რ-ის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ-ის კანონი, 2014 წლის 29 დეკემბერი.
6. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ა/რ-ის კანონი, 2017 წლის 15 ივნისი.
7. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 2017 წლის 19 ოქტომბერი.
8. „აჭარის ა/რ-ის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 2008 წლის 15 ივლისი.
9. „აჭარის ა/რ-ის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ა/რ-ის კანონი, 2014 წლის 18 დეკემბერი.
10. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2005 წლის 24 ივნისი.
11. „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ა/რ-ის კანონი, 2010 წლის 2 ნოემბერი.
12. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წლის 22 ოქტომბერი.
13. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, 1999 წლის 16 აპრილი.
14. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი.
15. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი.
16. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.

17. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2009 წლის 18 დეკემბერი.
18. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი.
19. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი.
20. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 09 ოქტომბერი.
21. საქართველოს შრომის კოდექსი, 2010 წლის 17 დეკემბერი.
22. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2014 წლის 12 დეკემბერი.
23. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2015 წლის 27 ოქტომბერი.
24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, 2014 წლის 22 დეკემბერი.
25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, 2014 წლის 19 დეკემბერი.
26. Dutch General Administrative Law Act, 05/1994.
27. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 23/05/1949.
28. Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG), 25/05/1976.

სამეცნიერო იურიდიული ლიტერატურა

ქართულენოვანი

1. ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ. და სხვ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2005.
2. ადეიშვილი ზ., ვინტერი გ., ქიტოშვილი დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, 2002.
3. ამირანაშვილი გ., დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), 2013, II.

4. ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის გამოცემა, თბ., 2015.
5. ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ., კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სამოქალაქო სამართალში, თბ., 2015.
6. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მეორე გადამ. გამოცემა, ცისკაძე მ., ძლიერიშვილი ზ. (რედ.), თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2018.
7. დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2016.
8. დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, 2009, №1.
9. ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. დიოგენე, 2005.
10. ვინტერი გ., ადმინისტრაციული სამართლის განვითარება და სამართლებრივი კონსულტაცია საქართველოს, როგორც გარდამავალი ქვეყნის მაგალითზე, სტატიათა კრ. ადმინისტრაციული სამართალი, რედ. კოპალეიშვილი მ., თბ., 2013.
11. ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბ., გამომც. უფლება, 1999.
12. თორაძე დ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ (საქართველოსა და გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მაგალითებზე), სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018.
13. იზორია ლ., კორკელია ვ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2005.
14. კივილაშვილი გ., ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016.
15. კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018.

16. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004.
17. კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2007.
18. კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004.
19. კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოც., მიუნხენი, 2011, თარგ. დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2014.
20. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, გამომც. ჯისიაი, თბ., 2003.
21. ლორია ვ. (რედ.), ხარშილაძე ი., კოპალეიშვილი მ., წკეპლაძე ნ. და სხვ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, მე-3 გამოც. თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2008.
22. მეგენეიშვილი ნ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოდელების ზოგადი მიმოხილვა, ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები სტატიათა კრებული, 2013.
23. მუთჰორსტი ო., თარგ., მაისურაძე დ., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2019.
24. ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2015.
25. რუსიაშვილი ჯ., ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურება, თბ., გამომც. მერიდიანი, 2013.
26. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001.
27. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 2001.
28. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., გამომც. სამართალი, 1999.
29. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2017.

30. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2019.
31. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013.
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, თბ., 2015.
33. სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის, სტატიათა კრებ., მართლმსაჯულება და კანონი, #2(37)113, 2013.
34. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2018.
35. ტურავა პ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სიესტა, 2008.
36. ტურავა პ., ყალიჩავა კ., სამშენებლო სამართალი, თბ., 2020.
37. ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., გამომც. სეზანი, 2010.
38. ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2013.
39. ქარდავა ე., საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოში და მოხელის სამართლებრივი სტატუსი, ადმინისტრაციული სამართალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013, 1.
40. შერმადინი ს., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, 2019, N2.
41. შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თარგმ. ჩაჩანიძე ე., სამეცნ. რედ. კუბლაშვილი კ., ნინიძე თ., ლოლაძე ბ., ერემაძე ქ., 2011.
42. შლეგელი ო., პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები საქართველოში: „მხოლოდ სემანტიკა და მეტი არაფერი?“, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (სტატიათა კრებული), თბ., 2015.

43. შნიტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 15.06.2018.
44. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბ., გამომც. მერიდიანი, 2014.
45. შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), 2013, II.
46. ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები, უსაფუძვლო გამდიდრება, თბ., გამომც. ბონა კაუზა, 2015.
47. ძიმისტარაშვილი უ., ადმინისტრაციულ ორგანოსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების თავისებურებანი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), 2013, II.
48. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., გამომც. მერიდიანი, 2004.
49. ჯანიშვილი მ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, სტატიათა კრებ., სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011.

უცხოენოვანი

1. Ahrens, M., Staatshaftungsrecht, 2. Aufl., Köln, C. F. Müller Verlag, 2013.
2. Detterbeck S., Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 12. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2014.
3. Dörr C., BGB Staatshaftung, Grosskommentar, 2019.
4. Erbguth W., Guckelberger A., Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl., Baden-Baden, Nomos Verlag, 2018.
5. Ipsen J., Allgemeines Verwaltungsrecht, 10. Aufl., München, F. Vahlen Verlag, 2017.
6. Maurer H., Waldhoff C., Allgemeines Verwaltungsrecht, 19. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2017.
7. Ossenbühl F., Cornils M., Staatshaftungsrecht, 6. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2013.
8. Wolff H.J., Bachoff O., Stober R., Kluth W., Verwaltungsrecht II, 7. Aufl., München, C. H. Beck Verlag, 2010.

სასამართლოს გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე № 1/466, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/3/423, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/384 საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე N3ბ/604-16, 2016 წლის 27 სექტემბერი.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება Nბს-833(კ-19) საქმეზე.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე Nბს-747(გ-19).
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის განჩინება Nბს-252-250(კ-17) საქმეზე.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-595-573(კს-13).
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე Nბს-648-623(2კ-13).

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება Nბს-367-363(კ-12) საქმეზე.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინება Nბს-233-224(გ-10) საქმეზე.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე Nბს-972-936(3კ-08).
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-740-706(კ-07).
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-827-793(კ-06).

ელექტრონული რესურსები

- <http://constcourt.ge/ka> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდი
- <https://matsne.gov.ge> საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდი
- <http://www.coceal.it> web-page of Common Core of European Administrative Laws funded by the European Research Council
- <http://www.gccc.ge/> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარები
- <https://www.gesetze-im-internet.de> იუსტიციისა და მომხმარებელთა დაცვის გერმანიის ფედერალური სამინისტროსა და იუსტიციის გერმანიის ფედერალური სამსახურის მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი გერმანულენოვანი ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
- <http://www.nplg.gov.ge> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი
- <http://www.parliament.ge> საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი
- <http://www.supremecourt.ge> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდი